როგორიც არ უნდა ყოფილიყო, სწორედ ამ ფერ-დობზე იყო ჩემი სახლი, აქ სახლობდნენ ჩემი მშობლები, აქ იყვნენ ონოფრე, უჩა და ბავშვობის მეგობრები, აქვე მეგულებოდა გოგონა, რომელიც, როცა მამას ქალაქში მივყავდი, ჩემს გვერდით ფეხშიშველი მოტანტალებდა და ყოველ ნაბიჯზე მეკითხებოდა, ხომ დაბრუნდებიო. ჟოლოებით მოხატული ჩითის კაბის კალთით ცრემლს იწმენდდა და ხომ არ დამივინყებო, მამუნათებდა.

ის გოგონა სიზმრებშიც კი მიხმობდა, რომ საისრეში დამკვიდრებული უიმედობისა და სევდისგან მეხსნა...

მამაჩემს სოფელში ყოველი არდადეგებისას როდი ჩამოყყავდი. უტყუარი გუმანით ხვდებოდა, რომ რაც დრო გადიოდა, კედელი უფრო და უფრო მიზიდავდა. ერთხელ არხთან შემთხვევით წამანყდა. მეორეჯერ მასთან მე და უჩა ვიღაცამ დაგვასმინა. ალბათ, დამს-მენის ან სხვა ვინძმესი ეშინოდა მამას, რომ ჩვენს შეს-ახებ კოჭლი კაცისთვის არ შეეტყობინებინათ. ვინ ვინ და მამაჩემმა ყველაზე უკეთ იცოდა, რომ მონობა და გაურკვეველი საფრთხის შიში კაცს აძაბუნებს, ათას უკადრებელს აკადრებინებს, თანასოფლელებიც უნინდებური ლალი და ხალისიანი, თავისუფალი ბე-ბეის რელები კი აღარ იყვნენ, უფრო იმ დამფრთხალ და უნინამძლოლო ფარას ჰგავდნენ, მგლის შიშმა რომ გონება და საღი აზროვნების უნარი დაუკარგა. ახლა ისინი „მგლის“ გულის მოსანადირებლად არანაირ სი-საძაგლეს არ მოერიდებოდნენ. ასე ჩააგონა კოჭლმა და მეტი რა გზა ჰქონდათ, სოფელმაც ასე ირნმუნა.

სასწავლებელი რომ დავასრულე, მამაჩემის სურ-ვილისამებრ თევზსაჭერ სეინერზე მოვენყვე, რომელ-

იც ნაპირს თვეობით ტოვებდა. სხვას იქნებ ამდენი ხნით მშობლიური კუთხის მიტოვებისთვის ვერც გაეძლო, მაგრამ მთელი ბავშვობა ზღვას შორიდან რომ შევტროდი, ახლა ხომალდს ვეღარ ვცილდებოდი. ოღონდ ეს იყო, უოლოებით მოხატულ ჩითის კაბიანი გოგონას სახე ყველგან თან მდევდა, გადმოდგებოდა ფერდობზე, გულსაკლავ სიმღერებს მიმღეროდა და ხელს მიქნევდა.

სამი წელი განუწყვეტლივ მიხმობდა ნაღვლიანი ლანდი, მშობლიურ კერაზე დაბრუნებასა და ხსნას მევედრებოდა. ბოლოს მისი ნახვის წადილმა სეინერზე დარჩენის სურვილს სძლია, ხომალდი პირველი შესაძლებლობისთანავე მივატოვე და აქეთ გამოვეშურე, რომ მენახა იგი და თუ ჯერ კიდევ მართლა მელოდა, ქალაქში წამევყანა.

ამ განზრახვით ჩამოვედი. დედა წარამარა გულში მიკრავდა და ჩემს სახელს იმეორებდა. მამა თვალს დუმილით მადევნებდა. მერე კი გვერდით მომისვა და ქალაქის ამბეჭი გამომკითხა. მისმენდა, მაგრამ ვატყობდი, ფიქრით სხვაგან იყო.

— აქ დარჩენას ხომ არ აპირებ? — მკითხა მოულოდნელად.

ჩემს განზრახვაზე საუბარს მოვერიდე. ვუპასუხე, ალბათ, მალე წავალ-მეთქი. ხასიათზე მაშინდა მოვიდა. დედას ღვინო მოატანინა, მადლეგრძელა და მოილხინა. დედა ჩემს გარშემო ტრიალებდა, მერე დაჯდა, ჩემი ხელის მტევანი ლოყაზე მიიხუტა და სიყვარულით სავსე სახით მომაჩერდა. უეცრად ღაწვებზე ორი კურცხალი ჩამოუგორდა.

— რა გატირებს, თოლიგე, ქალაქში რომ წავიყვანე, უსუსრი ღლაპი იყო. დახე, რა ვაჟკაცი დაგვიბრუნდა! — შენიშნა მამამ.

— მე ის მადარდებს, რომ მალე ისევ წასასვლელია!
— მიუგო დედამ.

— აქ ყოფნას და ამ კედლის ყურებას, ისევ ქალაქში ცხოვრება ერჩიოს! — სევდიანად დაასკვნა მამამ.

დედას მისი სიტყვების გამო სახეზე უკმაყოფილება აღებეჭდა, მაგრამ ხმა არ გაუღია. არც მამა მოჰყოლია იმის მტკიცებას, თუ რატომ ჯობდა ქალაქში ყოფნა საის-რეში ცხოვრებას. ამაზე საუბარს ტყვიასავით ერიდე-ბოდნენ და ცდილობდნენ, პირში წყალი ჩაეგუბებინათ.

კედელი ძველებურადვე გოროზად იდგა. სოფელი ულიმდამოდ გამოიყურებოდა. ხალხი საისრეს ისე მის-ჯაჭვოდა, ზღვისკენ გახედვის ხალისიც დაჰკარგვოდა. მეზობლები სევდიანად მიღიმოდნენ. იმისი სურვილიც კი არ ჰქონდათ, გამოეკითხათ, რა ხდებოდა ქვეყნად, ყოველი მათგანი მხოლოდ საკუთარ დარდში იყო ჩაფ-ლული, ყველას რაღაც უჭირდა. საკმარისი იყო რამე გეკითხა და წუნუნს იწყებდნენ. დაწვრილებით ჰყვე-ბოდნენ, რა და რა გასაჭირი დასდგომოდათ და თავის ძალურ სიცოცხლეს წყევლიდნენ.

ბედით უკმაყოფილონი იყვნენ, მაგრამ ამას განგე-ბის ნებას მიაწერდნენ და რამის შეცვლაზე არცყი ფიქრობდნენ.

დაშინებული, საცოდავი გამომეტყველება ჰქონ-დათ. რაღასა იქმთ, როგორა ხართ-მეთქი, რომ ვკითხ-ავდი, — შენს მტერს ისეო! — მპასუხობდნენ და გა-ცლას ჩქარობდნენ.

ყოველივე ამან ისე შემძრა, უოლოებით მოხატული ჩითისკაბიანი გოგონას მოძებნასა და მასთან ერთად აქედან წასვლაზე ხელი ავიღე. გადავწყვიტე, დავრჩე-ნილიყავი და სოფლელთა სატკივარი რაიმეთი შემემ-სუბუქებინა. ან კი რა პირად ბედნიერებაზე შეიძლებო-და საუბარი, როცა სოფელს ამხელა გასაჭირი ადგა.

დედა

კოჭლი კაცის ყველას ეშინოდა, მაგრამ ახლალა ვხვდები, კიმოთე მეტისმეტად აჭარბებდა. არ ვიცი, ეს ოჯახზე შიშით უფრო იყო გამოწვეული თუ სიფრთხილით. ან კი ამას ჩემთვის რა მნიშვნელობა ჰქონდა. სინამდვილე ის იყო, რომ შვილი წლობით მომწყვიტა და სადღაც გადაკარგა. ერთთავად იმას მიმეორებდა: საისრეში რაიმე ხიფათს გადაეყრება და უმჯობესია, აქედან შორს იყოსო. რაღა მექნა მე უბედურს! სადარდებლად ისიც მყოფნიდა, ეს უბადლო ვაუკაცი თვალდათვალ რომ დაძაბუნდა და მოეშვა.

კოჭლის სახელს სოფელში დღესაც ისეთი რიდით ახსენებენ, თითქოს ზურგს უკან ედგეთ. გამუდმებით მის მოლოდინში არიან. აკი თქვეს კიდეც — აი, ნახავთ, ქუჯის თავნებობის გამო თუ არ დაგვსჯისო...

კედელზე მდგომი ქუჯი მთელმა სოფელმა დაინახა. ვინ იცის, რა მიზნით ჩამოზვავდნენ. მათ შორის უეჭველად დამსმენებიც ერია. იმის მაგიერ, რომ კედელს მიახლოვებოდნენ ან ზედ ასვლა ეცადათ, ჩამოდიო, ეხვეწებოდნენ ბიჭს.

ის ეშმაკის კერძი უჩა და ბიძამისი მთვარიდან ჩამოვარდნილებივით გატრუნულები იდგნენ მათ შორის. ბოლოს კი ისინიც მორჩილად გაჰყვნენ სხვებს. ტყულად ჰქონიათ, რომ ვერაფერს მივხვდი, მაგრამ ეგ მათიქრებს, ქუჯისთან ერთად რად არ დარჩა უჩა?..

თუმცა ისე ვამბობ, თითქოს ჩემი შვილის ამბავი არ ვიცოდე. არ დატოვებდა! რას იზამ, ასეთი კაცუეტია და თუ რამე ამოიჩემა, რამდენსაც არ უნდა ეცადო, ვერაფრით გადაათქმევინებ.

სოფელი ცხვრის ფარას ჰგავდა, უგზოდ მავალსა და აზრდაფანტულს, აბნეულ-დაბნეულს. საისრესკენ ამავალ ბილიკებს ისე აუყვნენ, უკან ერთხელაც არ მოუხედავთ. ალბათ, გულში გვწყევლიდნენ და გვსაყ-

ვედურობდნენ კიდეც, ეს რა ულვთო და კერპის ერთი გაუზრდიათო, მაგრამ მირჩევნია, ჩემი შვილი ასეთი ჯიუტი იყოს, ვიდრე მათსავით დაქალაჩუნებული და სულემკრთალი.

ისინი, ალბათ, ახლაც დგანან სარკმლებთან და როგორ მოიქცევიანო, გვითვალთვალებენ. თუ ჰერი-ათ, რომ მათი მიბაძვით სახლს მივაშურებთ და ჩვენს შვილს შორიდან ცქერას დავუწყებთ, შემცდარან.

მეც მინდა ვიცოდე, რა არის აქ, რატომ გვაშინებდნენ ასე და თუ ჩემს ბიჭს საფრთხე დაემუქრება, ვალ-დებული ვარ, მის გვერდით ვიყო.

...როგორც იქნა, კედელზე გადავძვერით და მიწას ფეხი დავადგით. კიმოთე ადგილიდან არ იძვრის. ირგვ-ლივ ზღვის ხმაური ისმის. სანაპირო მთვარის შუქითაა განათებული. კოჭლი კაცის ოთხკუთხა, უზარმაზარი შენობები ახლოდან შემზარავ ურჩხულებს ჰგვანან.

ვაი, ჩემს თავს, რას დაუმსგავსებიათ აქაურობა!

აქვე ახლოს ცაცხვების ჭალა უნდა იყოს. ჩამოსუ-ლებს უკვირდათ ხოლმე, ზღვის პირას ამსიმალლე ხე-ები არსად გვინახავსო. თვითონ სოფელიც იმდენად ლამაზი იყო, ავ თვალს არ დაენახვებოდა. ვერ გამიგია, აქედან ჩვენი აყრა რისთვის დასჭირდათ. ისიც ვერ გავიგე, თუ არ გამოიყენებდნენ, ამსიგრძე კედელსა და ამხელა რაღაცებს რაღად აშენებდნენ...

ზღვის ნაპირზე ვიღაც შეირხა. შორიდან კარგად ვერ ვარჩევ, მაგრამ ჩემი ბიჭის გარდა სხვა ვინ უნდა იყოს... ალბათ, გველოდა. იცის, განსაცდელში მარტოკას არ დავტოვებთ, მაგრამ იქნება უჩა უფრო სჭირდება? მიკ-ვირს კიდეც, ამდენ ხანს უმისოდ როგორ გაძლო...

კიმოთე ადგილიდან არ იძვრის. როგორ არ ესმის, რომ ამ სიმალლე კედელზე იმისთვის კი არ გადმოვმდ-ვრალვართ, ერთ ადგილას ვიყურყუტოთ. თუ ასე ურჩევნია, მანდვე იყოს, მე კი ჩემს შვილთან მივალ-მეთქი, გავიფიქრე.

ქ՛յշո Շեմոմեցեծա. ցագամեծաւուա. դամშվուացեծա դամինցու, մաշրամ հիւմս ագորուայեցուլ ցուլս րա դաամովմունցեծս.

նաձուշեծու եմա մոմեսմա. կյաշու ելու մոմեցա. Շեպ- թրուալու. կոմուա ժորուաելուս օդցա. ծոփու ար օմարո- դա, մամաց ցարունցուլո մուսիրեցեծուա.

— Ցուուու, անո րաս ապուրեց? — Ռոցորու ոյնա, կուտես դայեանցուլո եմուտ դա մուսկյեն դասմուա.

ծոփու արու ամչերաց Շերեցուլա. կոմուա ելուա, Շե- մոցցեցեծաո. օմեցու Ռոմ ցայուորուցու, Շեցցա.

— րաս ապուրեց-մետյու, ար ցեպուրեցա?! — յուտեա մյացրաց ցայումեռա.

— Բյենցեծս զելուացեծո, — Սասրյեսկյեն տացուտ ան- ունա կյաշուու.

— Օսոնո օսյ արուան դամունցուլո, Սաելուան ցեզուրուս ցամուոցասաց զեր ցածցացեն.

— Թուտ յարյեսո մատացու. մյ կո այեցան ցյեխու մուց- լաս ար ցապուրեց! — Նամունասեա կյաշուու դա սուլանց ցյեխու չունցաց դաարտպա.

— Բյեն րաս ցապուրեց, եռմ ուցու, Շենս մեփու արացուն ցածցացօա!

— Նագուտ Շոն! աո, նաხաւու, արացյերո դամունցացեծա.

— աելաց Ռոմ ցամոցցուց?

— Սանամ օսոնո կյեցելնց ար ցագմուլց, նասվլաս արսաց ցապուրեց.

— Ըուացու գուցեանս մոցունցուս.

— Երտ դղյու մանցու հիամուլց.

— մամուն հյենց այցու դաարիցեծուու! — մծոմեց ամուտյ- ա կոմուամ դա ացցուլնց հիաջա.

ունցացուա. Սեյուլու գուլուս նյուցու ցամուջա. ցուսեցու հյեն-հյենուա դա ածորց ցուլ նկաս մուց- մարեց ցացէյերուա.

Կոժլ կացս տուտյու նկաց կո ցագաց ցարեծուն. ագրյ, Ռուց հյենու սաելցու մուս նապունց ուցու հիարուց ցուլո, ացրյուց ցաց ցաց ցուլո արասուց մունախաց. սկացրո-

ელობას გაეთამამებინა თითქოს, ტალღები თავდავიწყებით დაქროდნენ და ზათქით აწყდებოდნენ ნაპირს.

ქუჯი ჩემს შორიახლოს იჯდა. ამაყად და დაჯერებულად აელირა მაღლა თავი. ოდნავ მოგრძო, ვაჟკაცურ სახეზე მშვიდი ღიმილი დასთამაშებდა. რა აღიმებდა, არ ვიცი, საამისოდ არ გვერდა საქმე, მაგრამ მისი ღიმილი ერთგვარად დამამშვიდებელი და გადამდებიც კი ჩანდა.

მამამისს რომ გადავხედე, გამიკვირდა, ისიც იღიმებოდა. დიდი ხანი იყო მის სახეზე ამგვარი გამომეტყველება არ შემენიშნა. გეგონებოდათ, ზურგიდან უშველებელი ტვირთი ჩამოეხსნაო. ეტყობოდა, რაღაცი თქმა უნდოდა, მაგრამ თავს იკავებდა, ალბათ, ყოველ სიტყვას ფიქრში ათასჯერ სწონდა. ქუჯი ყურადღებით აკვირდებოდა. ელოდა, ხმას ამოილებსო, მაგრამ კიმოთე შეიშმუშნა, წამოდგა, მიიხედ-მოიხედა და უახლოესი შენობისკენ გაემართა.

რამდენიმე ხანში ისევ გამოჩნდა, პირი კედლისკენ იბრუნა, კარგა ხანს თვალმოჭუტული გასცეროდა, მერე შეტრიალდა და ზღვის ნაპირს გაუყვა.

ქუჯი მომღიმარე სახით გასცეროდა მამას, მერე წამოდგა და მომიახლოვდა.

— წავიდეთ, მინდა ვიცოდე სად იდგა ჩვენი სახლი, — მომმართა, ხელი გამომინოდა და წამომაყენა.

სანაპირო ერთიანად გადაეთხარათ. სიარული გვიჭირდა. ცაცხვების ჭალას წვალებით მივაღწიეთ.

სადღა იყო ის გოლიათი ხები! ჭალა გაეჩეხათ და ამოეძირკვათ, გადარჩენილი ხეებიდან ზოგი თავისით წაქცეულიყო და დამპალიყო. იქაურობა შამბსა და ძეძვს ისე წაელეკა, შიგ გავლა შეუძლებელი იყო.

ქუჯი ცაში ატყორცნილი, მოშრიალე ჭალის ნაცვლად რამდენიმე დაჩიავებულ, ხმობაშეპარულ ცაცხვსლა ხედავდა. იმ უბადლო ჭალის ნიშანწყალიც კი გამქრალიყო.

გუნებაწამხდარნი და სულშეძრულნი ტაძრისკენ გავემართეთ. გუმბათჩამორღვეული, სარკმლებჩამ-სხვრეული და კარებშელენილი ტაძრის დანახვაზე გული ლამის გამიჩერდა. თეთრი, თლილი ქვით ნაგე-ბი უფლის სახლი ბრმა ხეიბარივით დაჰყურებდა გა-დათხრილ მიდამოს. ნეტა, მოვმკვდარიყავი და ეს ყვე-ლაფერი ჩემი თვალით არ მენახა! „როგორ გაიმტეს, რა უნდოდათ ტაძართან, ნუთუ ღმერთის მაინც არ ეშინოდათ, ბარბაროსები ხომ არ იყვნენ?.. უფალო, შენ მიაგე სამაგიერო ამ უკეთურობის ჩამდენთ!..“ — მოვთქვამდი ხმამალლა და თან გაფაციცებით ვე-ძებდი ძველი საფლავის ლოდებს, მაგრამ მათ კვალს ვერსად მივაგენი...

ქუჯი განზრას მაყოვნებდა და მეკითხებოდა, როგორ გამოიყურებოდა ჩვენს აყრამდე ტაძარი, ცაცხვების ხეივანი ან ზღვის პირას ჩარიგებული სახ-ლები, თუ ძველთაძველი სასაფლაო. დედა, ყველაფერი დაიმახსოვრე და მოუყევი მათზე საისრელებსო, — მეუბნებოდა და მეც ყოველივეს ვიმახსოვრებდი. თანდათან აღშფოთება მიპყრობდა — რისთვის, რა-ტომ დასჭირდათ სოფლის აგრერიგად გაპარტახება-მეთქი.

შემდეგ ზღვისკენ გავემართეთ. ზედ ზღვის ნაპირ-თან წამოგორებულ უზარმაზარ მარჯნისფერ ქვებთ-ან შევჩერდით. მათ დაძვრასაც ცდილიყვნენ, მაგრამ რატომლაც ადგილზე დაეტოვებინათ.

ეს ქვები ჩვენი ეზოს მიჯნა იყო.

ქუჯი დიდხანს ფიქრმორეული შეჰყურებდა ამ ქვებს. მერე ნელი ნაბიჯით მათკენ გაემართა.



ქუჯის დედ-მამა კედელზე რომ გადმოვიდა, კარ-გად იყო გათენებული. ყველა ხედავდა ქუჯიმ კიბეზე როგორ ჩამოაცილა ისინი და მოხუცები საისრესკენ ამავალ ბილიკს რა სხარტი ნაბიჯებით ამოუყვნენ.

სოფლელებმა, ისე, თითქოს არაფერი მომხდარიყო, ყოველდღიურ საქმიანობას მიჰყვეს ხელი, მაგრამ ცალი თვალი გამუდმებით კიმოთეს სახლისკენ ეჭირათ, ერთ ადგილზე იტკეპნებოდნენ და თავს ვერაფერს აპამდნენ.

ოჯახის უფროსებმა ბავშვები საგანგებოდ მოიცილეს თავიდან, საძოვრებზე გაგზავნეს, მაგრამ მათ საქონელი უპატრონოდ მიატოვეს და შორიდან უთვალთვალებდნენ ქუჯის. ეგ იყო, კედელთან მიახლოებას ჯერ ვერ ბედავდნენ.

დიდებიც იქითკენ იყურებოდნენ. ყველას აინტერესებდა, რით დამთავრდებოდა კედელზე ჭაბუკის გაბედული სიარული, ელოდა თუ არა რამე საშიშროება.

პირველ ორ დღეს თავს გაჭირვებით უმკლავდებოდნენ. მესამე დღეს კი სოფლელებს მოთმინების ფიალა აევსოთ და კედლისკენ დაიძრნენ.

ქუჯი კედელზე იდგა და ღიმილით ესალმებოდა არხთან თავშეყრილ საისრელებს. ისინი ვითომ სხვათა შორის იყვნენ მოსული. არავის სურდა იმის გამხელა, რომ სანაპიროსა და დიდი ხნის წინათ მიტოვებული მშობლიური ადგილების ნახვას ეშურებოდნენ.

— ამ ხალხს კედელზე უნდა გადმოსვლა, რას იტყვი, ხომ შეიძლება? — სოფლელთა გასამხნევებლად შეეხმიანა ონიფრე ქუჯის.

— სწორედ მაგათ გამო ვარ აქ! — უპასუხა ქუჯიმ.

საისრელები გაუნძრევლად იდგნენ და ხმის ამოლებას ვერ ბედავდნენ.

— რისთვის მოხვედით, თქვით, რას დადუმებულებართ? — ჰკითხა მათ ქუჯიმ.

— რაღა საკითხავია, სანაპიროზე აპირებენ გადასვლას! — ისევ გაეპასუხა ონიფრე.

— გადასვლა არა და, ზემოდან კი გადავიხედავდი, — როგორც იქნა, გაუბედავად ამოლერლა ქუჯის კარის მეზობლის ბიჭმა, მერე ირგვლივ მიმოიხედა და ასო-

ծոտ գամկութեաց միջերաս րոմ նաանցու, տազո ჩաքկուցա ճա գվերդոտ մօցոմ ծործա գունու գեդակացս ամոյեցարա.

— աշրջերոցագ ճամ ճացատրտեօտ, տէց կա նալեօ, եօմ եցաւ, արացերո ճամշացեօնա! — մատօ գամենցաց- ծա սցացա յէջոմ.

Սոյլելեծո մանց շնժոնձլագ Շեքպորեծնեն.

— վնասետ, րոցոր գաճազուցա յէցու ոյնտա մեարես Շենո ճաց-մամա, օսու Շեպութպացա, րոմ մանց օսետո սամին արացերօ, մաշրամ գայնճա գացատրտեօտ, մալյ կոյժլո կացո պացացարս Շեպութպա և Շենից ճա Շենս ռջաենց Շուրս օնոյեն. սեպենսաց նու գարեւտ ամ սայմեմո, նու ճացալուկաւտ Շվոլենս! — նամոնտասա յրտմա յալմա.

միսմա սուցպացմա սոյլելեծնի չաճոնսացու օմո- յմեդա. յրտծամիագ յէցըլնի մօցոմս ծուրցո Շեայցույս ճա ուշրժոնձես մօցումարյ Շեպութպացնեն.

յէջո սասոնարկացետոլո գամոմեթպացեծոտ գաչպորեծ- ճա միմացալտ.



ասյ գրծելդեծոդա մտելո տվե. սոյլելեծո բալ-բալկյ, ծոցջէր յրտագ համոնունցնեն յէցմոտ, յէցու օցան օդնաց մոմորեծոտ հէրդեծոնցնեն ճա ճա- սոնեծոտ հաացոնեծոնցնեն յէջոս, ամ ճանցութունու յէ- ցըլս տազո անեծե, իցեն ամ ցեռուրեծոս օսյ յարտ Շեց- սոնցունու, մշունու ճածունեծա յուրո գացակիորդեծօն.

յէջո չոյսիոնձդա. յապտացան ծոցս առուցնա մոսո յէցուերլոնձա, ծոցս — ալոնիոնեծդա: „Ռա մոեժա, յրտո յանցելու յէցըլո յուրուն ճա րա օսետո գանսա- յուտրեծունու ճամա մասնե նոն ճա յուկան ասյ յածունո- լո սոարունու, մամլապոննասացու րոմ ոյթորցեծա, մաց ծորուալոտ յերացերս մոոմյոսո...“ նոն, յալյեծտան

ყბედობდნენ ამგვარად, თორემ გარეთ კრინტსაც არ სძრავდნენ. მათ მზერაში ერთდროულად აღტაცებაც ჩანდა, შურიც, სიყვარულიც. სოფლელებს მხოლოდ სიძულვილის გრძნობა არ ამოძრავებდათ ქუჯის მიმართ. პირიქით, ვისაც მასზე აუგი წამოსცდებოდა, უმალვე აჩუმებდნენ.

ქუჯი არ უხმობდა ხალხს, არც არავის ემუდარებოდა — მხარი ამიბითო. მიმოდიოდა კედელზე ყველას თვალწინ, მერე ზედ ჩამოჯდებოდა და ფერდობებს შეფენილ ეზოებს გასცეკროდა, საიდანაც ღობეებს ამოფარებული ადამიანები უჭვრეტდნენ გაბედულ ჭაბუკს. უმზერდნენ, ელოდნენ და ეშინოდათ. მათი სიჩუმეც და სიფრთხილეც უზომო შიშით იყო წაკარნახევი.

დუმდა ქუჯიც. იგი თავიდან ვერ ხვდებოდა ამ დუმილით საისრელებს ენინაალმდეგებოდა თუ მათ გადამსახლებლებს. გვიან მიხვდა — ორივეს. რაც დრო გადიოდა, მასში უფრო და უფრო იზრდებოდა მრისხანება კოჭლი კაცის მიმართ, რომელმაც აგრერიგად მოახერხა ბებეისრელთა დამორჩილება, ბებეისრელებზე კი იმის გამო ბრაზობდა, რომ მალემრწმენი, უილაჯონი და ერთმანეთის მიმართ უნდონი აღმორჩდნენ.

კოჭლი კაცის მიერ ბებეისრელთა დამორჩილებას მხოლოდ შიშით როდი ხსნიდა ქუჯი. მისი აზრით, ეს იყო ერთგვარი სენი, რომელიც, ალბათ, სხვა ვითარებაში სხვაგვარად გამომზეურდებოდა და სოფლელთა ნამდვილ სახეს ნიღაბს ჩამოხსნიდა.

...ბებეისრელები საისრეზე რომ არეკეს, თავიდან განსაცდელში მარტო არ ტოვებდნენ ერთმანეთს, მაგრამ ზოგიერთ მათგანში უიმედობამ თანდათან მოიკიდა ფეხი და კოჭლმაც ამით ისარგებლა. გადაბირებისა და გათიშვის მიზნით ყოველ მათგანს ცალ-ცალკე რაღაცას ჰპირდებოდა. და თუმცა საისრელები დიდხანს ენინაალმდეგებოდნენ, საბოლოოდ მაინც გატეხა მათი სიკერპე და სულ მალე სოფლელები მის

სამსახურში უმნიშვნელო გასამრჯელოს ფასად საკუთარი ნებით დგებოდნენ.

ყოველდღე ისჯებოდა ვიღაცა, მაგრამ მიზეზის გარკვევა არავის სურდა. ყველა თავის ნაჭუჭმი ჩაიკეტა, თითოეული მხოლოდ საკუთარი თავის გადარჩენის სურვილს, საკუთარ ოჯახზე ფიქრს შეეპყროდა კოჭლი კაციც სამი წლის განმავლობაში სოფლელებს მათივე ძალებით უსწორდებოდა. საისრელები თვითონ ასმენდნენ და თვითონვე სჯიდნენ ერთმანეთს, გარეგნულად კი ყველაფერს კოჭლი კაცის ნებას მიაწერდნენ...

ხალხი ახლაც ძეველებურად დასმენის მოლოდინში იყო. არავინ უწყოდა, ვინ გადადგამდა პირველ ნაბიჯს, მაგრამ გრძნობდნენ, რომ ამას ვინმე მათი ახლო მეზობელთაგანი უეჭველად ჩაიდენდა.

ქუჯი ღელავდა, რომ საისრელები ასე მორჩილად ელოდნენ განაჩენს, რომელიც უცხო კაცს უნდა გამოეტანა. ჭაბუკს არ ძალუძღა სოფლელთათვის იძულებით მოეხვია საკუთარი ნება და არც სურდა, რადგან ეგონა, ხალხს დასკვნების გამოსატანად თვალსაჩინო მაგალითიც ეყოფოდა. ისიც იცოდა, რომ ძალდატანებით ვერავის აამოქმედებდა. არჩევანი სოფლელებს თვითონ უნდა გაეკეთებინათ.

ონოფრე

ერთი თვის შემდეგ, ასე, შუადღისთვის, კოჭლი კაცი მართლაც გამოჩნდა.

მისი დაბრუნება მთელმა სოფელმა უმაღ შეიტყოდა ფუტკრის სკასავით აზუზუნდა.

კოჭლს ოთხი კაცი ახლდა. ტყავის შავი ქურთუკები ეცვათ და ხელში რაღაც დავთრები ეჭირათ.

კიმოთე და მისი ცოლი კედელს მისჩერებოდნენ და ყოველ წუთს ქუჯის გამოჩენას ელოდნენ.

კოჭლი არ ჩქარობდა. საღამომდე დადიოდა სანა-პიროს გასწვრივ. ბოლოს, მხლებლებთან ერთად საისრესკენ ამომავალ ბილიკს დაადგა და პირველსავე სახლთან შეჩერდა.

ირგვლივ ადამიანის ჭაჭანება არ იყო. კარში გამოს-ვლას ვერავინ ბედავდა.

კოჭლმა კაცმა ქურთუკის გულის ჯიბიდან მომ-ცრო ზარი ამოილო და ააწკარუნა.

ვერცხლის ზარის წკრიალმა ერთბაშად დაარღვია სამარისებური სიჩუმე და მთელ საისრეს მოედო.

ამ ხმამ სოფლელებს წარსული, ბებეისრელთა ლალი სიცილი გაახსენა და ყოველგვარი საშიშროება გადაავიწყა. სახლებიდან მონუსხულებივით გამო-დიოდნენ და ზარის ხმას მიჰყვებოდნენ. ზარი კი ისე გულშიჩამნვდომად რეედა, თითქოს თითოეულ მათ-განს შვებასა და სიხარულს ჰპირდებოდა.

რამდენიმე ხანში მთელმა სოფელმა მოწკრიალე ზარის ირგვლივ მოიყარა თავი. გაბრნყინებული სახ-ებით შეჰყურებდნენ ამ პატარა საგანს, რომელიც დაუღალვად აცოცხლებდა არემარეს.

ზარი მოულოდნელად დადუმდა. კოჭლმა კაცმა იგი ისევ ქურთუკის გულის ჯიბეში ჩაიდო, თვალი მრისხ-ანედ მოავლო სოფლელებს, რომლებიც მის მკერდს მონუსხულებივით მისჩერებოდნენ, მერე მხლებლებს მრავალმნიშვნელოვნად გადახედა, ჩაახველა და ლაპარაკი დაიწყო.

ხმა ოდნავ ჩახრინნული და მბრძანებლური ჰქონდა. ცალ მხარეს გადაზნექილი, მარცხენა ხელის საჩვენ-ებელ თითს შემოგარენს უღერებდა და ჩვენთან შეხ-ვედრას „მეგობრულად“ ნათლავდა.

— მე აქ საგანგებო ვითარებამ მომიყვანა. დიდი ხნის წინათ თქვენს წინ მამაჩემი იდგა-ხოლმე, ახლახან კი სანაპიროს მმართველობა შთამომავლობით ჩემზე

გადმოვიდა. როგორც ვიცი, ერთმანეთს დიდებულად უგებდით. იმედია, საერთო ენის გამონახვა არც ჩვენ გაგვიჭირდება...

გაოცებულნი ვუგდებდით ყურს. პირველად რომ დავინახეთ, მისი გარეგნობისთვის განსაკუთრებული ყურადღება არც მიგვიქცევია, მაგრამ ახლა თვალს ვერ ვაცილებდით.

ვისაც კოჭლიადრე ნანახი ჰყავდა, მიხვდა, მათ შორის რაღაც განსხვავება რომ იყო, ოლონდ ვერ იხსენებდნენ, კერძოდ, — რა. კოჭლის აქ ყოფნის შემდეგ დიდი დრო იყო გასული, სოფლელთაგან ზოგი დაპერდა, ზოგიც გარდაიცვალა. ცოცხლად დარჩენილებმა მართლაც შეუძლებლად მიიჩნიეს, რომ მას წლები არ შეჰებოდა, მაგრამ ახალგამოცხადებულ კოჭლს ეს თვითონვე რომ არ ეთქვა, ვერავინ ვერაფერს იგუმანებდა.

კოჭლი კაცის ერთ-ერთი მხლებელი დანინაურდა და კიმოთე იკითხა. იგი ხალხში ცოცხალმკვდარივით იდგა. მისი სახელი ხელმეორედ ახსენა მხლებელმა. სოფლელები თავრჩაქინდრულ კიმოთეს შემოეცალნენ.

— სად არის შენი შვილი?!

— ჰე! — უპასუხა კიმოთემ, თავი ასწია და ხელის

გაქნევით კედლისკენ მიუთითა.

ყველა კედლისკენ მიტრიალდა. მთელმა სოფელმა, კოჭლმა კაცმა და მისმა მხლებლებმა შორიდან კე-დელზე მდგარი ჭაბუკი შენიშვნეს.

— წადი და გადაეცი, სანაპიროს გამგებელი გიხ-მობს-თქო!

— უბრძანა მხლებელმა.

კიმოთე არ იძვროდა.

— წადი-მეთქი, სანაპიროს გამგებელს ეჩქარება!

კიმოთე არც ამჯერად შერხეულა.

— ჯიუტობ?! — მხლებლის ხმაში მუქარა გაუდერდა.

— არა, ვფიქრობ!

— მტკიცე ხმით წარმოთქვა კიმ-

ოთემ და კოჭლ კაცს მიაჩერდა.

კოჭლი ერთ ადგილზე ისე მოუსვენრად აწრიალდა, თითქოს კიმოთეს გამჭოლ მზერას მის ტანში ელ-ვასავით გაევლო.

— რა საფიქრალი გაგჩენია რო!.. — მოთმინება გამოელია მხლებელს.

— რა და... შენ თვითონ უთხარი, აკი ამისთვის მოსულხარ! — მიუგო კიმოთემ, მიტრიალდა, ხალხის ნაკადი გაარღვია და შინისკენ ამავალ ბილიკს აუყვა.

— შეაჩერეთ! — ბრძანა კოჭლმა კაცმა.

სოფლელები არც შერხეულან. ისინი შურნარევი აღტაცებით გასცეროდნენ შინისკენ მხნე ნაბიჯით მიმავალ მეზობელს.

ყველას გასაოცრად კოჭლმა კაცმა დათმო. ჯერ შეიშმუშნა, დავთარი მოიმარჯვა, ხელის ცეცებით ისე გადაშალა, თითქოს რაღაც ამოიკითხაო, შემდეგ კი ხალხს გახედა და მოჩვენებითი სიმშვიდით წარმოთქვა:

— ახლავე წახვალთ და კედელზე მდგომს აქ მომგვრით!

ძნელი მისახვედრი იყო, საისრელების საყურადღებოდ ითქვა ეს, თუ მხლებლებისა, რადგან ამ ბრძანების შესრულებას, როგორც ჩანდა, არავინ აპირებდა.

— თვითონ მოდის! — ავად გაყურსული სიჩუმე დაარღვია რომელილაც სოფლელმა.

ქუჯი მართლაც ჩამოსულიყო კედლიდან და საისრესკენ მოემართებოდა.

კოჭლ კაცს სახეზე კმაყოფილების ღიმილმა გადაურბინა.

— იცოდეთ, თავნებობას ვერავის მოვუთმენ. აი, ასე, მორჩილად მეახლებით და მოინანიებთ შეცდომებს! — ხაზგასმული რიხით აუწყა მან საისრელებს.

არავინ უსმენდა. ყველა აუჩქარებელი ნაბიჯით მომავალ ქუჯის გაჰყურებდა, რომელსაც თან უსაზღვრო სიმშვიდე მოჰქონდა. ყოველი ჩვენგანი ინატრებდა, მისებრ უშიშარი და თავდაჭერილი ყოფილიყო.

ქუჯის სიმშვიდე ხალხსაც გადაედო. დაურიდებლად, ნიშნისმოგებით დაუწყეს კოჭლ კაცს თვალიერება, ერთმანეთს ადარებდნენ მას და მოახლოებულ ვაჟს.

ქუჯი კოჭლისგან შორიახლოს შედგა.

კოჭლი კაცი შურნარევი გრძნობით დააკვირდა მის წინ მდგომ, ჯან-ლონით სავსე, ლიანაბლისფერთ-მიან ახოვან ჭაბუქს, რომელიც არც ჩაცმულობით, არც მიხრა-მოხრითა და სახეზე აღბეჭდილი საკუ-თარი ლირსების შეგნებით მოედანზე თავშეყრილთ არაფრით ჰგავდა. „ეს ეშმას ანასხლეტი აქ საიდან?!“

— მნარედ გაიფიქრა, ქუჯის ტანზე შემოკვალთულ ტილოს ქათქათა სამოსსა და თამამად მოჩერებულ, ლურჯად მოკიანთე თვალებს მზერა აარიდა და ელ-ვისებურ შეტევაზე გადავიდა:

— მიპასუხე, ვინა ხარ, კედელზე ასვლა როგორ გაბედე, ნუთუ არ იცი, ამის გამო რომ დაისჯები?!. ქალაქის მმართველებს აინტერესებთ, რა მოხდა, რად არღვევთ ერთხელ და სამუდამოდ დადგენილ წესს. იმედი აქვთ, ეს მეტად არ გამეორდება. არადა, იძულე-ბული გავხდები, უკიდურეს ზომებს მივმართო!..

— ერთი გვიპრძანე, შენ თვითონ ვინ ხარ?! — გაან-ყვეტინა ლაპარაკის ეშხში შესულ კოჭლს ქუჯიმ.

კაცი წუთით შეცდა, მაგრამ გონს უმალვე მოეგო.

— სანაპიროს გამგებელი, კედლის გამო პასუხს პი-რადად ვაგებ.

— კეთილი, ვინც გნებავს, ის იყავი, მაგრამ ოდესმე გიფიქრია თუ არა, ამ ხალხს სამუქარო და სასაყვე-დურო თვითონ რომ აქვს?!

— რატომ, აკი დარაჯები თავიანთ მოვალეობას აქამდე კეთილსინდისიერად ასრულებდნენ და უკმაყ-ოფილება არასოდეს გამოუთქვამთ?!

— რომელ დარაჯებს გულისხმობ, აქ ხომ წლების მანძილზე თქვენი მხრიდან არავინ გამოჩენილა?!

— რატომ ჩვენი მხრიდან? თქვენზე ერთგულ დარა-
ჯებს აბა, სად ვიპოვიდით! — უტიფრად თქვა კოჭლმა
და მხლებლებს ნიშნისმოგებით გადახედა.

დუმილმა მოიცვა საისრე. მოსმენილისგან გაოგ-
ნებული სოფლელები ერთხანად კრიჭაშეკრულნი
გაჰყურებდნენ კედელს.

მერე ერთბაშად გამოფხიზლდნენ. მათ შეგნებაში
თანდათან იღვიძებდა მინავლებული სიამაყე, მობუ-
ზულ სხეულებში თითქოს დევის ძალა ეღვრებოდათ.
მოუხეშავი, დაკოურილი ხელები მძლავრ მუშტებად
იკვრებოდა და მოულოდნელად სოფლის ყველა წლო-
ვანი მამაკაცი წინა რიგებში ჩადგა. ქალები მორჩილად
გადგნენ უკან და აღტაცებული მზერა მიაპყრეს მათ
თვალწინ უცრად დავაუკაცებულ ქმრებს, ძმებსა და
შვილებს.

კოჭლი საქმის ასეთ შემოტრიალებას არ ელოდა.
შეცბა. ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოილო, სიმწრის ოფ-
ლით გახვითქული შუბლი შეიმშრალა. როცა მხლე-
ბლებმა მიატოვეს და ფერდობებიდან თავქუდმოგლე-
ჯით დაეშვნენ, ადგილზე დარჩა, უფრო სწორად, არც
გაქცევის თავი ჰქონდა და თავის მხრივ სოფლელებ-
მაც ფეხის გადადგმის საშუალება არ მისცეს.



საისრელებმა თავიანთ სახლებს რომ მიაშურეს,
თითქმის ინათა.

მთელი დღე უჩვეულო სიჩუმე იდგა სოფელში. დიდსა
და პატარას უმფოთველად ეძინა. საღამოს კი ერთი ური-
ამულით მოედვნენ ფერდობებს და წუხელ იმ კოჭლ კაცს
ხომ კუდით ქვა ვასროლინეთო, ბაქიბუქებდნენ.

ქუჯი სახლში იჯდა და სარკმლიდან აკვირდებო-
და თანასოფლელებს. იმედოვნებდა, — აპა, ან ახლა

გამიხსენებენ, ან ახლა მიმიხმობენ და მკითხავენ, ანი როგორ მოვიქცეთ, რა გზას დავადგეთო, მაგრამ არა-ვინ უხმობდა.

ჭაბუკი საგონებელში ჩავარდა. ვერ ხვდებოდა, რა სურდა ამ ხალხს, რა ჰქონდათ განზრახული. წინა საღამოს თითქოს გვერდით ედგა მთელი სოფელი და ყველაფერი დღესავით ნათელი იყო. კოჭლ კაცს სულის მოთქმის საშუალებას არ აძლევდნენ, კითხვას კითხვაზე აყრიდნენ, რისთვის დასჭირდათ კედლის აგება, რად აყარეს სოფელი, რას ერჩოდნენ ტაძარს ან რა უყვეს წინაპართა საფლავის ლოდები. კოჭლი თავიდან დუმდა, მაგრამ როცა პირველმა ელდამ გაუარა და ენა ამოიდგა, ისეთი სიცბიერე გამოიჩინა, ისე ოსტატურად უძვრებოდა კითხვებს ან ისე ორაზროვნად პასუხობდა, საისრელები გააცურა კიდეც. ქუჯი კედელს მიღმა რომ არ ყოფილიყო ნამყოფი და სანაპირო საკუთარი თვალით არ ჰქონოდა ნანახი, იფიქრებდა, კედლის აღმართვაში თითქოს რაღაც ზებუნებრივი ძალა იყო ჩარეული და ამ უღვთო საქმეში კაციშვილს არანაირი ბრალი არ მიუძღვოდა. კოჭლი საკმაოდ დამფრთხალი და შეცდუნებული ჩანდა, მაგრამ მაინც ბოლომდე სჯეროდა კედლის აგების, მისი ხელშეუხებლობისა და შენარჩუნების აუცილებლობა. ქუჯის სურდა შეეტყო, რა საფუძველი გააჩნდა ამ რწმენას, რომელსაც კოჭლი ასე თავგამოდებით იცავდა, მაგრამ სურვილი მხოლოდ სურვილად დარჩა და გული დასწყდა, რომ თავის გვერდით საკუთარ სიმართლეში კოჭლისნაირად ლრმად დაჯერებული თანამზრახველები არ ჰყავდა... თუმცა იყო ერთი, მაგრამ ის ჯერჯერობით საისრედან შორს ეგულებოდა...

კოჭლს ზოგჯერ სიფრთხილე დალატობდა. რამდენ-ჯერმე საისრელები თავხედური პასუხით მოთმინებიდან გამოიყვანა. ქუჯი მათ დაშოშმინებას ცდილობდა.

სოფლელები ერთ მხარეს იყვნენ, განრისხებულნი, კოჭლი კაცის გასათელად შემართულნი, თვითონ კი კოჭლის მხარეზე დადგა და მის დასჯას შეეწინალმდეგა, რადგან ეს არც ვითარებას შეცვლიდა და ვერც ამ საქმის მთავარ დამნაშავეს გაამჟღავნებდა. ამის მიუხედავად, სოფლელები და ის მაინც ერთად იყვნენ, ერთ საერთო მოწინააღმდეგეს დაპირისპირებულნი.

ხოლო, როცა ქუჯიმ კოჭლი კაცი საისრელთა ხელიდან ძლივძლივობით გამოიხსნა, კედლის დასასრულამდის მიაცილა და უკან შემობრუნდა, თვალი კოცონივით აბრიალებულ ფერდობებს მოჰკრა.

სოფელს რაც უფრო უახლოვდებოდა, მოუთმენლობა მით უფრო იპყრობდა და როგორ გაოცდა, როცა დაინახა, რომ საისრელებს ფერდობებიდან კედლამდე მიწაში ანთებული ჩირალდნები ჩაერჭოთ, თვით კედლიც გაენათებინათ და ზედ ხის კიბეები მიედგათ.

ზოგს კედელზე მოეკალათა, ზოგი უკვე მეორე მხარეზე გადასულიყო და სილაში კოტრიალობდა, ბევრს ტანგაუხდელად შეეტოპა ზღვაში.

ქუჯი დაბნეული უმზერდა ამ სიხარულისაგან აცეტებულ, აურიამულებულ ხალხს. ისინი ზედაც არ უყურებდნენ, თითქოს ვერც ცნობდნენ — სიხარულით აღტყინებულებს მისი არსებობა აღარც ახსოვდათ. ვაჟი ერთხანს გაშეშებული მისჩერებოდა მათ. მერე კედლიდან ჩავიდა და სოფლისკენ ამავალ ბილის აუყვა.

...მომდევნო დღეებში ქუჯი ფეხმოუცვლელად იჯდა სახლში და თავს ამაოდ იმშვიდებდა — როცა სოფლელებმა დაინახეს, რომ კედელზე ასვლის გამო სასჯელი არ მოელოდათ, თავისუფლების საოცარმა განცდამ და მოულოდნელობით გამოწვეულმა აღტაცებამ თავბრუ დაახვიათ, სანაპიროზე ჩავიდნენ, მთელი ლამე მხიარულებასა და ცეკვა-თამაში გაატარეს, ხოლო თვით კედლის დანგრევა, ალბათ, შემდე-

გისთვის გადადესო, და იცდიდა, რომ სოფლელთაგან ვინმე მაინც გონს მოეგებოდა და სხვებსაც აამოქ- მედებდა. იხსენებდა თეთრად გათენებულ ღამეებს. მის ყოველ ოცნებაში ხომ თავდაპირველად კედელი ინგრეოდა, ნაცარმტვერდებოდა და ნამდვილი მხი- არულებაც მხოლოდ ამის შემდეგ იწყებოდა... ახლა კი მისი დანგრევა არავის აზრად რომ არ მოსდიოდა, მოუსვენრობა იპყრობდა.



ორი კვირის თავზე კედელზე მცველები ჩამოაყენეს.

საისრელები მღელვარებამ მოიცვა. ყოველდღე ელოდნენ შეიარაღებული ხალხის სოფელში შემოჭ- რას, მაგრამ ისინი კედლიდან არ ჩამოდიოდნენ და შორიდან უთვალთვალებდნენ ფერდობებს.

საისრელებს ნარმოდგენა არ ჰქონდათ, კე- დელს რომ მიახლოებოდნენ, რას მოიმოქმედებდნენ მცველები. ამ კედელივით თვალის ასახვევად იყვნენ ჩამოდგარი, თუ პირველსავე ბრძანებაზე მათი ნების დამრღვევებს სასიკვდილოდ გაიმეტებდნენ.

ყველაფერი იყო მოსალოდნელი, მაგრამ კედ- ლის გადალახვით განცდილი სიხარულის გრძნობა სოფლებზე ისე ძალუმად მოქმედებდა, თავიანთ ეზოებში მოუთმენლად წრიალებდნენ. „ეს რომ გვ- ცოდნოდა, არამცთუ იმ ღამეს, მომდევნო დღეებშიც კედელს გადავლახავდით და ზღვიდან არ ამოვიდოდი- თო“, — სინანულით იმეორებდნენ...

მცველები დღელამეში სამჯერ იცვლებოდნენ. კე- დელზე თოფმომარჯვებულები იდგნენ და ფერდობებს შეფენილ სოფელს სახემოქუფრულნი გასცეკროდნენ.

საისრელები მცველებზე მეტად ბავშვებმა ჩააგდეს საგონებელში. ისინი შინიდან დილაუთენია იპარე- ბოდნენ და დაღამებამდე სადღაც იკარგებოდნენ.

მალე გაირკვა, რომ სათევზაოდ დადიოდნენ. მშობლები უშლიდნენ, სჯიდნენ, მაგრამ ვერაფერმა გაჭრა.

ცოკო

როგორც კი კედელს მივუახლოვდებოდით, მცველები და იძინვრებოდნენ და კედელ-კედელ მოგვყვებოდნენ. კედლის სამანს გავცდებოდით თუ არა, ერთ ადგილზე დაერტობოდნენ და გვითვალთვალებდნენ. მთელი დღე სარგადაყლაპულებივით იდგნენ თაკარა მზის ქვეშ. ისიც კი არ მოაფიქრდებოდათ, ჩრდილს შეფარებოდნენ ან იმ დასაქცევი კედლიდან სულაც ჩამოსულიყვნენ და ზღვის ტალღებში გაგრილებულიყვნენ.

ონოფრემ თქვა, ესენი, ალბათ, ხისთავიანები არიან, თორემ ასე რომ არ იყოს, ამ გაუსაძლის სიცხეში ტვინი როგორ არ აუდუღდებოდათო...

ჩემი უმრნემესი ძმა, ბატა, კედლისკენ მიბრუნდებოდა ხოლმე და ზედ გადმომდგარ მცველებს მუშტს ულერებდა. ერთი ორჯერ თავში წავუთაქე, მაგრამ ამ ეშმაკის ფეხთან რას გახდები? ისინი ბატას მუქარას აინუშიც არ აგდებდნენ ან მგონი, ვერც ამჩნევდნენ.

საღამოობით სოფლის თავში დედები გველოდნენ. თუ პირველ დღეებში სათევზად სიარულის გამო ერთ ვაი უშველებელს გვაწევდნენ, თანდათან ისეთი გულისხმირები და ალერსიანები გახდნენ, გვიკვირდა.

კითხვას-კითხვაზე გვაყრიდნენ: რა ნახეთ, როგორი იყო ზღვა, როგორ ითევზავეთ, კედლის მცველებს ხომ არაფერი დაუშავებიათო. გულში გვიკრავდნენ, ნანადირევს ხაზგასმული პატივისცემით ჩამოგვართმევდნენ და შინისკენ მიგვიძლვებოდნენ, რომ ჩვენი ნადავლით თავი მოეწონებინათ, თევზი „ბებეისრულად“ შეებრანათ და ცოტ-ცოტა ყველასთვის ეწილადებინათ. გვაქებდნენ, გვათამამებდნენ, მოზრდი-

ლებსავით მოწინებით გვეპყრობოდნენ, თუმცა არც სიფრთხილე ავინყდებოდათ და მცველებთან მიახლოებას გვიშლიდნენ.

ჩვენი საქმიანობით მოხუცებიც დაინტერესდნენ. ისე გულისყურით გვისმენდნენ, თითქოს ზღვაზე ჭიპ-მოჭრილი მებადურები ვყოფილიყავით. მათგან განსხვავებით, ჯეელები თითქოს არაფრად გვაგდებდნენ. საქციელზე ეტყობოდათ, მოხუცებზე ნაკლებ როდი სურდათ ყველაფრის დაწვრილებით გამოკითხვა, მაგრამ ჩვენს კვალზე სიარულს თაკილობდნენ და ჩვენს მონდომებას უფრო ბავშვურ გატაცებას მიაწერდნენ. თევზის ჭერა და ზღვის გრილ ტალღებში სულის მოთქმა მათაც ძალიან ენატრებოდათ, მაგრამ უშნო ამპარტავნებს აყოლილნი და სიფრთხილემოძალებულნი, ძველებურად ფერდობებზე შეფენილ ნახირს დასდევდნენ, თან, ზედმეტი არ მოუვიდეთო, ცალი თვალი ჩვენკენ ეჭირათ.

რასაკვირველია, ქალებისა და მოხუცების ყურადღება გვსიამოვნებდა, მაგრამ პირველ რიგში მაინც ვაჟეკაცების თანადგომა, მათი მხარდაჭერა გვჭირდებოდა.

როგორ გვინდოდა, ისინი კვლავ დაპბრუნებოდნენ ძველ ხელობას, ესწავლებინათ ყველაფერი, რაც ზღვასთან იყო დაკავშირებული, მაგრამ ხმის გაღებას არ გვაცლიდნენ. „მესაქონლე ხალხი ვართ და ზღვასთან არაფერი გვესაქმება, ამ სისულელეს თავი დაანებეთ“, გვაფრთხილებდნენ.

ონოფრესგან გამიგია, საისრეში გადასახლებამდე სოფელს თურმე თამბაქოც უხვად მოპყავდა, მიწას ქაფშიითა და თევზის ნარჩენებით აპოხიერებდნენ. რაც თევზის ჭერაში ხელი მოეცარათ, მიწა გაუნოყიერებელი მირჩა და ამ საქმესაც ნელ-ნელა მიანება ხალხმა თავი. ჩვენებურ თამბაქოს არაჩვეულებრივი სურნელი ჰქონია და მის შესასყიდად ვაჭრები თურმე შორეული მხარეები-

დან მოემართებოდნენ. დღეს კი მგონი არც არავის ახსოვს ბებეისრული თამბაქო და მარჯნის სამკაულები. ხის ნაკეთობებიც იშვიათობა გახდა.

სახლებს მიკრულ ბალ-ბოსტნებს, ვაზს, სიმინდის ყანებსა და თამბაქოს კვლებს უმეტესწილად თურმე ქალები, მოხუცები და ბავშვები უვლიდნენ, ხოლო ჯეელ კაცებს მებადურობის გარდა არაფერი ახსოვდათ, ახლა ეს საქმიანობა ბალლურ გართობად მიაჩნდათ ან გადაჩვეულიყვნენ. ჩვენ კი თევზაობა არ გვეხერხებოდა, არც გამოცდილების გამზიარებელი გვყავდა ვინმე და არც დამრიგებელი.

რამდენიმე ბავშვი ბადეს გაშლიდა და სანაპიროს გასწვრივ ტალღებს მისდევდა. ბადეში თითო-ოროლა ჭიჭყინა თუ მოხვდებოდა, დიდის ამბით ჩავაგდებდით კალათაში და მერე ისევ თავიდან შევუდგებოდით თევზის დევნას. ბიჭების უმეტესობა რიფებში ხელაობდა.

მზის ჩასვლის შემდეგ ჩვენი ნადავლით საისრესკენ დავიძერებოდით. ჩვენს გვერდიგვერდ კედელზე მცველები მოაპიჯებდნენ. ისინი არაფერს გვიშავებდნენ და ჩვენც, ვითომ მათ არსებობას აინუნში არ ვაგდებდით, გრძელსა და მომქანცველ გზას არხეინი სიცილითა და ხორხოცით გავდიოდით.

მერე ის იყო, სიჯიუტეს უფროსებმაც სძლიერ. სანაპიროზე თითო თითოდ ჩამოდიოდნენ. ჯერ ვითომ სხვათა შორის გვადევნებდნენ თვალს, მერე მოგვიახლოვდებოდნენ, გაწაფული ხელით ბადის ნაიჭებს აკრეფდნენ და ისე მარჯვედ მოისროდნენ, სული შეგიგუბდებოდა.

საღამოობით თევზის ჩასაყრელად კალათები არ გვყოფნიდა. ისევ კაცებმა იმარჯვეს, მთებს მიაშურეს და სახელდახელო ხელურმები გამართეს. ზედ თევზს ვყრიდით და ოლროჩოლრო გზაზე ვეზიდებოდით.

თევზის სიუხვით გახალისებულ უფროსებს ზღვამ თანდათან დიდი იმედები ჩაუსახა. მორების ზიდვა იწყეს მთებიდან და ნამდვილი ფელუკების კეთებას შეუდგნენ.

მთელი სოფელი თლიდა ფელუკებს. საისრე ფისის სუნით გაიჟღინთა. საქმეში უფროსებს არც ჩვენ ჩამოვრჩებოდით. ყველა რაღაცის გაკეთებას ცდილობდა: ქალები ქსოვდნენ ბადეებს, კერავდნენ აფრებს და ლობებზე გასამზეურებლად ჰკიდებდნენ. მზიან ამინდში საისრესთვის შორიდან რომ შეგეხედა, ფერადი ქსოვილებით ისე იყო აჭრელებული, სათევზაოდ გამზადებული უზარმაზარი ორჩხომელი გეგონებოდათ.

ამიერიდან ჩვენგან საქონლის დევნას ალარავინ ითხოვდა. მალე სოფელმა მათი პატრონობა რამდენიმე სანდო კაცს ჩააბარა.

სათევზაოდ სისხამ დილით მივეშურებოდით. საღამოს სოფელში რომ ვძრუნდებოდით, სასიხარულო ამბები გვხვდებოდა: ფელუკების რიცხვი დღითიდლე მატულობდა.

მაგრამ იმის შემდეგ, რაც საისრელებმა მებადურობისთვის მზადება იწყეს, ქუჯისთვის თვალი არავის მოუკრავს. კიმოთემ ერთ-ერთმა პირველმა გამართა ფელუკა. უქებდნენ ხელობას. ვიღაცამ თქვა, ქუჯის მისი ნახელავისთვის არცკი დაუხედავსო.



ქუჯის ბებეისერის იავარქმნილი სანაპირო თვალინი ედგა ნიადაგ. სოფლელთა საქმიანობას სარკმლიდან აკვირდებოდა და გამუდმებით ფიქრობდა, ისეთი რა მოემოქმედა, რომ მეზობლები ყველაფერს შეშვებოდნენ და კედლის ნგრევას შესდგომოდნენ.

ბოლო დროს ცხად-სიზმარი ერთმანეთში აერია. სოფელი წყვდიადში რომ ჩაინთქმებოდა, ბილიკზე დაეშვებოდა და კედლის შიგნით აღმართულ კოშკურებში მყოფ მცველებს უთვალთვალებდა, რომ მათი უყურადღებობით ესარგებლა და კედლის სიმტკიცე ერთხელ კიდევ გამოეცადა.

კედელზე პირველად რომ ავიდა, უჩიასთან ერთად რამდენიმე ადგილას სცადა მისი განგრევა, თუმცა მტკიცედ ჩადუღაბებულს ვერაფერი დააკლო. უჩია თავგამოდებით არწმუნებდა, ამ სალ კლდეს ტყუილად შევასკდებითო, მაგრამ გუმანი კარნახობდა, მთელი კედელი ასე მკვიდრად არ იქნებოდა ნაგები, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, სუსტი წერტილი უნდა მოეძებნა და თუ საქმეს ადგილიდან დაძრავდა, მერე შემაჩერებელი ძალა ქვეყნად აღარ ეგულებოდა.

მცველები ფხიზლობდნენ. უმნიშვნელო გაფაჩუნებაზეც კი განგაშს ტეხდნენ.

ქუჯიმ კარგა ხნის თვალთვალის შემდეგ შენიშნა, რომ ისინი კედლის განაპირას წამომართულ კოშკურებში ღამლამობით თავის მაგიერ თოფმომარჯვებულ ტიკინებს ტოვებდნენ.

ერთ ღამეს ძალაყინი და წერაქვი წამოკრიფა და კედლისკენ დაეშვა. შუალამე იქნებოდა, მის კიდემდე რომ მიაღწია, ხელსაყრელი ადგილი შეარჩია და სუსტი ადგილის მოსინჯვას შეუდგა.

კედელი გაჯიქდა, მაგრამ ქუჯი იარაღს არა და არ ყრიდა. დაღლა რომ მოერეოდა, ჩაცუცქდებოდა, სულს მოითქვამდა და ისევ თავგამოდებით იქნევდა წერაქვსა და ძალაყინს. ამაო ძალისხმევის შემდეგ იმედგაცრუებულმა წერაქვი ძირს დაახეთქა, სიძულვილით მოავლო კედელს თვალი, ხელსაწყოები საიმედო ადგილას გადამალა და სოფლისკენ ამავალ ბილიკს ილაჯგაწყვეტილი აუყვა.

მომდევნო ღამეებსაც კედელთან ჭიდილში ატარებდა. თანდათან მცველების მიმართ შიშის გრძნობა გაუქრა და სხვა ადგილების მოსინჯვაც სცადა. კედელი რაც უფრო მეტად უძალიანდებოდა, მისი დამორჩილების სურვილიც უორკეცდებოდა.

ზედიზედ რამდენიმე ღამის ხელმოცარვის შემდეგ კედლის მეორე ბოლოს კენ გაემართა. საისრელთა უმოქმედობით გათამამებულ მცველებს ის მხარე საერთოდ უმეთვალყურეოდ დაეტოვებინათ.

პირველ ორ ღამეს ქუჯიმ კედელს ამაოდ შეალია ძალ-ღონე. მესამე ღამეს, როცა კედლის ზედა ნაწილს უტევდა, მოულოდნელად ძალაყინმა ხელის სიფართე დუღაბი აისხლიტა.

სიხარულმა წინა ღამეების ხელმოცარვა და უზომო ყოყმანი ერთბაშად გადაავინყა და სულმოუთქმელად შეუდგა ბზარის გაფართოებას.

რამდენიმე ხანში დუღაბი უფრო დამყოლი და ფშვნადი გახდა, ხოლო როცა ზედაპირი ამოანგრია, სუნთქვა შეეკრა — კედლის მხოლოდ გარკვეული ფენა იყო მოპირკეთებული, შუაგული კი საშენი მასალის დასაზოგად ქვა-ღორლით ამოევსოთ...

ქუჯი კედელს გათენებამდე არ მოსცილებია. დუღაბი ხუთ ადლზე ამოანგრია, ხოლო, როცა ქვა-ღორლს მიადგა, თითქოს საყრდენი გამოეცალაო, კედელი თავისით ჩამოშვავდა...

ერთიანად გასავათებული ქუჯი იქვე ჩაჯდა და თავის ნახელავს თვალს არ აშორებდა.

იმის მაგიერ, რომ ნამომხტარიყო, სოფელში ავარდნილიყო და ეს ამბავი ყველასთვის ეხარებინა, ფეხს ვერ სძრავდა, შეჰყურებდა გულფუტურო კედელს და სინამდვილეს ნელ-ნელა აცნობიერებდა.

„ბებეისრელთა ძალისა და ვაჟკაცობის გამოსაცდელად თუ ააგეს?!“ — გაუელვა მოულოდნელად.

უნინ თურმე ბებეისრელებს უბადლო სტუმართმოყვარეობითა და ხელგაშლილობით მოჰქონდათ თავი. „ჩვენთვის შეუფერებელი საქციელის ხვებისთვის დირსებააო“, — გაიძახოდნენ და ვერ ხვდებოდნენ, რომ ის შეუდარებელი წეს-ჩვეულებები, რომლებიც წინაპართაგან

გადმოეცათ და რომლებითაც აგრერიგად ამაყობდნენ, დიდი ხანია დავიწყებას მისცემოდა, მაგრამ გარეგნულ უზრუნველობასა და მხიარულებას ვერ ეშვებოდნენ და ვერც კი ამჩნევდნენ, რომ ტკბილ მოგონებათა გარდა, ხელთ აღარაფერი შერჩენოდათ. მერე მოვიდა კოჭლი კაცი და იმის მაგივრად, რომ მისთვის წინააღმდეგობა გაეწიათ, უსიტყვოდ, უკანასკნელი გლახაკებივით დამორჩილდნენ. უბედურების მიზეზთა გასარკვევად კი თავი მაინცდამაინც არავის შეუწუხებია...

ფიქრებიდან ვიღაცის ნაბიჯის ხმამ გამოარკვია.

უკან მიიხედა. შორიახლოს მხცით მოსილი, მხარზე აბგაგადაკიდებული, სადად გათლილ ჯოხზე დაყრდნობილი ბერიკაცი იდგა და კედლის ნაპრალიდან ზღვას გასცემოდა.

ქუჯი წამოიჭრა და გაოცებით მიმოიხედა ორგვლივ.

მოხუცმა ზღვას თვალი მოსწყვიტა და ფეხზე წამოჭრილს დააცემდა დაუინებით.

— კიმოთეს ვაჟი უნდა იყო შენ. — გაისმა მისი მშვიდი ხმა.

დაბნეულმა ქუჯიმ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

მაღალ, სწორ ტანზე მორგებული ჩალისფერი უმასრებო ჩოხა მოხუცს მეტად დარბაისლურ იერს სძენდა.

— ძალიან ჰეგავხარ, — ჩაიდუდუნა, კედელს მიუახლოვდა და მის შუა ფენას ჯოხის წვერი წაჰერა.

ქვა-ღორლი ხმაურით ჩამოიშალა.

„საკვირველია, როგორ გაძლო ამდენ ხანს!“ — გაიოცა თავისთვის, შემდეგ კი ქუჯის მიუბრუნდა.

— მამაშენი როგორ არის?

— სოფლის პირობაზე არცთუ ურიგოდ. — უბასუხა ქუჯიმ.

მოხუცმა მზერა ჯიქურ შეავლო, მიტრიალდა, ჯოხი მოიმარჯვა და კედელს მიარტყა.

„მაინც როგორ გაძლო ასე დიდხანს?!“ — გაუმეორა დუდუნით თავის თავს.

ქ՛յշի պարագաղեծութ այլուրդեծութ մուս համոյննուն
սաենս նայութեծ և բաղադրութ գաեսենեծաս լուսականութ.

— Ցանքու, პորվելագ ցեղազտ. ոյնեծ մուժութանու,
սաօդան ունութ մամահեմս? — Անոնցուսմուզարեութ զեր
դադարա ჭածումա.

— Ի՞մու մամացնութը թուլուա.

մուխա, զոնց ոսկ. Սոյլելեծու մուժարնու ամ-
ծութենք, չէյսասայութեազո կապուա և սոյութուրու
գասաֆուրու ռոմ ալմոհնութեծութենք, մուս սաելու աե-
սենեթենք. ռոնութը եմուրագ սոյութեծութ ամ կապնու.
կագութ ասաւա ռոմ ցագանցութա, մուխութան նասաւա
ռամութենջերմե մունդումա, մագրամ պատապա ռալա-
ւամ մեյսալա ելու.

— Սոյլելու ուշենութ գուգ ունակութա ամպարնուն.

— Այսուկան ցուլու պատապա մումունց ամպարնուն.
Մենու ասաւա ռոմ մեյսա պալու ուշենութուրու,
գաս և անու ռապ սունդա մեյսեմութեաս, սուլ յրտուա-մետյու,
գագութարա ի՞մու չալած ցամոմմա ունակութեծուսաս և այսու
ցամութուրու.

— Ուշենութա մելու ոյնեծութ ամ ցուս ցամուա,
դասկանցութութ.

— Պորույտ, ռոգորու կո ծեծեուսերու սանակութա
մուխակլութ, սոմենցու մումութա.

— Ծեծեուսերու? կո մագրամ, սագուա ծեծեուսերու?
յրտուանագ ցագատերութ-ցապարնութեծուրու.
աելու մե-
տուրու սասըսրա ի՞մունու. Սոյլելեծու ամ աելու պայտաս
ուսե հակուրունու, այ ուռութալու տապու ար սուրտ համու-
թա. ուղարկութ ուշենութ, ուշենութ ուշենութ կուգու, մագրամ
ումտապրուսու ჭորու մոմուրութա ամ կագութ ունա-
գրեզանու արու ույժութենու.

մուխութ ուղարկութ.

— Ուշենութ մեգու արագուրու աեսութ. դանարի-
նու ի՞մուն ար ցագութա, ցագութա ան, ամ ուղարկութ սա-
գրութելու մումութ.

— ამდენი წლის მანძილზე დამფრთხალ ადამიანებს გონს მოსასვლელი დრო ჭირდებათ. ისიც დიდი საქმეა, ზღვისკენ რომ მოიწევენ.

— იქნებ თქვენ იცით, რისთვის დასჭირდათ ამ ხალხის ასე დაშინება, ან ვინ იყო, ვინც სოფლის აყრა და გადასახლება გადაწყვიტა?!

მოხუცი დუმდა. გარღვეული კედლიდან ამომავალი მზის სხივებზე ათასფერ ათინათად მოლივლივე ზღვის ზედაპირს თვალს ვერ სწყვეტდა.

ლუკა

ფერადი აფრებით მოჩითული სოფელი სადლესას-ნაულოდ მორთულს ჰგავდა შორიდან, მაგრამ ახლოს მისულს სუნთქვა შემიგუბდა.

გვერდზე გადაბრეცილი, ყავრის სახურავიანი მომცრო სახლები პირველსავე ამოვარდნილ ქარს აემზავრებიანო, იფიქრებდი. დროთა მდინარებაში ყველა მათგანი ტყუპისცალივით დამგვანებოდა ერთმანეთს: ჯუჯა ხეებიანი წინა ეზოებით, სახლებზე მიკრული პირუტყვის სადგომებითა და სიღატაკით.

მალევე შეგვნიშნება, მაგრამ არავინ გვეგებებოდა. აივნებზე იდგნენ უძრავად და თვალს არ გვაცილებდნენ. კიმოთეს ვაჟმა თქვა, ალბათ, კედლის მცველების მოგზავნილი მაცნე ჰგონიხართ და ამიტომ მოგჩერებიან ასეო.

საისრესკენ საცალფეხო ბილიკს ავუყევით. სოფლელებს ამდენი ხნის განმავლობაში ხეირიანი სავალი გზის გაყვანისთვისაც კი არ უზრუნიათ. გეგონებოდა, სანაპიროსთან მისასვლელი თავიანთთვის თავადვე მოუჭრიათო.

საერთოდ, ფერდობებზე მინა მწირი და უნაყოფო იყო. სოფლელებს როგორდაც მოეხერხებინათ და დაემუშავებინათ, მაგრამ რამდენსაც არ ცდილიყვნენ, მასზე მოწეული სარჩო ადრე გაზაფხულამდეც არ გაჰყვებოდათ.

մաժոն սայմե ցագասաելլեքանց րոմ մոդցա, ծեղեօս-րելլեքմա յև մոդամոյեքո պատաս արհոյես, տպմբա Տօ-մարտլե րոմ ուշվաս, Տեշա ցամոսազալո արց Ֆյոնոնատ. Կոֆլմա պատաս ուշ դաարնմունա, զոտոմ Շետացանցեքնուլո ագցոլլեքնուն յութորագրեսոնց Ցերգոնեքն ուշոտոն մո-անույոտ.

Ռոցորց ցագան ჩազնցա, ման մեռլու ցագասաե-լլեքնուն ռոջո դացասաչչա. մցոնո, մոսո յրտ-յրտո մտա-ցարո մոխանո ու ոյո, մորունա ցացեյորա, հցենս մո-նանց ռոցոր ուարքամեքնեն յուցեո ագամոյանցեքո, յեցո Սանապորոս նագորամո չչազրու ցալցամոերնուլեքն ցացարդա ծեղեօսերնց դա յև ծերնո մեարց հցենցուլո ցացացաճա, Շեցցունեքնուն դա դացոնց յութուն մոցա-ցա պատացերո, րոտաց ագրո ցայլունց յուլուն մուն.

Տասը րաց յուցոր մեթագ ցայաելունց դեքուն, վրնմնուն դեքուն, րոմ կոֆլս Տանագելուստացու մո-յելնոա. Լուցլելլեքո հեմմա ցամոհենամ ոմքենագ դաա-ցրտեօ, տացունուն Տաելլեքուս ազնենց նաց Ռալաց Տուցուս մոլուն դունքու լանց դեքուն ցարնոնց յուլուն յունեն.

Ճոլոս, Ռոցորց ոյնա, ցամեցառքա մոուրունք, ազնեքո դատուցու դա Շեմոցցեցենց. ուշետո ցնո-ծունագունու մոմիյունուն ազնենց նաց Ռալաց Տուցուս մոլուն դունքու լանց դեքուն ցարնոնց յուլուն յունեն.

Ցերացու ցնուն դունքու. Ծրուտա ցոտարքամու տոտյուս յանուսա դա տմուս ցերուց կո Շեցունուն դատ — տետպորմո-նա, Քանամուն գունու յալլեքուս նաց հեմմա նոն ուցնեն Տայոնուս դեցնուսա դա Քպե-լրեքու նաննալուսցան ցայս-եմենուն, Ցեսնուն յալլեքու, նոտուրո դեգայացեքո. մծոմե Շրոմաս մոից յուլուն, դամամուն եցունքու մորհուն ցալցուն դա տալ-պուրագ ոյցնեն յուցունու.

ծեղեօսերքո յալլեքո մամայացեն Շրոմամու Քոլս ար յուցեքնեն, մացրամ ասետո ցանամենուն դա յսա-սոո ցամոմեթպատեք արասունք Ֆյոնոնատ. Տորոյետ,

მათი სიმღერები და მხიარული ხმები აცოცხლებდა ზღვისპირა სოფელს.

ქალების გვერდით დაგვალული, სახედაჭორფლილი და მობუზული ბავშვები იდგნენ. პირდაფრინილები მომჩერებოდნენ, დროდადრო უფროსებს შეავლებდნენ თვალს და ისედაც დაკონკილ სამოსს მოთხვრილი თითებით წინკნიდნენ.

კაცები ქალებზე უარესად გამოიყურებოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ვიღაცამ გახუმრება სცადა, მათ სახეებზე სევდიანი გამომეტყველება არ წაშლილა. კიმოთეს ვაჟმა მითხრა, კედელზე გადასვლის შემდეგ ცოტათი გამოცოცხლდნენო. წარმომიდგენია, მანამდე რა შესაბრალისები იქნებოდნენ.

ხალხს ჭალარა, სახედამჭკნარი ბერიკაცი გამოეყო. ყურადღებით მომაჩერდა, მერე მომიახლოვდა, ხელი გამომიწოდა და მომეხვია.

კიმოთე გამოდგა. თითქოს ტანადაც დაპატარავებულიყო, სახეც ისე შეცვლოდა, ცნობა გამიჭირდა. აქედან რომ გამასახლეს, ხალისიანი, გამბედავი ვაჟეაცი იყო. ოცნება უყვარდა, რას არ აპირებდა... მაგრამ ახლა ჩემს წინ წელში გაწყვეტილი და დაჩაჩანაკებული ბერიკაცი იდგა. ცოლ-შვილი როგორ გყავსო, თითქოს მოვალეობის მოსახლეობად მკითხა და განზე გადგა.

მერე სოფლელები რიგ-რიგობით მოდიოდნენ და ხელს მართმევდნენ. ინოფრემ კი, რომელიც ასე თუ ისე, სხვებზე ყოჩალად გამოიყურებოდა, ნაწყვეტნაწყვეტ მიამბო ბევრი რამ, ოლონდ ბოლომდე არც ერთ ამბავს არ ასრულებდა, რადგან მათი მოსმენა დამზაფვრელი იყო.

თანასოფლელები იმედის თვალით შემომყურებდნენ. შენს მოლოდინში ვიყავით, განუწყვეტლივ გზისკენ გვეჭირა თვალიო, მაგრამ კედელთან დაკავშირებული ამბების შესახებ სიტყვაც არ დასცდენიათ. ფელუკებზე მოჰყვნენ დაუსრულებელ საუბარს. ყველას საკუ-

თარი ნახელავის ჩვენება უნდოდა, ყველა სახლში მე-პატიუჟებოდა. სიღუხჭირის მიუხედავად, ჩანდა, ძველი სტუმართმოყვარეობა მაინც არ დავიწყნოდათ.

საღამოს კიმოთესას ვარჩიე მისვლა. ქუჯი ხალ-ისით მიგვიძლოდა. კიმოთემ ზოგიერთი სოფლელიც მოიპატიუჟა, მაგრამ ისინი უარობდნენ. კიმოთე მათ-მა უარმა გააკვირვა. პურ-მარილზე ხელი მიკრესო, განაწყნდა და მეზობლების მოსაბრუნებლად გაინია, მაგრამ ონოფრემ რაღაც გადაულაპარაკა და შედგა.

მე, კიმოთე და ონოფრე ღარიბულ ტაბლას ვუსხედით. ბებეისრული ჯიშის ვაზისგან დაწურული ღვინის მაგიერ რაღაც უფერული, მწკლარტე სასმელი შემომთავაზეს. თვითონ ამ სასმელსაც ისე შესჩვეო-დნენ, უწინდელი ღვინოსგან განსხვავებას ვეღარ ატყობდნენ და „ნამდვილ ბებეისრულს“ ეძახდნენ.

საისრელთა ნახვითა და განცდილით დაღონებული, უგემურმა ღვინომ უფრო დამთრგუნა. მასპინძელიც გუნებაზე ვერ იყო. კოპებშეყრილი ონოფრეს გულის გამანვრილებელ, მონოტონურ საუბარს ყასიდად უს-მენდა. ქუჯი ჩვენს შორიახლოს იჯდა. ერთხანად ყურს გვიგდებდა, მერე დაღლილობა ახსენა, ბოდიში მოიხ-ადა და ოთახიდან გასვლა დააპირა. კიმოთემ იფეთქა. ქუჯი ნირნამხდარი შეჩერდა კართან და თვალს არ მაცილებდა. ჩვენს შორის მხოლოდ მე ვიცოდი, რომ მართლაც ქანცგანყვეტილი იყო და მისთვის ახლა თვალის მოტყუება წამალი იქნებოდა.

— წავიდეს, ჩვენსავით ღამის თევას არაა ჩვეული. — დამასწრო ონოფრემ.

— გაუშვი, დაისვენოს. — გამოვესარჩლე მეც.

ქუჯიმ ერთხელ კიდევ გვთხოვა პატიება და დაგვტოვა.

— ასეთი უჯიათი ვის დაემსგავსა, ვერ გამიგია. ეს რა გვიყო, კაცო!.. მთელი სოფელი ლამისაა, გადაირი-ოს. აქამდე ხომ ვიყავით ჩვენთვის, ხელს არავინ გვიშ-ლიდა, მოგვყავდა სიმინდი, ვმწყემსავდით საქონელს,

თავი როგორდაც გაგვქონდა, დაბრუნდა ეს, — კარისკენ მიგვითითა, — და აგერ, გუშაგებიც ჩამოგვიყენეს. ადრე მარტო კედლით თუ გვაშინებდნენ, ახლა ესენი გვაფრთხობენ... მთელი სოფელი ფელუკების კეთებაზე გადაირია... ჩვენ არ ვიყავით, საკუთარი სურვილით რომ შევეშვით მებადურობას და ხელი სხვაგვარ ცხოვრებას მივყავით?! — წამოიწყო კიმოთემ.

— ჯერ ერთი, მშვენივრად იცი, მებადურობას ჩვენი ნებით არ შევშვებივართ. მეორეც, შენი თავი გაიხსენე, მის ასაკში რაებს სჩადიოდი, — შეეპასუხა ონოფრე, — ონოფრე შერეკილიაო, ამომიჩემეთ, ონოფრე ენატარტალააო, გაიძახით (კიმოთემ რაღაცის უარყოფა განიზრახა), — გაჩუმდი, ყველაფერი ვიცი! — სიტყვა გააწყვეტინა ონოფრემ და ხმას უფრო აუწია. — დამცინოდით, მასხრად მიგდებდით. ჩვენი სოფლელები არ იყვნენ, კედელზე გადასვლა რომ მოვინდომე და დამასმინეს, სახლი გადამინვეს და ხელკეტებით მიმასიკვდილეს. კი, ვაღიარებ, დამაშინეს, მაგრამ ამ კედლის იქით დარჩენილ მიწაზე ფიქრი არასოდეს შემიწყვეტია, ნუთუ ჩვენ შორის არ უნდა გამოჩნდეს ისეთი ვინმე, ვინც სოფელს თვალს აუხელს-მეთქი?.. ყველა ოცნებობდა, ნეტა, იმ დღეს მომასწრო, როცა კედელს რამეს მოუხერხებენო. ყველა ნატრობდა, მაგრამ ხელის გატოკება არავის სურდა. გვეშინოდა, ჩემი კეთილო, გვეშინოდა და იმიტომ. მე რაღა გოლიათი ვიყავი, მეც მეშინოდა... და აი, შენმა ვაუმა შეძლო ის, რაზეც ჩუმ-ჩუმად ვოცნებობდით... ხომ დარწმუნდი, რომ გვატყუებდნენ?! მაგრამ თქვენ ეს ტყუილი რატომლაც სიმართლეს გირჩევნიათ...

— შენი შვილი გაგეშვა იქ და იმასაც ვნახავდი, როგორ იჭიკჭიკებდი! — შეაწყვეტინა კიმოთემ.

— აი, კიდევ ერთი შეურაცხყოფა! რას იზამ, ჩემ შვილს ვერ გავუშვებდი, რადგან არასოდეს მყოლია, მაგრამ იმ ღამეს ქუჯის ჩემი გაზრდილი ძმისწული რომ ახლდა, მგონი, ესეც რაღაცას ნიშნავს.



կոմուղես սաხուս յշամբու նազարետի Շեղործոլդա. նոհա-
ծովութ գարուտու կելուս մուշանու մեարնու մուշուա ռնուցըւ.

— Եօյատս րոմ յաջապրուցնեն? — մուրու ամուլերլա.

— Շե յաս յապրու, յե նածոյա յոնմես եռմ յնճա յաջա յացա!
ան ռուցէմց յնճա յութանքալուտ ամ մտա-լրեմի... թլզամ
կելու յայրառ, արմնյուցքուտ քայշչեմս, Շեմց յա յէյան
մորս մոյսայացատ, րոմ յայցու ար մուշարուցնեն...
ոմ դուս յռքլու յապրու րոմ յամունճա, Շենմա պասյսեմա ճա
յշինշրագ յայլամ մտելու սոյցու ալդայուցեմամ մոյս-
զանա, մայրամ րագ յոնճա, ածլա յնյալմու յորո յայլայերս.
սուսածունե մոյրայուս, իյեմու մմառ, սուսածունե!

— Արայուտարու սուսածունե! Մայու յամո յայցուտաց.

մատու նատյամուդան ծեցրու րամ մեցուլուսեմա. մասաց
յատիցունց, րոմ մերուցքուցնեն ճա սատյմելու ծո-
լումց ար մեյսնեցուցնեն.

...յոմուղետան յոյնուսաս ճանամայլուս յրճնունա
յամուրյուցա. յայամասախելուս տոյ արա, մեռլուն սա-
յայտար յասափուրմու իայզեյալու. յուշեռ ադցուլնու յոյենս
մոյուցեմա մեյտագ մեյլու ալմունճա, ոյանու տայուսաս
ոտեռուցա ճա յնճա յամուցից, սայրուտեսաց յարո-
անագ մեյմոնցա...

ժրուցադրու մյեմուցա այշայրու ամծեմու, յուլու մո-
մոնցուցա, մայրամ մոյսալուցնելու սասյելո մայացեմցա.
Շեն ամ սալսես մալագ ամծուեմ, տորեմ տայուանու եզե-
դրուտ յմայուցու արուանու — ասյ ճամադանամայլա
յռքլմա յապրա յայասախելումուս նոն.

յոյզելուտուս յոմյեգունցեմց, յոյչելագ յամուն-
ճեմա ուսետու յոնմե, յոնց մուս յսամարտունցաս նոն ալ-
յալցեմցա ճա սոյցու յանացցուրմունուս յենունա.

յարուն, մայրամ մանու յամունճա ուս, իյեմս մոյսալամց
յոյրումու մութանա յայցուլնու ճա մուսու մուրու նանուու յաան-
ցրու. մամամուս ծոնքյրունց. յըոնա, մուս յուլու ճայ-
մայուցու ճա յամունճա յանսըւ յամյուցըլու յոյուտ,
ճանարինենու յուտ յորի յուլու յամյուցըլու ճա

სიცოცხლეს თხებისა და ძროხების დევნაში გაიყვანდა; მერე კი თავის შვილებსაც ჩაუნერგავდა კედლის შიშს, იმათაც ნაძრახი ადგილის შორიდან მოვლას და „მშვიდ“ ცხოვრებას ურჩევდა ან სულაც მიატოვებდა აქაურობას და სოფელს საბოლოოდ დაივიწყებდა...

ვიდრე აქ ესენი ფიქრით საძულველ კედელს აწყდებოდნენ, იმ ბიჭს თავისი გზა უკვე კარგა ხნის არჩეული ჰქონდა...

მთელი ღამე კამათში გავატარეთ. თუმცა უფრო ისინი ლაპარაკობდნენ, მე კი ვუსმენდი...

დილაადრიან თოფის ბათქმა წამოგვაგდო. აივანზე რომ გამოვცვივდით, სოფლელები ეზოებში გამოფენილ-იყვნენ და კედლისკენ შეძრნუნებულნი იცქირებოდნენ.

სროლის ხმა თანდათან უახლოვდებოდა საისრეს.

ხალხი მოსალოდნელმა საშიშროებამ ერთბაშად დაბნია. გაქცევა უნდოდათ, მაგრამ ერთად ყოფნაც ამხნევებდათ. აივანზე მდგომნი რომ შეგვნიშნეს, იმედის თვალით მოგვაჩერდნენ. ვურჩიეთ, მშვიდად, ყოველგვარი მღელვარების გარეშე შესულიყვნენ თავიანთ სახლებში და მოვლენათა განვითარებას იქ დალოდებოდნენ.

კიმოთეს ცოლის ყურადღება თავიდან სროლის ხმამ და სოფლელთა ფორიაქმა მიიპყრო, მაგრამ როცა კედლის მცველები ფერდობებზე ამომავალ ბილიკებს ამოჰყვნენ, შვილი მოისაკლისა, სახლში შებრუნდა და მყისვე დაფეხებული გამოვარდა უკან.

— ავაი, ჩემს გაჩენას, მისი ლოგინი ხელუხლებელია! — შეჰდალადა ცოცხალ-მკვდარ კიმოთეს და მკერდში მჯიდი გამეტებით ჩაირტყა.

ქალი მოთქვამდა, შვილი გადამირიესო, ადანა-შაულებდა ვიღაცებს.

— გაჩუმდი დედაკაცო და შედი შინ! — შეუტია კიმოთემ.

ქალი სასოწარკვეთილი მოთქმით მიეფარა კარებს. მისი ხმა სახლიდანაც გარკვევით ისმოდა.

სოფელი თვალ-ყურად იქცა. უბედურების მოლო-დინით დაზაფრულნი გასცეკროდნენ დამრეც ბი-ლიკებზე ამომავალ თოფიან მცველებს.

— პირველად ამოდიან, ნეტა რა მოხდა?! — გაიოცა ონოფრემ.

კიმოთე აივნის მოაჯირს დაყრდნობოდა და მოახ-ლოებულ მცველებს სიძულვილით აღსავსე მზერას არ აცილებდა.

ისინი კიმოთეს ეზოსთან შეჩერდნენ. ორმოცზე მეტნი იყვნენ. მეწინავემ სწორება ბრძანა, შემდეგ რა-ღაც წამოიძახა. მწყობრს ტანდაბალი მცველი გამო-ეყო, ჭიშკარს მოუახლოვდა და კიმოთე თავისთან მიიხმო. გაფითრებულმა კიმოთემ მოიმედე მზერ-ით გადმოგვხედა, მერე დაიძრა, კიბის საფეხურები ზოზინით ჩაიარა და ჭიშკრისკენ გაემართა.

— შენმა ვაჟმადა მისმა ამფსონებმა წუხელ კედელი დააზიანეს, — მცველმა ჩაახველა, წინ მდგომს დააკ-ვირდა, შემდეგ კი განააგრძო: — გესმის, რას ნიშნავს ეს?! მთელ ოცდაორ ადლზე დაანგრიეს. გუშაგებმა მიუსწრეს და სროლა აუტეხეს. კედლის გამგებელი ერთხელ და სამუდამოდ გაფრთხილებს, შენი შვილი კედელს შეეშვას, თორემ ტყვიის წერა გახდება!

კიმოთემ მის ბოლო სიტყვებზე შვებით ამოისუნთქა, თავი ყინჩად ასწია და თოფმომარჯვებულ, უნვერულ ყმანვილს სახეზე მიაჩერდა. მან კიმოთეს მკაცრ მზერ-ას ვერ გაუძლო და თავი ჩაჰკიდა. მოგვიანებით მიტრი-ალდა, მეწინავეს მიუახლოვდა, ხმადაბლა რაღაც მოახ-სენა და მწყობრში ჩადგა. მეწინავემ მცველებს ანიშნა და ისინიც ჩეკმების ბრახუნით ბილიკებს ჩაუყვნენ.

მათ დანახვაზე უნებურად შორეული დღეები გამახ-სენდა...

ბებეისრელებმა გადასახლებასთან დაკავშირე-ბით ქალაქში რომ გაგვგზავნეს, ყველგან ერთიდ-აიგივე გავლენიან დიდმოხელეს გვისახელებდნენ, —

სანაპიროს ბედი უკვე გადაწყვიტა და ამ საქმეს აღა-
რაფერი ეშველებაო.

ერთი სული გვქონდა შეგვეტყო, ვინ იყო იგი და
მასთან შეხვედრას ვეშურებოდით. მოვუყვებით ჩვენს
ამბავს, იქნებ წარმოდგენა არცა აქვს, მისი მითითე-
ბით რას სჩადიან და მოგვისმენს თუ არა, გადასახ-
ლების ბრძანებას უსათუოდ შეცვლისო, ვფიქრობ-
დით. ყოველდღე ვაკითხავდით იმ დიდმოხელის
პალატებს. უარით როდი გვისტუმრებდნენ. დღეს არ
სცალია, ხვალ მობრძანდით, უეჭველად მიგილებთო,
გვპირდებდნენ. ჩვენც გვჯეროდა და მასთან შეხვე-
დრის იმედით ვათენ-ვალამებდით.

მერე ის იყო, ქალაქში დიდი ხნის უნახავ ჩვენებურს
გადავეყარე. იქნება რამეში წაგვადგეს-მეთქი და
სოფლის გასაჭირი შევჩივლე. სათქმელი არ დამეს-
რულებინა, რომ აღელდა, ასეც ვიცოდი, ის ავაზაკი
რაღაც ამის მაგვარს რომ შეგამთხვევდათო. შემდეგ
გამომკითხა, ბებეისერიდან გამოძევებულ ვინმე ჯუ-
ტუზე თუ გსმენიათ რამეო.

ხანდაზმულთა მონაყოლი გამახსენდა, ამ კაცს ბე-
ბეისრელები თილისმის მოპარვაში სდებდნენ ბრალს
და სოფლიდან ამის გამო გააძევესო.

სოფლიდან მოკვეთილი ჯუტუ ქალაქს შე-
ჰკედლებია და იქაური შეძლებული ოჯახის შვილი
შეურთავს, რომელთანაც ორი ვაჟი შესძენია. უფრო-
სი ბედით კმაყოფილი, უწყინარი ვინმე დამდგარა,
მაგრამ უმრნემესი, მამამისზე ათგზის გაიძვერა
და ქვეშქვეშა გამოსულა. ქალაქის მმართველობაში
მნიშვნელოვანი თანამდებობისთვის მიუღწევია. მა-
მამისი სიყრმიდანვე ჩვენს სიძულვილს უნერგავდა.
უსამართლოდ გამომაძევეს და ისე ნუ მომკლავ,
მათზე ჯავრი არ ამომაყრევინომ, არ ასვენებდა
თურმე. ჰოდა, ჯუტუს უმცროსი ვაჟიშვილის სურ-
ვილი დამთხვევია ქალაქის მმართველთა ზრახვებს,

րոմելտաց յրտո სუլո Ֆյոնուատ Բվենո Սոցյելո ზլվուսպորուստուս մունցուգութատ და ամ սամոտեսուսդար ազգուս տարտոն դաპագրոնեծունեն.

Սոցյելուի ելմուցարուլուգավծրունգուտ. ծեծեսը-լուծ էս ամծացո დաշումալու. րոմց գամեմենու, յալայ-իս մմարտացուցուն չշութու Շվուլուս մեարենց ոպանեն დա մատ նյեկա նին զերանանորագ ալաւուցցեծունգուտ.



Սասըրելումա յեգլուս նցրեզուս ամծացս պարո րոմ մուկուրես, մատո մերպացո დա լահրուլո ծոնցեա յրտեամ-ագ գամոմթեյուրդա. եմուս ჩախլեհամցու ամթկուցեծունեն, յուջուս ჩվենո ծեցու րոմ ալալուցեծունց, յեգլուս ճան-գրեզաս արց յուցեծունցա. մուս մոնունալմուցեցետ յժու արց Շեքեարզուատ, րոմ ზլվուս յնձուս յրտո յուցեցան մեռումցու գաճաჭիմուլ ամ ցորոն նացեծունաս զերց յուջու დա զերց սոցյելու զերագուրս ճայուլուց.

յեգլուս սոցյելուի ծորուցուն ցանսախուրեծագ տա-լունցեն, րոմելմաց մատո յուղա ժորոյեսցուանագ Շեցու-ալու, մագրամ պարագացեծու րոմ ճակացուրզունցու, մուե-ցունցունց, րոմ մատ յեգլուս մոմարտ արա մարդու Շո՛մո, արամց ճագուցուցումուսա տու տապանուցումուս մսցացսո ցրծնօնաց յո ցասինոնցատ.

Օսոնո յեգլուս պարագաց մուցունց բա-դուլածեծուլ սոմացրես, րոմելսաց մատո ցագարհինաց დա ճայուցուաց ժալուց. զուգրե մուս սոմթկուցու րամե սամումրուն ար ճայուցուրհեծունց, Շեյցլուտ մմցունց պացուուլուց նյալս Շեյցեն-ցունցեն, ագցուլո մուսալունցունցու ոպո այրացել մու-լունցունցուն ցինա տացու դա յս ալոնցունց.

ցամունունց, ցագարհուլ լինու Շեհուցուն ժորո յրինատ.

ամցարագ պարագաց մուցունցուն Շեցունցուն եալես ուոյրունց, մագրամ մատ պարագաց մուցունցուն մումցուն.

ადამიანთა მცირე ჯგუფი. ისინი თანაუგრძნობდნენ ქუჯის. მხოლოდ ეს იყო, მათი თანაგრძნობა კეთილ სურვილებს არ სცილდებოდა.

კედლის ნგრევის მონინაალმდეგენი ამბობდნენ, თვითონ დავდებით მცველებად და ქუჯის სანაპიროს სიახლოეს არ გავაკარებთო. ემუქრებოდნენ კიმოთეს, შენი შვილი კედელთან ერთხელ მაინც რომ შევნიშნოთ, სახლ-კარს გადაგინვავთო.

კიმოთე შფოთავდა, იხვეწებოდა, მოეძებნათ ქუჯი და გადაეცათ სოფლელთა მუქარა, მაგრამ ქუჯის მამისა და სოფლელთა შემონათვალისა თუ მუქარები-სთვის ყურიც არ უთხოვებია.

კედლის ქომაგებმა სოფელში დარჩენილები თანდათან გადაიბირეს. მცველებთან ჯგუფებად მიდიოდნენ და დახმარებას სთვაზობდნენ.

ქუჯი თავის მომხრებთან ერთად მთებს იყო შეფარებული. რამდენჯერმე სცადა კედელთან მიახლოება, მაგრამ სოფლელები ფხიზლობდნენ და ოდნავ საეჭვო მოძრაობაზე მცველებისკენ გარბოდნენ.

სოფელში ქუჯის სახელის ხსენება აიკრძალა. მის მცირე ჯგუფს „გაურჩებულთა“ რაზმად უხმობდნენ. უმჯობესი იყო, საერთოდ არ დაბრუნებულიყო, სხვებივით ქალაქში ჩარჩენილიყო და ეს დავიდარაბა არ აეტეხაო, წუნუნებდნენ.



ლუკამ პირველსავე დღეებში დაინახა, რომ საისრელებს მისი გადასახლების შემდეგ სულზე იოტი-სოდენადაც არ უზრუნიათ. ამაზე მეტყველებდა სასომიხდილი, ყოველგვარ იმედს მოკლებული მათი სახეები, ფარლალალა და უპატრონოდ მიგდებული სამლოცველო, რომელიც დახავსებულიყო, გვერდზე გადახრილიყო და ქარის ერთი ღონიერი წაქიმუნჯებაც კი წააქცევდა.

სოფლელები ლუკას მჭმუნვარე სახეს თვალს არიდებდნენ და სიტყვას ბაზე უგდებდნენ. კითხვაზე, თუ რად არ უვლიდნენ საფლავებსა და სამლოცველოს, აბა, მკვდრებისთვის სადღა გვცხელა, ჩვენი გაჭირვებისთვის ვერ გვისაშველიაო, უკმეხად პასუხობდნენ.

მოთმინებით აღჭურვილი ლუკა დადიოდა კარდაკარ, ესაუბრებოდა სოფლელებს, ცდილობდა მათთვის უფლის რწმენა და მომავლის იმედი ჩაესახა. სთხოვდა, ამუნათებდა, რომ პირველივე მაბათ საღამოს მწუხრის ლოცვაზე, მიცვალებულთა სულების მოსახსენიებლად მოეყარათ თავი და როცა ეს ამბავი უკანასკნელ საისრელსაც კი აუწყა, რწმენით აღვსილი, წლების განმავლობაში შეწყვეტილი მსახურებისთვის სამზადისს შეუდგა.

ყმაწვილების დახმარებით სამლოცველო შეაკეთა და განაახლა, მისი შემოგარენი შამბისა და ეკალბარდისგან განმინდა, ამბიონზე თან ჩამოტანილი ჯვარცმა და ღვთისმშობლის ხატი დაასვენა, კედლები მინდვრის ყვავილებით შეამკო, სანთლები დაანთო და საკმეველი აკმია.

დათქმულ დროს ანაფორით შემოსილი ლუკა მრევლს მოუთმენლად მოელოდა. მზის ჩასვლისას, სამლოცველოს რამდენიმე დედაბერი და უძლური ბერიყაცილა მოადგა, ლანდებივით შემოილალნენ მის წიაღში, ძელსკამზე ჩამოსხდნენ და მიწას ჩააჩერდნენ.

საისრელთა დაპირებით დაიმედებული ლუკა ისევ ლოდინს აპირებდა, მაგრამ როცა სამრეკლოზე მწუხრის ზარი ჩამოირეკა, ერთ-ერთი ბერიკაცი წამოიმართა:

- ლოცვის დაწყებას თუ აპირებ, დროა უკვე!
- ცოტაც და სხვებიც გამოჩენდებიან.
- არ მოვლენ, ბალლებსაც არ გამოუშვებენ.
- რატომ?! — იკითხა გაოცებულმა ლუკამ.
- არაფრის და არავისი იმედი არა აქვთ და იმიტომ.

— მაშ, რაღად მპირდებოდნენ, პირდაპირ ეთქვათ და მეც რაღაცას ვიღონებდი!

— ხათრს ვერ გიტეხავდნენ. ღმერთი რომ არსებობდეს, განა ჩვენს თავსლათდასხმულ ცხოვრებას მოითმენდაო, გაიძახიან. ამის თქმა შენთვისაც უნდოდათ, მაგრამ მოგერიდნენ.

ლუკა მისმა სიტყვებმა საგონებელში ჩააგდო. იმასაც მიხვდა, ეს რამდენიმე მოხუციც, სამლოცველომდე ძლივს რომ ამობობდა, სოფლელთა აზრს იზიარებდა, მაგრამ ძველ ნაცნობობას და იმედს, იქნება, ამ უსასოო მდგომარეობიდან გამოსავალი როგორმე გვაპოვნინოსო, მოეყვანა საყდარში.

იმისი გაფიქრებაც კი, რომ საისრელებს ღვთის არსებობაში ეჭვი შეჰპარვოდათ, კრიჭას უკრავდა ლუკას. გაქვავებული სახით იდგა. რამდენიმე ხანს თავს ებრძოდა, მოხუცებისთვის პირში არ მიეხალა, რომ ღმერთი მხოლოდ უკიდურესი გასაჭირის უამს გახსენდებათ, გინდათ, უფალმა ჩვეულებრივი მოკვდავივით იაროს კარდაკარ და თქვენივე უნიათობითა და სიბეცით წახდენილი საქმები გამოგისწოროთ, ხოლო სულის ხსნასა და მონანიებაზე ფიქრით თავს არც იტკიებთო...

მაგრამ იქვე მსხდომი მოფამფალებული მოხუცების მომლოდინე, გასაცოდავებულ სახეებს თვალი რომ მოავლო, წუთიერი მერყეობა დათრგუნა, პირჯვარი გადაისახა, ჯვარცმასა და ხატს ეამბორა, უფლის მიმართ ლოცვა აღავლინა და მსახურებას შეუდგა.

სამი ბიჭუნა ეხმარებოდა. ისინი თავიანთ წერიალა ხმებს უერთებდნენ ლუკას ღუღუნა ბანს და თეთრ სამოსელში გამოწყობილები, შანდლებზე მოციმციმე სანთლების ათინათზე, ძველი საყდრის ფრესკებიდან გადმოსულ ანგელოზებს ჰეგავდნენ.

ლუკამ მწუხრის ლოცვა რომ აღასრულა, ქადაგებას შეუდგა. მოხუცების სმენადქცეული სახეები სიმხნევესა და სიმშვიდეს ჰმატებდნენ.

տապահանջեծուրագ Բարմուգոնա, რոմ Տամ-լուցպահով մտյալո սոգուղո ոյո Շեպորոլո, պահպահ մուս Տուգաս քոմքում օդապեծունեն, ხողո մշալոծուլու-տա եմեծո Տասագլառուս, Տասըրեսա և մտյալ Տանակորուս Տեզուցունդա. Տալքես մագլույրեծունցան Շերնպոնազա Տաեց, լույս պահպահ ուրածաս երտեմագ „ամոնու“ Տա-սուխունդա և մուսու Շեգնեծա, րոմ ամ ափամունեծս մուսու տանագրումա և գամենեպա Տիգուգունդատ, լույս մո-յմեցեծուտպուս այս թեծունդա...

Հյեր Տայրուու Ռնմենաչու օյսագա, մերե — մրց-լուս մովաղլունծասա և Ցողագ Տակութեծունդա.

„Տույու Շեգուցուս մագլուս, պահպահո Բանենցանո Տինա-ցանագ մեռլուու Տույուտուս Շենդա յմսաեւրեծունդուս, րամ-ցույ Տույուտուս յմնա Շուղլուս Տույուցարուլու Շուղլունդուն...“ Տույունց մոմսկուար Տույուցարուլու առ Շինանդա.

— Մյեն պահպահուցուս Բացագոնեծունդու, ցոյզարունդու մույրու տէպենու, մույլուու Տույուտու Շուպաւու, ուղուցու մատուցուսու. Բանենց Վաղուցունծունդուտ, մագրամ նոյույ, ոմ մույլուու երտելու մանցու առ Շենդա յույժունատ, ամ Տալքես, Բանենց Լուցպամու րոմ առեն-ալամեծս, երտու Տույուտու Բանենց մովագոտու! — Տուն մույլունմա Ծերույալու յաճացեծա ցանունցունդա.

լույս Տուրչե Շեամրա Տույուցա.

— Բանեն, Ռուգորու օպու, ալալու ցուլուու Յուլեծունդու պահպահ և Տեղակաց Վայմարուազունդուտ. մերեգա, րա մուգա-ցունա աման? Բանենսաւու Տինաալմունց ալսացնեն և պահպահուացրուս մուտպուսեծա մունճունմուս. ցեկամեծս, նասկում-րուու Տալքես Ռուգորու օրչեծունդա, Բանեն Տույուտունա և տանագրունտու մունճունուրեծունդու և ույեծու ամուցարու Բանեն այսայր մկանուարունծաս յիշուապեշ ապենեծունդա կունցու. յուշլումա կապմա Տուն ժույցուանագ մուգատեսարա... ամուս Շեմունց մունճուսար և կալազ ցույժագաց, րոմ մատուցուս Յուլուցունդու? մունճունց այս յանունուանագ ույտու ցոնմու, Յունց տապահուս Տուսելուս մույլունտպուս լուցունծունդուս? Տենմա

ქადაგებებმა დალუპვის კარამდე მიგვიყვანა, ლუკა! შენი ლამაზ-ლამაზი სიტყვებით გაბრუებულნი, ლა-მის ცაში დავფრინავდით...

— მაგრამ მე მხედველობაში მხოლოდ მოსისხლე მტერი როდი მყოლია. ჩემი ქადაგებები არასწორად გა-გიგიათ. აბა, ყური მიგდეთ: „რომელი გინდეს თავისა შენისათვის, უყო მოყვასსა შენსა და რომელი შენ არ გინდეს, სხვასა არ უყო. და ლოცვასა ჰყოფიდე ღმრთისა მიმართ და ვედრებასა დღე და ღამე...“

— შეწყვიტე! ყველაფერი კარგად გავიგეთ... შე კაი კაცო, გესწავლებინა, როგორ დავვეცვა თავი, რით გვეპასუხა ცბიერებისთვის, ჩვენს გასათელად მო-სულო როგორ დავხვედროდით, რანაირად მოგვეგე-რიებინა ისინი, როგორ შეგვენარჩუნებინა ჩვენი მინა... შენზე დიდ იმედებს ვამყარებდით, მოუთმენ-ლად გელოდით... მაგრამ ვხედავთ, არც შენ იცი, რა გზას დავადგეთ. კიმოთეს ბიჭს ამოჩემებული აქვს კედლის დანგრევა. ვიცით, შენც მისი მომხრე ხარ. მი-პასუხე, აქვს კი ამას რამე აზრი?.. სოფელი ამხელა რა-ლაცას როგორ მოერევა, გუშაგებიც უბრძოლველად არაფერს დათმობენ. ისინი თოფებითა და დამბაჩებით არიან შეიარაღებული. სოფლელები?... ეს ერთი მუჭა ხალხი კედელს რომ მისცვივდება და რამდენიმე მონ-აკვეთს დააზიანებს, ამით ნაგებობას რა დააკლდება... ყველაფერი ეს ბავშვურ ფაფხურს უფრო წააგავს, ვი-დრე მოწიფული ხალხის მცდელობას... ნუთუ ხელახ-ლა უნდა დავარღვიოთ სახლები, ისევ დავუბრუნდეთ სანაპიროს და თავიდან დავიწყოთ ცხოვრება? იქნებ არც ღირდეს, იქნებ ჯობდეს საისრეზე დარჩენა? ასეა თუ ისე, შეგუებული მაინცა ვართ აქაურობას!..

მოხუცებმა ლუკას ხმის ამოლება ალარ აცალეს, ერთმანეთის მიყოლებით წამოდგნენ და სამ-ლოცველოდან გაიკრიბნენ.

...ლუკა პირველ მარცხს არ დაუბრკოლებია. და-დიოდა სოფელში, ხალხს ღვთის მოშიშობას ჩააგონებ-და და ურჩევდა, მიმხრობოდნენ ქუჯის, კედლის დან-გრევა და თავისუფალი ცხოვრების დაწყება ეცადათ.

თავიდან საისრელები თავს იკავებდნენ. მერე და მერე კი უკმაყოფილოდ აწყვეტინებდნენ, შენ რა გე-ნალვლება, ცალი ფეხი სამარტი გიდგას, თვითონ ხიფათს არც უნდა ერიდებოდე, თავად რაც გინდა ის პქენი, ჩვენს შვილებს კი შეეშვიო.

— გაიგეთ, სწორედ მაგათ გამო ვწუხვარ!
— არხეინად იყავი, ჩვენ შვილებს როგორმე მოვუვ-ლით! — იყო პასუხი.

— ასე მშვიდად კედელს როდემდე უნდა უცქიროთ?
— ჩვენ მას ალარცა ვამჩნევდით, ქუჯიმ ხელახლა შეგვახსენა, მაგრამ ისევ დავივინწყებთ. — პასუხობდ-ნენ სოფლელები.

— ნუთუ, გუშაგების შიშმა თქვენი დიდი ხნის ოც-ნებებზე ხელი აგაღებინათ, წარსული დაგავინწყათ, დაგიმონათ, დაგაძაბუნათ, ნუთუ, წინანდებურად იმ დამქანცველი გზით აპირებთ ისევ ზღვაზე სიარულს?!

— რა ვქნათ, გუშაგების მართლაც გვეშინია, ოც-ნებებისთვის კი დიდი ხანია ალარ გვცალია, ხოლო მაგ გზაზე სიარულს თანდათან მივეჩვევით.

— რას ერჩით ბალლებს, ამხელა გზაზე ტვირთის ზიდვით ხომ დაიტანჯნენ.?

— ვინ აძალებთ, თუ არ უნდათ, ნუ ივლიან, საქონელი მწყემსონ.

— იცოდეთ, თქვენსავე თავს ნუ ეწინააღმდეგებით!
— შეეპასუხებოდა ლუკა.

როცა არ შეეშვებოდათ, ზურგს შეაბრუნებდნენ და ქირდავდნენ, ნეტა რას დაწანწალებს, უჯობს, ქუჯის გონზე მოსვლა და აქედან საბოლოოდ აბარგება ურ-ჩიოსო.



საისრელები ყოველ ცისმარე ზღვისკენ მიემართებოდნენ. ნადავლის ნაწილს კედლის მცველებსაც არგუნებდნენ — საღამოობით კედელზე გადმოკიდებულ ორ კალათას უვსებდნენ და ეს რა კარგი რამ მოვიფიქრეთ, ისინი მადლიერები გვეყოლებიან და აღარაფერს გვავნებენ, შინისკენ კმაყოფილი მასლაათით მიემართებოდნენ.

ეგ იყო, ბავშვები ჯიუტობდნენ. უფროსებს თავიანთი წილიდან გუშაგებისთვის გადასაცემ თევზს არაფრით ანებებდნენ, მაგრამ თანდათან მათი წინააღმდეგობაც გატეხეს...

სოფელში ერთადერთი კაცი იყო კიმოთე, ვინც სათევზაოდ არ დადიოდა. თავის გველის წინილს ემხრობაო, კიცხავდნენ ზოგ-ზოგნი. მოხუცი ცოლქმარი საკუთარ კარ-მიდამოს არ სცილდებოდა. საღამოობით სახლის აივანზე ისხდნენ და ავი წინათგრძნობით გათანგულები საისრეს ბილიკებზე ხორხოცით ამომავალ მეზობლებს გაჰყურებდნენ.

კიმოთეს ვერ ახესნა, რა ახარებდა ამ ხალხს. ქუჯის გამოჩენამდე გამუდმებით წუნუნებდნენ, მოძულებული ჰქონდათ ზღვასა და მათ შორის გოროზად ჩამდგარი კედლის ცქერა, საისრეში ცხოვრება სასჯელად მიაჩნდათ, მისტიროდნენ ბებეისერის „მარჯნისფერ“ სანაპიროს, ქალები უმისამართოდ იწყევლებოდნენ... ახლა კი იმის მაგივრად, რომ მათი ადრინდელი მწუხარება გაორკეცებულიყო, უაზრო არხეინობას მისცემოდნენ და ვერც ხვდებოდნენ, რა იყო ამის მიზეზი.

კიმოთემ ყურს არ დაუჯერა ერთ საღამოს საისრეს ქალის სიმღერა რომ მოედო. გაოცებულმა ცოლმა უთხრა, მგონი, ვიღაც შეიშალაო, მაგრამ ერთის ჭკუიდან გადასვლას ვინ ჩიოდა, ამ ხმას მალე ნახევარი სოფელი აჰყვა. მოგვიანებით, ყური საკრავების წერიალსაც მოჰკრეს.

თუმცა მათ ხმებს ხალისი აკლდა და ისე ლალად ვერ ჟღერდა, როგორც ადრე, ბებეისერის სანაპიროზე.

სოფელმა მაშინ ნამდვილი გართობის ფასი მარ- თლაც იცოდა — მღეროდნენ ძველ სიმღერებს, ცეკვავდნენ გატაცებით. ქალები ვაჟებს იწვევდნენ, ვაჟები ფიცხლად ებმებოდნენ ფერხულში და რჩეულ- თა ირგვლივ გახელებით როკავდნენ...

ახლანდელი ნაძალადევი მხიარულება თითქოს ბე- ბეისერის იმ დაუვინყარი საღამოების უარყოფას ნიშ- ნავდა, როცა არ იცოდნენ, რა იყო ძალმომრეობა, შიში გადამთიელთა წინაშე, მშობლიური სანაპიროსკენ გზას არ უღობავდათ ყოვლის ამკრძალავი და დამთრგუნ- ველი კედელი...

საკუთარი ხმებისთვის კიმოთესა და მისი ცოლის ყურით რომ მოესმინათ, იქნებ ქალებს უმისამართო ან გამიზნული წყევლა წამოსცდენოდათ, მაგრამ დროის უკუღმართობას გასჯიბრებოდნენ — იხტიბარს არ იტეხდნენ და მაინც მღეროდნენ, ხოლო, როცა სიმ- ღერა დაასრულეს, დაძაბულობისგან ქანცი ჰქონდათ გაწყვეტილი.

საისრელთა ხმები კედელზე მდგომ მცველებსაც ესმოდათ. მათ თოფები მოემარჯვებინათ და გულგ- რილად გასცეროდნენ ფერდობებს შეფენილ ფარ- ლალალ სახლებს. სიმღერამ უსაზღვრო სევდა მოჰ- გვარათ. თვალწინ დაუდგათ შორეულ სანაპიროებზე საკრავების თანხლებით მოცეკვავე წვივმაღალი, სი- ცოცხლით სავსე ქალიშვილები და გამუდმებით მათი მხიარული სიცილი ჩაესმოდათ. როგორ არ ჰგავდა იმ შორეულ სანაპიროელთა და საისრელთა მხიარულება ერთმანეთს. ან რა ემხიარულებათო, ფიქრობდნენ და ფერდობებს უკან წამომართულ ოირემეს მთებს გაორებული გრძნობით გაჰყურებდნენ.

ყოველ დამით იქიდან ქუჯისა და მისი მეგობრების გამოჩენას ელოდნენ. დილით თვალის მოსატყუებლად

რომ მიემართებოდნენ, ერთმანეთს არწმუნებდნენ, ჩანს, კედელთან მოახლოების სურვილი საერთოდ დაკარგესო.

... ორი კვირის თავზე სროლის ხმა ისევ გაისმა..

საისრელები ფერდობებზე კედლის მცველთა გამოჩენას შიშატანილები ელოდნენ. გუმანმა არ უმტყუნათ, ცოტაც და, მცველები კედლიდან დაეშვნენ და სოფლისკენ ამავალ ბილიკებს აუყვნენ.

მოედანზე შეყრილ სოფლელებს ამჯერად მხედრულად ჩაცმული ახმახი გამოეჭიმა და კედლის კომენდანტად გააცნო თავი. მისი თქმით, ქუჯის რაზმს, სანამ მცველები კედლის დანგრეულ ნაწილთან ტრიალებდნენ, ძალა სხვა ადგილას ეცადა. კომენდანტად წოდებულმა, ქუჯის მშობლები ხალხის წინ გამოიყვანა და „გაურჩებულთა“ ადგილსამყოფელის გამუღავნება უბრძანა. ლუკა და მისი ცოლი თავჩაქინდრულები იდგნენ და დუმდნენ. როცა მათთან ვერაფერი გააწყო, მაგათ ერთ მშვენიერ დღეს დავიჭერთ და თქვენსავე თვალწინ ჩამოვახრჩობთო, დაემუქრა. კარგა ხნის ბაქი-ბუქის მერე კი ბრძანა, სოფლელები დალამებამდე მოედანზე გაუნდრევლად მდგარიყვნენ და მცველთა რაზმითურთ ბილიკებს ჩაუყვა.

საისრელები მცხუნვარე მზის ქვეშ რამდენიმე ხანს მართლაც უძრავად იდგნენ. არავინ წუნუნებდა. ქალები თავიდან ჩუმად იყვნენ, გაქვავებული სახით გასცემოდნენ კედელს. შემდეგ კი ისეთი მჭახე ხმით მოჰყვნენ ლაპარაკს, გეგონებოდა, ვიღაც უჩინარს საკამათოდ იწვევდნენ. კაცებს სიტყვას ბაზე უგდებდნენ და კედელზე მდგარ თოფმომარჯვებულ მცველებს მუშტად შეკრულ დაძარღვულ და ნაჯაფარ ხელებს ძალუმად უქნევდნენ.

სალამოს, როცა ყველამ თავის სახლს მიაშურა, შინდაბრუნებულმა კაცებმა კიდევ უფრო აშკარად იგრძნეს ქალების უკმაყოფილება. ესმოდათ, „თავს-ლაფიც კი დაგასხითო!“ — მათი მისამართით ვითომ,

სხვათა შორის რომ გამოსცრიდნენ ამრეზილები, შემ-დეგ ქვაბებს ისეთ რაკარუკს აუტეხავდნენ, მოთმინე-ბიდან ვის არ გამოიყვანდნენ.

ერთი ყველაზე ქვისნატეხა ქალი ქმარს აუხირდა თურმე, იმ ბიჭებთან მთებში შენით თუ არ წასულხარ, სირცხვილს გაჭმევო. ვისრაში გამოადგებაო, უფიქრია და წაუყრუებია კიდეც ქმარს, მაგრამ დილით გამოლ-ვიძებულს თავის გვერდით ქალის მაგიერ ფარდაგში გახვეული მუთაქა დახვედრია.

იმ ღამეს საისრე ორმოცდაათამდე კაცმა დატოვა.

კედლის მცველები საგონებელში ჩაცვივდნენ. ქუჯის მომხრეებმა სოფლის გასწვრივ წინა ღამეზე ორჯერ მეტი მონაკვეთის დანგრევა მოახერხეს და ისე მიიმალნენ, მათ კვალსაც ვერსად მიაგნეს.

კედლის მცველები საისრეზე აცვივდნენ და სო-ფლელები დაანიოკეს.

მცველებს ამიერიდან აურაცხელი საქმე გაუჩნდათ: კედლის დაზიანებულ მონაკვეთებზე ხის ზღუდეებს დგამდნენ, რისთვისაც ბოძები სჭირდებოდათ, ხოლო ისინი ტყიდან იყო მოსაზიდი. მცველთა ერთი წანილი ხეებს ჭრიდა და ტყიდან ეზიდებოდა, მეორე წანილი ზღუდეს დგამდა, ხოლო მესამე — კედელს იცავდა.

„ჩამოხეტებულბმა“ ისევ წამოყვეს თავი. ეახლ-ნენ ე.ნ. კედლის კომენდანტს, ოლონდაც ნურაფერს დაგვიშავებთ და როგორაც გენებოთ, ისე გვიმსახ-ურეთო. მათი მიბაძვით შინდარჩენილ საისრელთა უმრავლესობაც კედელთან ჩავიდა.

ამიერიდან ისინი თვითონ ჭრიდნენ, ეზიდებოდნენ და დგამდნენ ზღუდეებს, მცველები კი მათ მუშაობას თვალ-ყურს ადევნებდნენ. ზოგიერთი უკუღმართი სოფლელი თოფსაც ითხოვდა, „დამ-ლამობით შეგცვ-ლით ხოლმეო“, მაგრამ მცველები არ ენდნენ. ის კი არა, ახლოს არ გაიკაროთ, რამე ფანდი არ იყოს და ერთ ღამეს არ ამოგვუუშონო, გააფრთხილა კომენ-დანტმა ხელქვეითები.

მცველები გაოცებას ვერ მალავდნენ: თუ მანამდე „გაურჩებულებს“ ღამეში ერთ ადგილას აწყდებოდნენ, მალე მათ ახალ ხერხს მიმართეს — სხვადასხვა ადგილზე, ღამის სხვადასხვა მონაკვეთში ჯგუფ-ჯგუფად მიჰქონდათ კედელზე იერიში.

კედლის დაცვაში საგანგებოდ აღჭურვილი ასი მცველი ირიცხებოდა. აქედან ოცდაათი დღისით მორიგეობდა, ოცდაათი ღამით, ოცდაათიც ხერგილების დადგმას მეთვალყურეობდა, ხოლო ათი სამარქაფოდ იყო გამიზნული და ამდენ შეიარაღებულ ხალხს წესით არაფერი უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ მათი უსუსურობა მაშინვე გამოაშკარავდა — როგორც კი ნგრევის ხმას ყურს მოჰკრავდნენ, შიში ერეოდათ და უმისამართო ბათქაბუთქს ტეხდნენ. მათ მხარდასაჭერად სამარქაფო რაზმი მიეშურებოდა, მაგრამ სანამ ადგილამდე მიაღწევდა, „გაურჩებულები“ კედლის ნაწილის დაზიანებასა და მიმაღვასაც ახერხებდნენ.

მცველები მთელი ღამეები კედლის მოუხელთებელ მნგრეველებს დასდევდნენ. კომენდანტი კი ქალაქში შიკრიკ-შიკრიკზე აგზავნიდა, მცველთა რიცხვი გამიზარდეთო, მაგრამ იქიდან ერთი და იგივე პასუხი მოსდომდა — ასი შეარაღებული კაცი მაგ სანაპიროს დასაცავად სავსებით საკმარისია, ეცადეთ, ჩვენი იმედები გაამართლოთო.

მცველებს ყოველ დილით ახალი ნანგრევი ხვდებოდა. ქუჯის მოწინააღმდეგე სოფლელები მთებიდან ბოძებს ეზიდებოდნენ და ცდილობდნენ, მათვის როგორმე ეამებინათ, მაგრამ ამაოდ. გამონგრეული ადგილები თვალსა და ხელს შუა მატულობდა.

კომენდანტი თავის მხრივ მცველებს სჯიდა, ჭუას არიგებდა: თოფი იმისათვის გიჭირავთ, მიზანში ის-როლოთ და არა „გაურჩებულთა“ მოახლოება გვამცნოთო. ისინიც თითქოს ყურადღებით უსმენდნენ, ითმენდნენ საყვედურებს, დასჯას და იმედს არ კარ-

გავდნენ, რომ მდგომარეობას პირველსავე შესაძლებლობაზე გამოასწორებდნენ, თუმცა იმავე ღამეს იგივე მოსდიოდათ: „გაურჩებულთა“ მოახლოებისთანავე ერთ ბათქაბუთქს ატეხდნენ და კედელზე უწესრიგო ბორიალს მოჰყებოდნენ.

კომენდანტი ამ ამბავს ახსნას ვერ უძებნიდა. „გაურჩებულთა“ თავგანწირვაც საგონებელში აგდებდა. მათი მოუხელთებლობა ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდა, თითქოს ისინი რაღაც მაგიურ ძალას ფლობდნენ და ამ ძალის მფარველობით ყოველ ღამე უჩინმაჩინებივით ჩნდებოდნენ კედელთან, ანგრევდნენ და ასევე შეუმჩნევლად და უვნებლად გადიოდნენ სამშვიდობოზე.

თავიდან მცველები დღისით დაარხეინებული იყვნენ, რადგან საისრელები შორიახლოს ტრიალებდნენ და მუდმივად მზად იყვნენ „გაურჩებულთა“ მოახლოება ეცნობებინათ.

დროთა ვითარებაში ქუჯის ხალხი იმდენად გათამამდა, მოქმედება დღისითაც დაიწყო. რამდენიმე ხუთკაციანი რაზმი სხავადასხვა დროს სხავადასხვა მონაკვეთზე მიადგებოდა კედელს, ბზარს ბზარზე უმატებდა და როგორც კი მცველთა ან საისრელთა მოახლოებას შენიშნავდა, უჩინარდებოდა.

ერთხელ, მცველები „გაურჩებულთ“ მოულოდნელად თავზე წაადგნენ და მათთან პირისპირ შეხვედრით დაფეთხებულებმა ალალბედზე ატეხეს სროლა. კედლის კომენდანტმა და საისრელებმა შემთხვევის ადგილს რომ მიაღწიეს, ქუჯის ხალხი უკვე შორს იყო.

მიუხედავად იმისა, რომ კომენდანტი იქაურობას ყვირილით იკლებდა, მცველები სმენადახშულებივით იდგნენ და მინას დასჩერებოდნენ.

ამიერიდან „გაურჩებულები“ კედლის ნგრევას დროებით შეეშვნენ და იარაღზე დაიწყეს ნადირობა. მცველები თავს იცავდნენ, მაგრამ ქუჯის ხალხი უფრო მეტ მოხერხებასა და შეუპოვრობას იჩენდა.



კედლის კომენდანტი ქალაქში კვლავ შიკრიკს შიკრიკზე აგზავნიდა და დახმარებას ითხოვდა.

მალე საქმის შესასწავლად მეთვალყურე მოავლინეს, რომელმაც კედელი და მისი დაცვა ასეთ სავალალო მდგომარეობაში რომ ნახა, ქალაქის გამგებლებს კომენდანტის შეცვლა და მცველთა რიცხვის გაორმაგება ურჩია.

საისრელები ხედავდნენ, როგორ შეესია კედელს მცველთა ახალი ცვლა, როგორ დგამდნენ მის გასწვრივ ზღუდეს (ახალმა კომენდანტმა საისრელთა დახმარებაზე დროებით თავი შეიკავა).

ახალი უფროსი წესრიგის სამაგალითო აღმსრულებლად მოევლინა ძველ მცველებს, რომლებიც მის წინამორბედს წარამარა ქირდავდნენ: საცოდავმა იმდენი მოახერხა, თვითონ გაგვასწრო და ეს ჭკუათხელი შემოგვაჩერაო.

კომენდანტი გაუთავებლად იმუქრებოდა. ის უხერხემლო ვიღაც ხომ არ გგონივართო, დასჩეაოდა მცველებს, რამე რომ შეეშლებოდათ ან მითითებისამებრ ნაპრანებს ვერ შეასრულებდნენ. წინამორბედი კომენდანტი მისთვის მუდმივი დაცინვის საგანი გახდა. წარამარა არამზადად და ლოთბაზარად მოიხსენიებდა. რატომდაც ეგონა, რომ მისი ლანძღვაგინება თვითონ ღირსებას შემატებდა. ახალწვეული მცველები თავდაპირველად პირდაფერენილები შესციცინებდნენ ამ უზომოდ გაამპარტავნებულ, ხეპრე და ბაქიბუქა სალდაფონს, რომლის ყოველ მუქარაზე მეორედ მოსვლის მოლოდინში იყვნენ, მაგრამ ალღო მალე აუღეს და მის დაუსრულებელ ტირადებს ბუზანებალის ბზუილადაც არ აგდებდნენ.

„გაურჩებულები“ ერთხანს კედელს არ ეკარებოდნენ. ახალმა კომენდანტმა ეს ამბავი თავის დამსახ-

ურებად მიიჩნია. აი, ნახავთ, პირველსავე გამოჩენაზე რა სასტიკად გავუსწორდებიო, — იქადნებოდა და ხელქვეითთა წინაშე საიდუმლო გეგმებით თავს იწონებდა. არაერთი გადამწყვეტი შეტევის ავანგარდში ვყოფილვარ და არხეინად იყავით, აქაც მოვახერხებ ჩემი შემართების ჩვენებასო, იკვეხნიდა.

ქუჯის ხალხი შორიდან უთვალთვალებდა სანაპიროს და ახალ კომენდანტს საკუთარ უძლეველობაში დასარწმუნებლად, შეგნებულად მეტ დროს აძლევდა.

საისრელთა ნაწილი ყოველნაირად ცდილობდა კედლის შენარჩუნებას და ყოველგვარი კავშირი განყვიტა „გაურჩებულებთან“. ის კი არა, ოდნავ საეჭვო კაცს, ვინც მთებში გახიზულთ თანაუგრძნობდა, ასმენდნენ. სოფლიდან გააძევეს ქუჯის დედ-მამა და რამდენიმე ოჯახი დედანულიანად. კედლის მცველებს ერთი რომ ენიშნებინათ, ყმად დაუდგებოდნენ, ფინლებითა და კომბლებით მიეჭრებოდნენ თავისისავე თანამოძმებს და ცხვირიდან ძმარს ადენდნენ. თავგამოდებით ითხოვდნენ ცეცხლსასროლ იარალს, მაგრამ ახალმა კომენდატმა უარით გაისტუმრა — თავიანთ ხალხს არ ინდობენ და, რა გარანტიაა, რომ ჩვენც არ დაგვერევიან, მაგათი გულისთვის სამოთხეს მომწყვიტეს, ამ ჯოჯოხეთში მიკრეს თავი, ყოფილიყვნენ მშვიდად, რას ერჩოდნენ ამ ყოვლად უწყინარ კედელს, რად დაუწყეს ნგრევა, ამხელა ზარალს ვინ აპატიებთ, თქვენ ვალდებული ხართ კედელს ფხიზლად უდარაკოთო, შთააგონებდა მცველებს.

საისრელებს კედლის კომენდანტის ამგვარ უნდობლობაზე წარმოდგენა არ ჰქონდათ, ასეთი რამ არც კი დასიზმრებიათ. დილაუთენია დგებოდნენ, მიემართებოდნენ სათევზაოდ და საღამო ჟამს ბადეს რომ ექაჩებოდნენ, ერთმანეთს შესჩიოდნენ — თევზმა რაღაც იკლოო. საქმე ის იყო, დაჭერილი თევზის ნახევარი კედლის მცველებისთვის უნდა ენილადებინათ, მა-

გრამ კედელზე გადმოკიდებულ საკმაოდ მრავალ-რიცხოვან კალათებთან რომ ჩაივლიდნენ, იძულე-ბული ხდებოდნენ, მეტი წილი მათთვის დაეთმოთ.

სოფლელებმა კედლის კომენდანტის გული მაინც ვერ მოიგეს. გამუდმებით ესმოდათ მუქარა — თალ-ლითობას შეეშვით, ჩვენს წილს „გაურჩებულებს“ ნუ უგზავნით, თორემ საკუთარი აივნის ბოძებზე ჩამოგ-კიდებთო.

საისრელები იფიცეპოდნენ, ეს როგორ გაიფიქრეთ, ასეთი რამ რა სახსენებელიაო. ცდილობდნენ, მისი ეჭვები გაეფანტათ. ყოველ დილით კვლავ უთენია დგებოდნენ, ზღვისკენ მიეშურებოდნენ, შინ გვიან ლამით ბრუნდებოდნენ და ძალისხმევას არ აკლებდ-ნენ, მაგრამ რაც დრო გადიოდა, ხელი უფრო მეტად ეცარებოდათ და საქმე ბოლოს ისე ნავსად წარიმარ-თა, მთელი კვირის თევზაობის მანძილზე ბადეს რამ-დენიმე ჭიჭყინალა მოჰყვა.

სოფლელების ნაძალადევი მხიარულება თანდათან მიინავლა. კედლის კომენდანტს ვერაფრით არწმუ-ნებდნენ, რომ თევზი მართლაც გაქრა. ტყუიხართო, გაიძახოდა და წარამარა მათი დასჯით იმუქრებოდა.

ამას ისიც დაერთო, ერთდამეს „გაურჩებულები“ მთე-ბიდან დაეშვნენ და კედელს ზვავივით დაატყყდნენ.

საგუშაგოზე მდგომი მცველები თავიდან თვალს არ უჯერებდნენ. მოგვიანებით გონს მოეგნენ და სროლა ატეხეს. საისრელებმაც სროლითვე უპასუხეს. რამ-დენიმე ტყვია მიზანს მოხვდა. ქუჯის რაზმიდან ოთხი კაცი დაიჭრა, ერთიც მოკვდა. მცველებიდან სამი ალ-მოჩნდა დაჭრილი. კომენდანტი სამარქაფო ათეულ-თან ერთად საგუშაგოდან საგუშაგოზე დაქროდა, მაგრამ, მისდა სამწუხაროდ, „გაურჩებულები“ ვერ მოიხელთა და საკუთარი სიმამაცის სრული დემონ-სტრირების შესაძლებლობა არ მიეცა.

ნირნამხდარი უფროსი ხელქვეითებთან ჩიოდა, დანგრეული კედლის განახლების შესაძლებლობა რომ

არ ჰქონდა. ხერგილების გამო წამდაუწუმ უხდებოდა კედლიდან ჩამოქვეითება, მერე ისევ მაღლა აბობლება და დაუსრულებელი წონიალისგან სიქა ეცლებოდა, ხოლო იმ ამბავმა, რომ „გაურჩებულებმა“ ცეცხლ-სასროლი იარაღი აღმოაჩნდათ მცველთა სროლებს საპასუხო სროლით უპასუხეს, ხომ საერთოდ წონას-წორობა დააკარგინა....

საისრელებმა ფელუკები უპატრონოდ მიყარეს და ზღვაზე სიარული ყმაწვილებსაც აუკრძალეს, მაგრამ ისინი მუქარას არ ეპუებოდნენ, სახლიდან იპარებოდნენ და ანკესზე ჭიჭყინას წამოგებას დიდი მოთმინებით ელოდნენ.

მალე გული მათაც აუცრუვდათ.

ზღვა უკვე თითქოს აღარავის იზიდავდა. მთელი გულისყური კედლისკენ ჰქონდათ მიპყრობილი. ჩვენი უბედურების თავი და ბოლო ქუჯი არისო, წამოსცდა ერთხელ ვიღაცას და ეს ხელზე დაიხვიეს. ქალები წყევლიდნენ კიმოთეს ჯიშ-ჯილაგს, წყევლიდნენ ლუკას, ონოფრეს, უჩას და ყველას, ვინც კედლის დანგრევის მომხრე იყო. ისინი რომ არა, არც მებადურობას მივუბრუნდებოდით და, საერთოდ, ჩვენს სიმშვიდეს ვერავინ დაარღვევდათ, ირწმუნებოდნენ.

საისრელები ერთთავად რაღაც უბედურების მოლოდინით იყვნენ გათანგული. ეშინოდათ „გაურჩებულთა“ გამო კედლის მცველებს ჯავრი მათზე არ ეყარათ და ელაქუცებოდნენ, ღვინითა და შავი დღისთვის გადაახული სანოვაგით უმასპინძლდებოდნენ.

კედლის მცველებს სოფლელები თავიდან საგონებელში აგდებდათ, მაგრამ თანდათან მათთვის მისაღები სიმართლე გაარკვიეს: საისრელები კედელს ისე შეს-თვისებოდნენ, სულაც არ აწყობდათ მისი დანგრევა. გუშაგები ახლა უკვე მეტი თანაგრძნობითა და ნდობით ეკიდებოდნენ სოფლელებს, მათი მისამართით მუქარას და ლანძღვა-გინებასაც კი უკლეს.



ლუკა საისრეში ისევ დაბრუნდა და კედლის მნგრევ-ელთა მხარეზე სოფლელების გადაბირებას ცდილობდა. შინ დარჩენილი საისრელები ახლოს აღარ იკარებდნენ. ერთ დღეს ვიღაცა კედლის კომენდანტან გაიქცა და ლუკას გამოჩენა აუწყა. კომენდანტმა ბრძანა, მოხუცი შეეპყროთ და მიეგვარათ კედელთან. საისრელებმაც არ დააყოვნეს, მიესივნენ მოძღვარს, ხელ-ფეხი გვარლით გაუკოჭეს და არხთან დატოვეს, მერე კი შორიდან უთვალთვალებდნენ. აინტერესებდათ, როდის გამოჩნდებოდა კომენდანტი, მაგრამ იგი ბერიკაცს ორი დღე და ღამე არხის პირას საგანგებოდ აყოვნებდა.

მცველები თოფმომარჯვებული იდგნენ კედელზე და დასჩერებოდნენ უცნაურად გარინდულ ლუკას.

მესამე დილით საისრელთა შორის ხმა დაირხა, ქუჯი მოხუცის დასახსნელად მოემართებაო. კედლის კომენდანტმა კეთილი ინება და მცველთა თანხლებით არხთან ჩავიდა.

მისი მიზანი იყო, ძალ-ლონისაგან დაეცალა და დაეთრგუნა ლუკა. კომენდანტი ამგვარად უსწორდებოდა ბედის ირონიით მასთან დაპირისპირებულთ და უდიდეს სიამოვნებას განიცდიდა, როცა მსხვერპლი მუხლზე ჩოქვით ეახლებოდა. ამ გზით იგი ყოველგვარი თავნებობის ალაგმვასა და ხელქვეითთათვის მორჩილების ჩანერგვასაც ცდილობდა.

კომენდანტი ბოლმანარევი სიხარულით იყო ატაცებული, როცა არხის პირას უპოვარივით მიტოვებულ ლუკას თავზე დაადგა.

მოხუცი მისი ფეხის ჩქამზე არცკი გატოკებულა. კომენდანტმა წამოდგომა რომ უბრძანა, სახეზე ნაკვთიც არ შერხევია.

კედლის კომენდანტმა მცველებს მისი წამოყენება მოსთხოვა.

ორი მცველი მიუახლოვდა ლუკას, მხრებში ჩავლო ხელი და წამოწევა სცადა, მაგრამ ძვრაც ვერ უყო.

მოხუცს სიცოცხლის ნიშანწყალი კვლავ არ ეტყობოდა.

კომენდანტმა ორ მცველს კიდევ ორი მიაშველა, მაგრამ ბერიკაცს მათაც ვერაფერი მოუხერხეს. თითქოს იმ ორი დღე-ლამის განმავლობაში მოხუცს უხილავი ფესვები ღრმად გაედგა მინაში.

— რა ხდება?! — უკიდურესი გაოცებით წამოიძახა კომენდანტმა.

უეცრად ლუკა შეირხა, თავი მაღლა ასწია და წინ მდგომთ თვალი მოავლო. მის მშვიდ გამომეტყველებაში გასაოცარი ნებისყოფა და ქედუხრელობა იგრძნობოდა, რამაც მცველები ერთიანად შეაწრიალა.

მოხუცმა მზერა კედლის კომენდანტზე შეაჩერა. იგი გაჩხიბულივით იდგა და სიტყვებს ამაოდ ეძებდა. რამდენჯერმე სცადა მისი მომწუსხველი მზერისთვის თავი დაეღწია. ბოლოს, როგორც იქნა, ძალა მოიკრიბა და ფეხზე წამოაყენეთო, წამოიკნავლა.

მცველები ისევ მიახლენ მოხუცს. მკლავებზე, მხრებზე, ზოგმაც კანჭებზე წაავლო ხელი.

ვერც ახლა უყვეს ძვრა.

დამფრთხალმა მცველებმა კედლისკენ დაიხიეს. კომენდანტმა ხელები გაფარჩია, დაბრუნდით, თორემ დაგხოცავთო, შეჰყვირა.

მცველები არ დაემორჩილნენ.

ლუკა ნელ-ნელა წამოიმართა, გასწორდა, ცას ახედა, წუთით გაირინდა, მერე ერთი ღრმად ამოიქ-შინა, მკლავები მძლავრად გასწია, გვარლი დამპალი ბაზარივით შემოიფლითა, დაიხარა, ფეხები გაითავისუფლა, ნაფლეთებად ქცეული გვარლი კედლის მცველების მიმართულებით მოისროლა, მიტრიალდა და დაიძრა.

კომენდანტს მეტყველების უნარი წაერთვა. გაოგნებული სახით მიაჩერდა აუჩქარებლად მიმავალ, თმააწენილ მოხუცს. ხოლო, როცა იგი საკმაო მანძილით დაწინაურდა, გამოერკვა, კედლის ძირას მიყუჟულ, ნანახითა და განცდილით შეძრნუნებულ მცვე-

ლებს დაერია, ესროლეთო.

მცველებს იარაღი ხელიდან უცვიოდათ, „ღმერ-თო, გვიშველეს!“ თუ „ღმერთო, დაგვიფარეს!“ ლულულებდნენ და უფროსის მიერ შემოსარ-ტყმელად მოქნეულ დამბაჩას ირიდებდნენ. როცა კომენდანტი დარწმუნდა, რომ მცველები საბოლოოდ დაიბნენ, დამბაჩა თვითონ შემართა და ლუკას დამ-იზნებით ესროლა.

დამბაჩის ხმამ ქუხილით გადაუარა საისრეს.

სოფლელები თავინთი სახლების აივნებზე გამოიშ-ალნენ, მერე ბილიკებზე დაეშვნენ და არხის გასწვრივ უვნებლად მიმავალ ლუკას თვალი მიაპყრეს.

კომენდანტი დამბაჩის სროლით გამოეკიდა მოხ-უცს. ბერიკაცი იმგვარად მიაბიჯებდა, თითქოს სრო-ლის ხმა საერთოდ არ ესმოდა, უკან ერთხელაც არ მოუხედავს.

კომენდანტი ამაოდ ცდილობდა, მიახლოებოდა ზომიერი ნაბიჯით მიმავალ ლუკას. მისი ნასროლი მიზანს სცდებოდა და ამით გაგულისებული ცახცახმა აიტანა. თანდათან ჩამორჩა, შედგა და დამბაჩა მიწაზე დაახვეთქა.

საისრელებმა ისიც დაინახეს, როგორ გასცდა ლუკა კედლის სამანს და როგორ მიეფარა პორიზონტს მისი მხცით მოსილი თავი, როგორი მოქანცული ნაბიჯით მილასლასდა კომენდანტი არხამდე, პირქვე დაემხო და მიწას მუშტები რანაირი გამეტებით დაუშინა...



მიუხედავად იმისა, რომ ბადეს თევზი არ მოჰყვე-ბოდა, საისრედან ზოგიერთი მაინც გადიოდა გრძელ-სა და მოქანცველ გზას და ბედს ცდიდა.

ერთხელ, ზღვაზე დილაბინდისას წასული მება-დური სულმოუთქმელად ამოვარდა ფერდობებზე და

არაადამიანური ხმით უხმო სოფლელებს.

საისრელები მისმა სასონარკვეთილმა ყვირილმა შეაძრნუნა და დიდიან-პატარიანად სახლებიდან გამოიშალნენ.

— კედელს რომ გავცდი, — ყვებოდა გულამოვარდნილი მებადური, — ზღვის უცნაურმა დუმილმა გამაოგნა. ხომ არ დავყრუვდი-მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ ზღვას რომ მივუახლოვდი, გასაოცარი რამ დავინახე: ზღვა ნაპირს შეჰყინვოდა და ადგილიდან არ იძვროდა!..

საისრელებს არასოდეს სმენოდათ „თავიანთი“ ზღვის გაყინვა, მით უმეტეს, დაუჯერებელი ჩანდა ეს ამბავი შუაგულ თიბათვეში, როცა გაუსაძლისი ხვატისგან სულის მოთქმა ჭირდა.

— ფელუკა რომ გადავაბრუნე და წყალთან მივაჩიჩე, შიგ ვერ შევაცურე. მერე ბადე ვისროლე. ზღვის ხორკლიან ზედაპირზე გაიბლანდა და როცა მის გამოსატანად შესვლა ვცადე, წებოვანი, ბლანტი მასა ჯერ ფეხებზე შემომეტმასნა, მერე დაიხია, მთელი ძალით მომაწვა და ნაპირზე გამომაგდო... ყველაფერი ჯერ სიზმარი მეგონა, მაგრამ ზღვას რომ დავაკვირდი, ფეხმძიმე დედაკაცის მუცელივით ისე იყო ამობურცული, თავზარი დამეცა!..

საისრელებმა მებადურს მაინც არ დაუჯერეს, მაგრამ მან სოფლელთა უთავბოლო ყაყანზე საჩვენებელი თითო ზღვის მხარეს გაიშვირა და ნიშნის-მოგებით წამოიძახა:

— აბა, ყური მიუგდეთ!

სოფლელებმა ხმა გაკმინდეს და კედელს იქით განფენილ ზღვას შეშფოთებით მიაჩერდნენ.

საისრედან ზღვა უძრავი ჩანდა. როგორც ახსოვდათ, შორიდან იგი ყოველთვის ასე გამოიყურებოდა და ვერავითარი ცვლილება ვერ შეატყვეს.

მათი ყურადღება უფრო ირგვლივ დასადგურებულმა სიჩუმემ მიიძყორ.

ეს არ აგონებდათ არც ლამის მშვიდ მდუმარებას, როცა, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანები, ცხოველები და ფრინველები ძილს ეძლევიან, სოფელი სხვა-დასხვა იღუმალი ხმებით ივსება, მიწის ყოველი გოჯი თითქოს შეთანხმებული რიტმით სუნთქავს. არც მოსალოდნელი ავდრის წინ მიდამოს წამიერ გარინდებას ჰგავდა. თითქოს ყოველი სულიერისაგან დაცლილიყო დედამინა ან რაღაც დიდი უბედურების წინათგრძნობით შეძრულს სუნთქვა ჩაეხში.

ერთ ქალს გაკვირვების შეძახილი აღმოხდა. ეს ხმა მეხის გავარდნასავით გაისმა ამ უჩვეულო მდუმარებაში და საისრელებს შიშის ზარი დასცა.

გვერდით მდგომებმა ქალს პირზე ხელი ააფარეს და თითქოს სულიერი ყოფილიყო, ყური ხომ არ მოჰკრაო, ზღვისკენ შიშით გაიხედეს, მაგრამ იქიდან ჩქამიც არ ისმოდა.

გაოგნებული ხალხი ავის მაცნე მებადურის კვალზე დაიძრა.

ისინი ერთი აზრით იყვნენ შეპყრობილი: ზღვის ახლოდან დანახვა სურდათ და იმედს ჯერ კიდევ არ კარგავდნენ, მებადურს მისი გაყინვა თუ შედედება მოეჩვენებოდა ან სულაც ჩვენი გაცუცურაკება სურსო, მაგრამ სიჩუმეს რომ აყურადებდნენ, საცნაური ხდებოდა, ირგვლივ რაღაც შეცვლილიყო, რაღაც ახალი დაწყებულიყო და გარემოს ეს უცნაური გარინდებაც სწორედ ამის მიმანიშნებლად მიიჩნიეს...

სუსტი ნიავიცკიარ იძვროდა. ირგვლივ ყველაფერი სიჩუმეს დამორჩილებოდა. ხეები ტოტებჩამოწურულნი იდგნენ და თითქოს გაოცებით დასჩერებოდნენ ზღვისკენ გულისფანცქალით მიმავალთ.

ყოვლისმომცველ სიჩუმეს ჭიჭყინა თუ ონავარი ბავშვებიც მოენუსხა. ისინი უფროსების სახის გამომეტყველებას აკვირდებოდნენ და მოუთმენლად სწადდათ შეეტყოთ, თუ რად აღმოხდა მეზობელ ქალს

ასეთი შემზარავი კივილი, ვიღაცებმა რად ააფარეს პირზე ხელი, მერე სირბილისგან დაოსებულ მება-დურს კვალზე რად გაჰყვნენ...

საისრელები კედლის დასასრულს რომ მიუახ-ლოვდნენ, გახევდნენ.

მათ წინ მომაკვდავივით სულთმობრძავი ზღვა გა-ნოლილიყო, რომელსაც მებადურის თქმისა არ იყოს, ადამიანის მუცლის ფორმა მიეღო.

თავზარდაცემულებს ერთდროულად ხმამაღალი ოხვრა აღმოხდათ.

ოდნავ დახანებით, სოფლელებმა მათთვის სრული-ად უცხო, მონოტონურ ბგერას მოჰკრეს ყური. თავი-დან ეს ბგერა ადამიანის გულის ძერას მიამსგავსეს და შვებით ამოისუნთქეს, მაგრამ როცა მიხვდნენ, რომ ამ ხმას ზღვა გამოსცემდა, შიში და სასოწარკვეთილე-ბა ერთდროულად დაეუფლათ. უჩვეულო ბგერა თავი-დან ძლივს ისმოდა, თუმცა თანდათან დაიწმინდა და მკაფიოდ ახმიანდა.

ვიღაცამ თქვა, დახეთ, ჩვენი ზღვა დაორსულებულაო.

ეს სიტყვები ხუმრობას ჰგავდა, მაგრამ არავის გასცინებია, რადგან ზღვა მართლაც მუცელექმნილს ჰგავდა, და ეს მუცელი ნაპირიდან შორს, შემაღლე-ბულ ადგილზე მრგვალი, ჭიპისმაგვარი გამჭვირვალე სხეულით ბოლოვდებოდა.

საისრელები თვალსვერწყვეტდნენამმონოტონურად მფეთქავ სხეულს და იქიდან დაძრულ ზვირთებს, რომლებიც ნაპირისკენ სხმარტალით ცდილობდნენ გამოჭრას, მაგრამ წინააღმდეგობას აწყდებოდნენ და ზღვის ზემოდან გადაჭრიმულ მქრქალი შეფერილობის ხორკლიან გარსქვეშ უჩინარდებოდნენ.

საისრელთა წინაშე განოლილი ფენა, მიუხედა-ვად იმისა, რომ შინაგანი ბიძგებისგან ირწეოდა, გაყ-ინულს ჰგავდა და თითქოს ძალას იკრებდა, გაერღვია ეს გახევებული ზედაპირი, გამოეღწია იქიდან, მირიად

თავაწყვეტილ ზვირთად, ტალღად და ჭავლად მოსდებოდა გაყურსულ სანაპიროს და ზათქითა და მღელვარებით გაეცოცხლებინა...

სოფლელებს ბინდმა ისე მოუსწრო, ადგილიდან ფეხის მოცვლა და ნანახის გაზრებაც კი ვერ მოახერხეს, ხოლო როცა დაღამდა, ვიღაცამ დაღლა ახსენა და უამური შთაბეჭდილებისგან დაქანცულნი საისრეს გზას ლასლასით დაადგნენ.

კედელზე მცველები არ ჩანდნენ. ხომ არ გაიქცნენო, გაიფიქრეს საისრელებმა, მაგრამ სოფელს რომ გაუსწორდნენ, კედლის ძირას თავშეყრილებს მოჰკრეს თვალი. მათ დანახვაზე კომენდანტმა მცველებთან ჯაჯლანს თავი ანება.

— გამაგებინეთ, რას გვიპირებს, ა?! — გველნაკბენივით შესძახა, თითით ზღვისკენ მიანიშნა და მათ შესახვედრად გამოეშურა. — ამათ არაფერი ესმით, შეაყარე კედელს ცერცვი... იქნება თქვენ მაინც ამიხსნათ, რას მოასწავებს ყოველივე ეს!

საისრელები დუმდნენ. ან რა უნდა ეპასუხათ, როცა ასეთი უცნაური რამ მანამდე არც ენახათ და არც გაეგონათ. თვით „ჩამოხეტებულები“, რომელთაც ბებეისერში ჩამოსვლამდე ვინ იცის, სად არ ებორიალათ, მსგავს მოვლენას ვერ იხსენებდნენ და მხრებს იჩეჩავდნენ.

— ახლა ვხვდები, ვისი ნამოქმედარიცაა ეს. ვიცი, იმ ჯადოქარმა მოხუცმა ჩვენს გასამნარებლად მოიფიქრა ყველაფერი! — დაასკვნა კედლის კომენდანტმა..

ამ ცნობით გაოგნებული საისრელები ისევ დუმდნენ.

— რას ჩაგვარდნიათ ენა! — იჭექა კომენდანტმა. მერე ნიშნის მოგებით მოავლო ხალხს თვალი და დაამატა: — ნამდვილად მისი გაჩხიბულია ზღვა. ისაა ამ უბედურების ავან-ჩავანი. ლუკასნაირი ჯოჯოხეთის მოციქულები ჯადოქრობით მთებს სძრავენ თურმე. აგერ, მის ნამოქმედარს თვითონაც ხედავთ!

საისრელებმა უნებურად ზღვას მიუგდეს ყური. რაც დრო გადიოდა, მისი ძგერის ხმა სულ უფრო მკაფიო

და აუტანელი ხდებოდა.

სოფლელები ფიქრით ლუკას გადასწვდნენ. გაახ-სენდათ, ყოველ მის გამოჩენას და ქადაგებას როგორი ქილიკით ხვდებოდნენ. კედლის გამგებლის თქმისა არ იყოს, ჩანს, იგი მართლაც ყოვლისშემძლე ყოფილა და დასანანია, ჩვენივე უვიცობით ხელი რომ ვკარითო, გაიფიქრეს და იმის მაგივრად, რომ საკუთარ თავზე გაბრაზებულიყვნენ, მოხუცზე დაიბოლმნენ.

მცველებს კედელთან დარჩენის ეშინოდათ და ფერ-დობებისკენ მიმავალ სოფლელებს გაეკიდნენ.

იმ ღამეს საისრელებსა და კედლის მცველებს თვა-ლი არ მოუხუჭავთ. კაშკაშა მთვარის შუქზე საისრე-დან უკვე გარკვევით მოჩანდა უძრავი, მაღლა აზ-იდული ზღვის კონტურები. რაც დრო გადიოდა, მისი ძგერის ხმაც თანდათან ძლიერდებოდა.

კედლის მცველები და საისრელები შიშნეულად გასც-ქეროდნენ ზღვის ვერცხლისფრად მოციაგე ზედაპირს. თავს იმედებდნენ, იქნებ ყოველივე ეს მოჩვენებაა და ხვალ დილისთვის გაქრეს კიდეცო, მაგრამ მეორე დილას სანაპიროს რომ გახედეს, თმა ყალყზე დაუდგათ.

კედელი და მის მიღმა აღმართული შენობები ვეება მუცელივით ამოზნექილ ზღვასთან შედარებით ბავშ-ვის სათამაშოებივით მოჩანდა. ჭიპის მსგავსი სხეული კი ძალუმად ფეთქავდა და კედლისკენ ისე იხრებოდა, თითქოს მისი უკეთ დანახვა სურვებოდა.



გუშაგებმა, როგორც იქნა, შიშს სძლიეს, საისრეს ბილიკებს ნელ-ნელა ჩაუყვნენ და კედელზე ავიდნენ.

თვალს არ დაუჯერეს, როცა დაინახეს, რომ სიმაღ-ლის მიუხედავად ზღვას ნაპირი გოჯითაც არ გადმოე-ლახა, ხოლო მისი გარსი უფრო გამქრქალებულიყო.

კედლის კომენდანტი სოფლელებს ჩააცივდა, ზღვ-ისთვის პირვანდელი სახის დაბრუნება მხოლოდ ლუკას

შეუძლია და ნებით თუ არა, ძალით მაინც მომგვარეთო.

საისრელები ლუკას ხელში ჩაგდების სურვილით აღენთნენ. კომენდანტს აღუთქვეს, უეჭველად მოგიყვანთო და მთებისკენ დაიძრნენ. მათთან ერთად წასვლას მცველებიც აპირებდნენ, მაგრამ უფროსმა მათ თავი კედელთან მოუყარა, აქაოდა, ზღვამ სახე და ნირი როგორაც არ უნდა იცვალოს, ჩვენ ჩვენი მოვალეობა გვაკისრია, კედლის წუთით მიტოვების უფლება არა გვაქვსო.

კომენდანტისთვის წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა.

კედელზე ჩამწკრივებულ მცველებს თოფი ჰქონდათ მომარჯვებული. უფროსი მათ თვალს არ აცილებდა და რიხიანი შეძახილებითა და უაზრო შეგონებებით გულს უწყალებდა.

მცველები იმედოვნებდნენ, ღამით მაინც გვალირსებს დასვენებასო, მაგრამ მას არაფრის გაგონება არ სურდა. კედლის შიგნით სადგომი მოიწყო და ხელქვეითებს იქიდან ადევნებდა თვალს.



სოფლის მდუმარებას ზღვის ამობურცული, ჭიპის-მაგვარი სხეულის ძეგრადა არღვევდა. საისრელებს შინ ბავშვები და უძლური მოხუცები დაეტოვებინათ, რომლებიც ღამ-ღამით არამცთუ კარში გამოსვლას, ჭრაქის ანთებასაც ვერ ბედავდნენ, ხოლო დღისით უმთავრესად თავიანთი გამოყრუებული სახლების სარკმლებთან იყვნენ ატუზული ან ლანდებივით დაბორიალობდნენ ეზოებში და მთებისკენ წასულთა დაბრუნებას მოუთმენლად ელოდნენ...

ზღვა კი, იმის შემდეგ, რაც გარკვეულ სიმაღლეს მიაღწია, გარეგნულად უწყინრად გამოიყურებოდა,

მაგრამ უხსოვარი დროიდან მის ზეირთთა ზათქს შეჩვეულ საისრეში დარჩენილთათვის ჭიპისმაგვარი სხეულის მონოტონური ძეგრა უცხოდ და შიშის-მომგვრელად რჩებოდა და ეს უფრო აფრთხობდათ, ვიდრე მაღლა აზიდული, გახევებული ზღვის ცქერა.



საისრელები ორ კვირაზე მეტს ეძებდნენ ლუკას და „გაურჩებულთ“, მაგრამ ვერსად მიაკვლიეს და საგონებელში ჩავარდნილებმა სოფელში დაბრუნება გადაწყვიტეს.

სოფელს მოახლოებულებს შემდეგი სურათი წარმოუდგათ: ზღვის გარსს მუქი ჟანგისფერი გადაჰკვროდა, თავად ზღვა უსაშველოდ მაღლა აზიდულიყო, ჭიპისმაგვარი სხეული წრიულად გაშლილიყო და ძალუმად ფეთქავდა. მისი მონოტონური ძეგრა მთელ სანაპიროს და საისრეს აყრუებდა. თოფმომარჯვებული მცველები არხთან ჩამნერივებულიყვნენ და კედელზე მდგომ, ზღვისკენ პირმიქცეულ კაცს თვალს არ აცილებდნენ.

სოფლელები არხს რომ მიუახლოვდნენ, გაოცება ვერ დაფარეს.

კედელზე ქუჯი იდგა.

ზღვას მიჩერებულმა ხელები მაღლა შემართა და რაღაც წამოიძახა.

ჭიპისმაგვარი სხეული გაიტრუნა. ძეგრა თანდათან ნაზი და მელოდიური გახდა. „დინ, დონ... დინ, დონ...“ — საათის მექანიზმივით მარცვლავდა და სადაცაა მიყუჩდებაო რომ იფიქრებდით, ხმას ისე აუწევდა, მუქარასავით გაისმოდა. საისრელები გულმოდგინედ უგდებდნენ ყურს, მაგრამ იგი ვერც ერთ ნაცნობ ხმას ვერ მიამსგავსეს.

ქუჯი საისრესკენ შემოტრიალდა.

ზღვა მკვეთრად აძგერდა.

— ორი დღის წინ თვითონ გამოგვეცხადა. რამე თუ არ იღონა, ცოცხალი ვერ წამივა! — აუწყა სოფლე-ლებს კედლის კომენდანტმა.

— კი მაგრამ, მაგას რა შეუძლია, ლუკა რომ იყოს, კიდევ გვესმის! — აღმოხდათ ნანახითა და მოსმენილ-ით დათრგუნულ საისრელებს.

— ეს ჯადოქრობაში ლუკას არაფრით ჩამოუვარდება. თუ კეთილს ინებებს და ამ გაქვავებულ მასას ისევ წყლად აქცევს, სიცოცხლეს შევუნარჩუნებ, არადა, ყველაფერი თავს დააპრალოს! — იყო კომენდანტის პასუხი.

საისრელები ამ ცნობას დუმილით შეხვდნენ. ნამა-ლევად შეჰყურებდნენ კედელზე მდგომ ქუჯის, შემ-დეგ სინდისის ქენჯნა იგრძნეს და უნებურად თავი ჩაქინდრეს, მაგრამ რამდენიმე ხანში მათი უმეტესობა თვალს ვერ წყვეტდა ჭაბუკს და თუმცა გარეგნულად არ ავლენდა, სიხარულს ვერ უმკლავდებოდა. ზოგი ვერ მიმხვდარიყო, რა ახარებდა: ის, რომ ქუჯი სხვის მაგიერ იდგა კედელზე და პასუხისმგებლობა ეკისრე-ბოდა კედლის ნგრევის, მცველთა არაფრად ჩაგდების, კომენდანტის თქმით, ზღვის გადაგვარების გამო, თუ ის, რომ ისევ მხნედ და შეუპოვრად გამოიყურებოდა.

ქუჯი კვლავ თანამზრახცელებს ეძებდა მათ შორის, მაგრამ როცა მხოლოდ არაფრის მთქმელ, გაქვავე-ბულ სახეებს წააწყდა, თავისთვის გაიფიქრა:

„უფალო, თვალი აუხილე და შეენიე ამ დაბეჩავებულ ადამის შვილებს, ალადგინე და ძალა მიეც, რომ ოდენ საბალახოდ მიშვებულ პირუტყვით ალარ ემსგავსონ!..“

ამასობაში, საისრელებს ერთი ჩია ტანის ბერიკაცი გამოეყო. უკბილო, ჩაშავებული ხახა დააბჩინა და რა-ლაცის თქმა დააპირა, მაგრამ ჯერ გაუბედავად გახე-და ხალხს და იქიდან რომ წააქეზეს, აძრახდა:

— შე კაი დედ-მამის შვილო, სანამ მსულ არ დაგვაქცევ, არ შეგვეშვები? ის ამოსაგდები ლუკა და შენ ძან კი

უკირკიტებდით ამ კედელს, მაგრამ აგერ ეგა და აგერ შენც. სოფელს ვეღარსად წაუხვალ, საქმეს ისე გაგიხდიან, იქნება ჯოჯოხეთი სამოთხედ მოგეჩვენოს...

მის სიტყვებზე საისრელები ერთხმად აყაყანდნენ. მხარდაჭერით გათამამებული ბერიკაცი უფრო გაცხარდა:

— ახლა ეს ზღვაც რომ გადარიეთ?! ეს რა ჭირი და დოზანა დაგვატეხეთ, კაცო, ვერ გაიგებ წყალია, თხლეა თუ რა ვიცი. აგვიხსენი, რად გახდა ასეთი, უნინდებურად რად არ ბრდლვინავს და სანაპიროს რად არ აცოცხლებს, ჰა?!

ქუჯი საისრელთა გნიასს მოთმინებით უსმენდა. თანასოფლელები კი შეძახილებითა და ყვირილით ცეცხლს უკიდებდნენ ერთმანეთს და მისკენ მიიწევდნენ...

ონოჭრა

თევზის გაქრობა და ზღვის გახევება სოფლელებზე ადრე შევნიშნეთ. ზღვისპირიდან ყოველი ამოსვლისას, სასონარკვეთილი ქუჯი, რა ხდება, ვერ გამიგია, სოფლელები ჯერ-ჯერობით ვერაფერს მიმხვდარან და სიმართლეს რაც უფრო გვიან შეიტყობენ, იქნება მათვის უმჯობესი იყოს, რადგან ისედაც გზა-კვალ არეულებს ეს ამბავი მთლად ბოლოს მოუღებსო, გაიძახოდა.

მართლაც, სანამ ზღვამ გარსი არ გადაიკრა, სოფლელებმა მისი გამკვრივება ვერ შენიშნეს, ხოლო როცა ნახეს, იფიქრეს, ყველაფერი ერთბაშად, ერთ ღამეში მოხდაო, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცოდით, ზღვა თვეების მანძილზე ბლანტდებოდა და ეს გასაოცარი მოვლენა იმის შემდეგ დაიწყო, რაც კედელზე მცველები ჩამოაყენეს.

საისრელთა მუქარის მიუხედავად, ქუჯი ყოველ ღამე ჩადიოდა კედელთან და წყალს სინჯავდა.

ზღვის აგრერიგად გარდასახვამ კედლის ნგრევა გადაგვავიწყა. ყურს ჭრიდა ფეხმძიმე ქალის მუცელივ-ით მაღლა აზიდული ფენის ძგერა. იგი თითქოს რაღა-ცაზე მიგვანიშნებდა. ქუჯი ამბობდა, ზღვა შურისძიე-ბას აპირებს, სოფლელებმა ადამიანური ლირსება რომ დაივიწყეს, ამ გულფუტურო კედლის წინაშე ქედი მოიდრიკეს, უარი თქვეს თავიანთ წარსულზე და უმს-გავს ცხოვრებას დაადგნენ, იმის გამო.

გაუგებარი იყო, შურირანაირად უნდა ეძია ზღვას. თუ ჩვენი დაქცევა პქონდა განზრახული, რაღას მაგრდებო-და?.. არადა, ქუჯის ამოჩემებული პქონდა, სათითაოდ ყოველ ჩვენთაგანზე იძიებს შურს, რასაც ვიმსახურებთ კიდეცო.

გუშაგებს ქუჯი კომენდანტისთვის რომ მიუგვრი-ათ, ზღვა შენი გამკვრივებულიაო, დაუდანაშაულებია. ქუჯის სიმწრისაგან გასცინებია. რომ შემძლებოდა, რაღა გავამკვრივებდი, კედელს დავატაკებდი და მი-წასთან გავასწორებინებდიო, მიუგია.

კომენდანტს საისრელები დაურწმუნებია, ზღვის აგრერიგად გახევება ღუკასი თუ არა, ქუჯის ბრალიაო და უგუნურებს მის ჩასაქოლად გაუწევიათ. ჯერ ზღვას პირვანდელი იერი დაუბრუნოს, მის ჩაქოლვას ყოვ-ელთვის მოესწრებითო, უცდია კომენდანტს მათი და-შოშმინება, მაგრამ გაგიგიათ? კიდევ კარგი, გუშაგებს უმარჯვიათ და საისრელები ფერდობებზე აურეკიათ.

ამ დღიდან მოყოლებული, კომენდანტის მითითე-ბისამებრ, სოფლელები სათითაოდ ჩადიოდნენ კე-დელთან და ეკითხებოდნენ ქუჯის, რას იქმოდა ზღვის მოსარჯულებლად. ძალას არ ვაკლებო, პასუხობდა იგი, მაგრამ იჭვნეულად უსმენდნენ. მერე ჭკუას არიგებდნენ, ემუქრებოდნენ და თითქოს მძიმე მოვა-ლეობა მოეხადოთ, მეზობლებთან მიიჩქაროდნენ, რომ სიტყვა-სიტყვით გადაეცათ, რას ითხოვდნენ თვითონ, რა უპასუხათ ქუჯიმ, რანაირად დაემუქრნენ, მათმა

მუქარამ როგორ გაჭრა...

ყოველ საისრელს მტკიცედ სწამდა, რომ თუ ქუჯის თვითონ დაარიგებდა, ასე და ასე ეხვეწე ზღვასო ან დაემუქრებოდა, სოფელს რაღაც სამსახურს გაუწევდა და ამის შეგნებით შთაგონებულნი დაუღლელად მიმოდიოდნენ კედელსა და სოფელს შორის.

ზღვა კი, იმის შემდეგ, რაც გარკვეულ სიმაღლეს მიაღწია, უძრავი გახდა და უძლურად ფეთქავდა. ქუჯი ერთთავად ზღვას იყო მიჩერებული. სოფლელები მოსვენებას არ აძლევდნენ. ემუდაროს, უბრძანოს, დაემუქროს და როგორც უნდა, ისე დაგვიბრუნოს უნინდებური ზღვაო. როგორც კი ჭაბუქს გაჩუმებულს შენიშნავდნენ, რას დადუმდი, ხმა ამოიღო, უყვიროდნენ.

ზღვა ზოგჯერ ისე იყო გაყურსული, თითქოს სოფლის მაჯისცემას უგდებდა ყურს. მერე ხანგრძლივი დუმილით თავგაბეზრებულივით იქუხებდა და კედლის მცველებსა და საისრელებს შიშის ზარს სცემდა.

საისრელები ცდილობდნენ, გამაყრუებებლი ხმაური რომ მინელდებოდა, დაესვენათ, წაეთვლიმათ ან ადრე წამოწყებული საქმე გაეგრძელებინათ, მაგრამ სწორედ მაშინ, როცა თავს დაიარხეინებდნენ, ქუხილი მეტად არ განმეორდებაო, ზღვა დადარაჯებულივით იხუვლებდა და ყველას, დიდიან-პატარიანად ფეხზე წამოყრიდა. შინ მყოფნი აივნებზე გამორბოდნენ, მთებში მყოფნი გადასახედისკენ მიიჩქაროდნენ და გასცეკროდნენ ზღვას, რომელსაც გარეგნული ცვლილება არ ეტყობოდა და უწყინრად იყო გატრუნული. მერე ბუზღუნ-ბუზღუნით უბრუნდებოდნენ საქმეს თუ ძილს, მაგრამ ვერც საქმეს უდებდნენ გულს, ძილი ხომ არა და არ ეკარებოდათ.

დროთა განმავლობაში გუშაგებმა შენიშნეს, საკმარისი იყო თოფი შეემართათ, რომ მაშინვე ცას და მინას ქუხილით გააყრუებდა ზღვა. კარგა ხანს ვერ ამხელდნენ ამას. კედლის კომენდანტი კი მათგან

მუდმივ მზადყოფნას ითხოვდა და სანამ ყველაფერს თვითონ არ შეესწრო, მავ დღეს აყრიდა.

შეშფოთებულმა გუშაგებს უბრძანა, თოფები დახრილი სჭროდათ, ხოლო მათი შემართვისთვის მკაცრი სასჯელი დააწესა.

კედლის კომენდანტს მეორე თავსატეხიც დაატყდა: ზღვის უჩვეულო გაყინვის გამო (თუ როგორ ენდდებინა, თვითონაც არ იცოდა), ქალაქში საჩივარი ჰქონდა გაგზავნილი, რის მიმართაც, მისდა მოულოდნელად, მმართველობამ შესაშური დაინტერესება გამოიჩინა.

მალე სანაპიროს ქალაქიდან მოვლინებული უცნაურად ჩაცმულ-დახურული ხალხი მოედო. როგორც საისრელებმა შეიტყვეს, მათი უმეტესობა საქვეყნოდ სახელგანთქმული სწავლულები და მისნები იყვნენ.

მეცნიერები დიდხანს უტრიალებდნენ ზღვას. რა არ მოიგონეს, ფერდობელთათვის გაუგებარ, უცხო სიტყვებს გაიძახოდნენ, ნამდვილად ამა და ამ მიზეზით არის გამკვრივებულიო. მისი შემადგენლობის დასადგენად ლითონის პრიალა ხელსაწყოებში ყრიდნენ სილას და სანაპიროს შემოგარენში დახვავებულ ღორღს. ვეება ჭურჭლეულობაც მოზიდეს, რომ ზღვის სიბლანტის მიზეზი გამოიკვლიათ, მაგრამ როგორაც არ ეცადნენ, ამ უზარმაზარ სხეულს მისხალიც ვერ მოაკლეს.

რით არ მოინდომეს მისი მოქრა. გუშაგები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ, სწავლულებს თავიანთ მოსაზრებებს სთავაზობდნენ, მაგრამ როცა ვერაფერს გახდნენ, ზღვის გამკვრივებული ზედაპირით ჭიპის მსგავსი გამჭვირვალე წრისკენ ცოცვა-ცოცვით დაიძრნენ, თუმცა საკმარისი იყო მის ამოზნექილ ადგილს ოდნავ მიახლოვებოდნენ, რომ ზღვა მძლავრად შექანებულიყო და მცველები პრიალა ჭურჭლეულობითა და ხელსაწყოებით ნაპირზე გადმოეხვეტა.

სწავლულები შედრენენ. თავიანთი უმწეობა ერთხმად აღიარეს და ბარგის ჩალაგებას შეუდგნენ.

ასპარეზი მისნებს დაეთმო. მათ შორის უპირველესი, როგორც კი ზღვას მიუახლოვდა და გამკვრივებული მასის ახლოდან დაკვირვებას შეუდგა, მოუსვენრად აწრიალდა. შემდეგ უეცრად, თავზე ჩამოფხატული წონოლა ჩაჩი მოიშვლიპა, სილაზე დააბერტყა და გუშაგებს ფეთიანივით დაუსხლტდა.

— ზღვა თავის უამს ელოდება, ეს უამიც მოახლოებულია! — წამოიძახა და თავქუდმოგლეჯით მოკურცხლა.

გუშაგები გამოეკიდნენ, ძლივს შეაჩერეს, დაუყვავეს, საჩუქრები აღუთქვეს. როცა ვერაფერმა გაჭრა, გამოტყდი, ეს ყველაფერი რისი მომასწავებელია, თორემ ცოცხალს არ გაგიშვებთო, დაემუქრნენ.

მისანი თავიდან დუმდა. მოგვიანებით, კედელზე მდგომს ჰკითხეთ, დარწმუნებული ვარ, იმან ყველაფერი იცის და ათქმევინეთო, თავი დაიძვრინა.

გუშაგები ქუჯის მისცვივდნენ, მაგრამ პასუხს ვერც მისგან ეღირსნენ.



კედლის კომენდანტის ბრძანებით მცველებმა ქუჯი კედლიდან ჩაიყვანეს და სანაპიროზე დააყენეს, ზღვამ წომ ნაპირი გადმოლახოს, ალბათ, იმისი ძალაც ექნება, შეაჩეროსო.

საისრელებს კედლიდან ქუჯის ჩაყვანა სადარდებელი გაუხდათ, რადგან ამიერიდან მასთან გამოლაპარაკებას, რჩევას ან დამუქრებას ველარ შეძლებდნენ. ისინი ბოლმას არც მაღავდნენ, თუ სოფელს განსაცდელისგან არ იხსნის, უკანასკნელ ნაძირალასავით გავუსწორდებითო და დაუინებით მოითხოვდნენ, დაებრუნებინათ ჭაბუკი კედელზე.

კომენდანტი უარზე დადგა.

ვინ იცის, რამდენჯერ ჩამოზვავდნენ საისრელები თანასოფლელის დასასჯელად, მაგრამ მცველები იგერიებდნენ. ისინი კედელს რომ მოადგებოდნენ, ქუჯი ყურთასმენას იხშობდა, მაგრამ ერთხელ მაინც გაიგონა, ცოცხალი იქნება თუ მკვდარი, ჩვენ გვეკუთვნის და ჩვენვე დაგვითმეთო, რომ უკიუინებდნენ კომენდანტს. ქუჯი, როგორაც არ ეცადა დაერწმუნებინა თავისი თავი, ეს სიტყვები ჩემი მისამართით არ ყოფილა ნათქვამიო, ბოლოს მაინც იძულებული გახდა ელიარებინა, რომ სოფლელთაგან განწირული იყო და ამისმა შეგნებამ მის სიმტკიცეს ბზარი გაუჩინა.

მთელი დღეები გარინდული იდგა ზღვის პირას. ფიქრებს თავს ვერ უყრიდა. თითქოს სიზმარში იყო და ეს ზმანება მანამდე გრძელდებოდა, სანამ ერთ საღამოს სიცილის ხმამ არ გამოარკვია.

თვითონ იცინოდა თურმე. საკუთარ თავს ხმამაღლა კიცხავდა: ნუთუ ამათი გულისთვის გინდოდა თავის განირვა, ღირდა კი მათ გამო ამდენი ტანჯვის ატანა, უმჯობესი იყო, ჩარჩენილიყავი შორეულ ქალაქში და შენი თავისთვის მიგეხდა, სეინერიდან არ ჩამოსულიყავი, გეხეტიალა დედამინის გარშემო და აღსასრულის უამი, ახლა ყოველდღიურად კარზე რომ გიკაკუნებს, გაგეხანგრძლივებინაო.

ხან ებრალებოდა თანასოფლელები. თავს იმტვრევდა იმაზე ფიქრით, როგორ ენუგეშებინა ისინი, თუმცა ზოგჯერ დასანახადაც ვერ იტანდა. ძაბუნებს, უნდილებსა და ქვემძრომებს უწოდებდა და ლამის თავიც შესძულებოდა, რომ მათ გამო აყუდებულიყო სანაპიროზე და გონებაჩლუნგივით ემუდარებოდა ზღვას, პირვანდელი სახე დაიბრუნე, ამ გაჯიქებას აზრი არა აქვს, რადგან საისრელები კედელს ისე შეჰგუებიან, სანაპიროს არსებობა მის გარეშე ვერც წარმოუდგენიათო... ეცინებოდა, რომ თანასოფლელებმა მხარდაჭერის ნაცვლად, უკანასკნელ ნაძირალასავით

გაიმეტეს. მწარედ ქირქილებდა, საკუთარი ადგილი რომ არ იცოდი, ასეც მოგიხდებაო და სასონარკვეთილი, სანაპიროზე უთავბოლო ბორიალს იწყებდა.

მიჩნილ ადგილზე დაეტიო, აფრთხილებდნენ მცველები. მათი ჯიბრით სირბილს მოჰყვებოდა. ირბენდა, იბობოქრებდა, იხარხარებდა, ძალ-ლონისგან დაიცლებოდა და როცა სულის მოსათქმელად ჩაიმუხლებდა, მცველები კედლიდან დაეშვებოდნენ, მიეჭრებოდნენ, მიჩნილ ადგილზე დააბრუნებდნენ და უბრძანებდნენ, ემუდარე ზღვას, გათხელდესო.

ქუჯი დუმდა.

ისევ უბრძანებდნენ. ჯიუტობას რომ არ მოიშლიდა, გულ-გვამში წიხლს უთავაზებდნენ. ძირს დაცემულს ბურანიდან გამოსვლა უჭირდა. წამოაგდებდნენ, უმოწყალოდ ურტყამდნენ. ისევ ეცემოდა. ამჯერად ბურანი უფრო ხანგრძლივი და მძაფრი დგებოდა.

როცა გამოერკვეოდა, ალმოაჩენდა, რომ ის და ზღვა მარტონი იყვნენ: თვითონ ნაცემ-ნაგვემი და ძალაგამოცლილი, ზღვა კი — მშობიარობის მომლოდინე ქალივით თვინიერი და როცა მას უცქეროდა, გული უსაზღვრო სინაზით ევსებოდა.

ზღვა თითქოს საშველად უხმობდა ვიღაცას. მერე უდანაშაულო შვილს გამოსარჩლებული დედასავით ქუჯის შეეხმიანებოდა, ჭიპისმაგვარი სხეული მძლავრად შექანდებოდა და გამაყრუებლად იქუხებდა.

ილაჯგაწყვეტილი, ნაცემ-ნაბეგვი ქუჯი ძალას მოიკრებდა, ნამოიმართებოდა და ზღვას მიუახლოვდებოდა. გლუვად გადაკრული გარსის შიგნით ჯიუტად სხმარტალებდნენ ზვირთები და ნაპირისკენ გამოჭრას ლამობდნენ, მაგრამ სქელ საფარს ჯერ კიდევ ვერას აკლებდნენ და მის წიაღშივე უჩინარდებოდნენ.



შუალამე გადასული იქნებოდა, როცა ადამიანთა მცირე ჯგუფი კედელზე გადავიდა და სანაპიროსკენ დაიძრა.

ქუჯიმ მთვარის შუქზე მისკენ ფეხაკრეფით მომავალ ლანდებს მოჰკრა თვალი. ისინი შორიახლოს შედგნენ და თავები შეატყუპეს. ჩანდა, ბჭობდნენ, შემდეგ ერთი მათგანი სხვებს გამოეყო და სწრაფი ნაბიჯით მიუახლოვდა.

ქალი აღმოჩნდა. რალაცა წამოიძახა და კედლისკენ მიუთითა. ქუჯიმ ვერაფერი გაიგო. შეჰყურებდა და მისი ვინაობის გახსენებას ცდილობდა. უნებურად ზღვის უჩინარმა ბიძგებმა წარსტაცეს ყურადღება და ქალის იქ ყოფნაც მიავიწყდა.

ქალი ხელებს იქნევდა და ისევ კედლისკენ უთითებდა. ქუჯი სახეზე მისჩერებოდა. ქალს ეგონა, მისმენსო, მაგრამ ზღვის მკვეთრი ბგერები ქუჯისკენ დაძრულ სხვა ხმებს ახშობდნენ. ქუჯი მის თითოეულ ჩეამს უსმენდა, გრძნობდა ზღვის ყოველი ძარღვის თრთოლას და როცა მისი სიღრმიდან უმცირესი ტალღა დაიძვრებოდა, მზად იყო ამ მოძრაობას აპყოლოდა.

ქალი მიუახლოვდა. ქუჯიმ სახეზე ცხელი სუნთქვა იგრძნო. უკან დაიხია, ახედ-დახედა და გაირინდა.

ახალმოსული რალაცას იხვენებოდა. ქუჯიმ ვერაფრით გაიხსენა, ვინ იყო. ვერ მიხვდა, რას მოითხოვდა მისგან ან რა სურდა. თვითონ ერთობ საშური საქმით იყო დაკავებული და არ შეეძლო მოსწყვეტოდა. ქალი კი შორეული წარსულიდან ცდილობდა მის გამოხმობას და წარმოდგენა არ ჰქონდა, ახლა მათ შორის უკიდეგანოდ აზიდული ზღვა რომ იყო გართხმული.

ქუჯი მიტრიალდა, რათა ქალს და მასთან ერთად მოსულთ, რომლებიც შორიახლოდან მდუმარედ თვალს ადევნებდნენ, გასცლოდა.

რამდენიმე ნაბიჯი რომ გადადგა, ზღვის ყრუბენი თითქოს თანდათან მიინავლა, ისინი უცხო სმებმა გადაფარეს. ვაჟიალშტოთდა, რომ სიმყუდროვე დაურღვიეს, ზღვასთან დამაკავშირებული ძაფი გაუწყვიტეს და მთვარით გაშკაშებულ სანაპიროს დაუბრუნეს.

მგონი, ჩემს კვალზე მოაბიჯებენო, გაიფიქრა ქუჯიმ და ფეხს აუჩქარა, მაგრამ მალევე მიხვდა, რომ არ შეეშვებოდნენ.

ვაჟი შედგა, მიტრიალდა და მათ შესახვედრად ჩქარი ნაბიჯით გაემართა.

მოსულები უწინდელ ადგილზე გახევებულიყვნენ. ქალს მკლავები უღონოდ ჩამოეყარა, ვედრებად ქცეული შესცეკროდა და ეს ჩუმი მუდარა ქუჯის არსებაში გულისმებრელ კივილად გახმიანდა.

ქალის უმწეობით შეძრული ქუჯის მეხსიერების სიღრმიდან ბუნდოვანი მოგონება დაიძრა: ეს იყო უოლოებით მოხატული ჩითისკაბიანი, კნაჭა გოგონას სახე და მისი სევდიანი სიმღერა. მოაგონდა, კლდის შვერილზე შემომდგარი გოგონა თავისკენ როგორ უხმობდა...

ქუჯი მიუახლოვდა, დააცქერდა, გაკვირვების შეძახახილი აღმოხდა და ქალისკენ ხელი გაიწოდა.

მზიულა

რაც თავი მახსოვს, ფიქრებში მუდამ შენთან მოვდიოდი. ეს გზა საისრედან შორეული ქალაქისკენ მიემართებოდა. ყოველ დილით, ინათებდა თუ არა, ამ გზას დავადგებოდი. სანამ შენამდე მოვალწევდი, ათასი ფათერაკის გამოვლა მიხდებოდა. მერე ზღვისპირა ქალაქში მიმოფანტულ ქუჩებში დაგეძებდი, გიპოვიდი, შენი ცქერით გულს ვიჯერებდი, საისრელთა ამბებს მოგიყვებოდი და რომ არ შემომღამებოდა, შინისკენ მოვეშურებოდი. შენ კი მომდევდი და ხელს მიქნევდი...

მამამ ქალაქში რომ წამიყვანა, იმ დღესვე ნავს-აყუდელი შემოვირბინე, თუმცა ვერსად გიპოვე, მა-გრამ ყველაფერი, რასაც კი ხელს ვახლებდი, მხოლოდ შენთან იყო დაკავშირებული, შენთან და საისრესთან.

გელოდი. აურაცხელ ცთუნებას თავს ვარიდებდი.

მამაჩემი ყოველ ჩამოსვლაზე მაფრთხილებდა, საისრეში დაბრუნება არ გაძედოო. როგორ, ჩემი სახლი მოვიძულო და იმ უცხო ქალაქს შევეკედლო-მეთქი? სხვანაირად არც იფიქრო, ეცადე, ცხოვრება მანდ მოიწყოო.

მაინც დავპრუნდი.

შინ მტრულად დამხვდნენ.

დობილებმა შენს შესახებ ყველაფერი მიამპეს. მა-შინ მთებში გახიზნულებთან გავიპარე, მაგრამ ვერც მათ შორის გიპოვნე.

აგერისინიც... შენს გადასარჩენად წამოვიყვანე. დააკ-ვირდი, მათ შორის უჩაცაა. ყველას უნდოდა წამოსვლა, მაგრამ ონოფრემ, — თქვენც საკმარისი ხართო.

წამოდი! თუ დარჩენა გაქვს გადაწყვეტილი, დამ-ტოვე. შენს გვერდით მინდა ყოფნა. წაცემ-ზაგვემს იარები უნდა მოგიშუშო და ყველა უბედურება შენთან ერთად მოვიგერიო. გემუდარები, წამოდი, არადა, შენ-თან დამტოვე!

ძუჯი

ამ შეხვედრას ბავშვობიდან ველოდი და ხედავ, ძლივს გიცანი...

თითქოს ჩემს თავს აღარ ვეკუთვნი, რაღაც უხილა-ვი ძალა მმართავს და თავის ნებაზე დამატარებს.

საისრელები მამტყუნებენ — გვერჩია, ისევ ძველე-ბურად ვყოფილიყვათ, შენი ბრალია, ზღვა დაქცევას რომ გვიპირებსო. გესმის?.. მსაყვედურობენ. როგორ ვი-

ფიქრებდი, რომ კედლის დანგრევას ასე შეეწინაალმდეგებოდნენ. ის კი არა, რომ შეეძლოთ, ხელახლა ააშენებენ.

გინახავს ხალხის აგრერიგად დაცემა?.. არა?.. არც — მე. ერთმანეთს აპეზღებდნენ, კინ კლაობდნენ, ენატანიობდნენ. მათი ლარიობის გამო სოფელი ახალგაზრდობის-გან დაიცალა, ამის გულისითვის გადაგვაარგეს მშობლებმა. აქედან წასულთაგან არც ერთს შინ დაბრუნება აღარ უნდა. გესმის? შინ დაბრუნების ეშინიათ, რადგან ამათ ერთმანეთს ჯოჯოხეთად უქციეს ცხოვრება...

მშობლები დღემდე მითვლიან, აქაურობას მოშორდი, ქალაქში წადი ან მთებში გამოიხიზნეო. მთებში ვერ დავბრუნდები. ვერც ქალაქს შევაფარებ თავს. რატომ? საისრელები და კედლის გუშაგები მთებში გახიზნულთ ჩემს გამო დევნას დაუწყებენ, ისედაც მათი ამოხოცვით იმუქრებიან. დარწმუნებული იყავი, ხელი რამემ თუ არ შეუშალა, მუქარას შეასრულებენ.

ჩვენ გვეგონა, თუ კედლის ნგრევას შევუდგებოდით, მთელი სოფელი მხარში ამოგვიდგებოდა და ბებეის-ერის სანაპიროს დავიბრუნებდით. ღრმად გვწამდა, რომ სოფლისითვის სიკეთეს ვაკეთებდით.

დედაჩემი, ეს წლებისაგან და გამუდმებული ჯაფისაგან დაუძლურებული ქალი, კედელზე პირველად გადმოსვლისა და აქაურობის წახვის შემდეგ სოფელში დადიოდა და მეზობლებს სანაპიროს შესახებ უყვებოდა. ვისაც ბებეისერზე გული ოდნავ მაინც შესტკიოდა, გაფაციცებით უსმენდა. ქალები ქმრებს ერთ ამბავს აწევდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთები საისრეში ცოტანილა იყვნენ. მერე ერთ ღამეს დედა და მამა საისრელებმა შიშველ-ტიტვლები წამოყარეს და სოფლიდან განდევნეს. ასე გააძევეს ყველა, ვინც კი არასაიმედოდ მიიჩნიეს...

ვერც იმ ქალაქში წავალ, საიდანაც უბედურება დაგვატყდა. სხვაგან — მით უფრო. უზრუნველად ცხოვრებას ვერაფრით შევეგუები, ჩვენი გოგო-ბიჭებივით საის-

რელი აღარ ვარ-მეთქი, ვერ ვიტყვი, რადგან მე აქაური ვარ, ბებეისრელთა შთამომავალი, დევნილი საისრელი. ამაში თითქოს საამაყო არაფერია, მაგრამ რაც არ უნდა იყოს, მაინც ბებეისრელთა შთამომავლად ვრჩები და, ბოლოს, ქალაქელებთან და საისრელებთან ყოფნას აქ დგომა მირჩევნია. ასე მგონია, ეს ზღვა უფრო დამიფარ-ავს და მომესალბუნება, ვიდრე — ისინი...

ნუ ღელავ, შენთან ერთად მოსულები წაიყვენე და წადი! ნუ ტირი. ცრემლი შეიშრე. ჩემებს რა უთხრა?.. ზღვას დაიმორჩილებს და დაბრუნდება-თქო, დაამშ-ვიდე. ჩემთან ყოფნა გინდა?.. ამაზე ხომ მთელი ეს წლები ვოცნებობდი, მაგრამ ახლა — არა. გწამდეს, ჩვენი დრო უეჭველად მოვა... თავისიუფლებისა და სიყ-ვარულის დრო უსათუოდ დადგება... იცოდე, შენთვის ვიცოცხლებ, ბებეისერის და ჩვენი ბედნიერების დასა-ბრუნებლად არაფერს შევეპუები...

ახლა წადით, თორემ კედელზე რაღაც მოძრაობაა. მცველებმა თუ შეგნიშნეს, აქედან ვეღარ გააღწევთ. შენთვის სულ ერთია?.. გონს მოდი, ძალა მოიკრიბე და შენთან ერთად მოსულებს გაჰყევი...



კედლის კომენდანტს ქუჯის „უმოქმედობა“ აღი-ზიანებდა. ყოველდღიურად ახალ-ახალ სასჯელს უმზადებდა. საისრელებს ნება დართო, სანაპიროზე გადასულიყვნენ და ჭაბუკზე როგორმე ზემოქმედება მოხსდინათ. ისინიც უყვიროდნენ, დაიმორჩილე ზღვა, მუხლი მოუყარე, ეხვეწე, ემუდარე, თუ მუდარა არ ჭრის, უბრძანეო. მერე შეტევაზე გადადიოდნენ და უშვერი სიტყვებით ლანძღავდნენ.

ქუჯი არც ავს ამბობდა და არც კარგს. თანასო-ფლელთა მისამართით საყვედურის ერთი სიტყვაც

არ დასცდენია და არც დასცდებოდა, რადგან როცა
მთელი არსებით ზღვას არ იყო მიყურადებული,
„უფალო, მიუტევე და გონება გაუნათე ამ მაღლემრწ-
მენ და განჯგონებულ ადამიანებს. უფალო, შეენიე და
შთააგონე გზა ხსნისა... და შენს მიერ საკუთარ ხატად
ქმნილთ ნუ გასწირავ საუკუნო წარწყმენდისთვისო...“
— მათვის ლოცულობდა.

ერთხელ, ლოცვის ჩამთავრების შემდეგ, ზღვის
გარსს მიჩერებულს მოეჩვენა, რომ მისი წიაღიძან
საოცრად ჰაეროვანმა არსებამ სათნო ღიმილით შე-
მოანათა, თითქოს გაამხნევა და უმალ თვალს მიე-
ფარა. მომდევნო საღამოს ლოცვის ჩამთავრების
შემდეგ ამ ხილვის გამეორების მოლოდინში იყო და
რაოდენ გაოცდა, როცა ხილვის მაგიერ უნაზესი ხმა
ჩაესმა: „იყავ მტკიცედ, ჩვენ შენთან ვართ!..“ ქუჯიმ
ეს გამხნევება ზეციურ ძალთა მხარდაჭერად აღიქვა
და უდიდესი რწმენით აღივსო... მაშინ მიხვდა, რომ
ზღვის გარსის გასარღვევად საჭირო იყო საკუთარ
სურვილთა, მისწრაფებათა და გრძნობათა გაერ-
თიანება და ერთი მთავარი მიზნისკენ მიმართვა. თავ-
ისუფლების მოპოვება და გარდასულ დროში დაკარ-
გულ ფესვებთან დაბრუნება იოლი საქმე არ გახლდათ.
მიზანი დიდი იყო და ასეთსავე მსხვერპლს ითხოვდა,
იქნებ მის სიცოცხლესაც კი. ითხოვდა და ღირდა კი-
დეც, ნამდვილად ღირდა!.. და ამიერიდან ცდილობდა,
ზღვის წიაღში წარმოქმნილი უმცირესი ცვლილებაც
კი არ გამოპარვოდა, მისი სიხარული თუ წუხილი
აეხსნა, გაეგო, რა სურდა...

საისრელებს უკვირდათ, რომ ქუჯი ჯიუტად დუმ-
და. რა მოსდის, ჩვენს სიტყვებს არაფრად რომ არ
აგდებს, ხომ არ დაყრუებულაო, კითხულობდნენ. მცველები არწმუნებდნენ, ყველაფერი მშვენივრად
ესმისო. ალბათ, ჩვენი გაცურება სურსო, გაიძახოდ-
ნენ სოფლელები და აღშფოთებას ვერ მაღავდნენ.

მცველები ქუჯის ყოველდღიურად პურსა და წყალსძა აწვდიდნენ, რაც პირველ ხანებში ხელუხლებლად ხვდებოდათ, მაგრამ მოგვიანებით შეატყვეს, ამ ულუფიდან იმდენს იღებდა, არსებობის გასახანგრძლივებლად რომ ყოფნოდა. შემდგომ კი თანდათანობით იმ მცირედი ნაწილის მიღებაც აღიკვეთა და კედლის კომენდანტი საგონებელში ჩააგდო. თუ საკვების მიღებაზე საბოლოოდ ხელს აიღებს, დიდი-დიდი, სამიოდე კვირა გაძლოს, ხოლო ამ ვადაში ზღვისთვის პირვანდელი სახის დაპრუნება რომ ვერ შეძლოს და რამე მოიწიოს, ხომ დავიღუპეთო, გაიძახოდა და მცველებს ავალებდა, გაჯიუტებული ვაჟისთვის ძალით ულუფის ნახევარი მაინც ეჭმიათ და შიმშილით სიკვდილის საშუალება არ მიეცათ.

ქუჯი ლანძღვა-გინებასა და მუჯლუგუნებს იმდენად არ შეუწუხებია, როგორაც მცველთა ხელიდან იძულებით საზრდოს მიღებას. მათი ხორხოცისა და ოხუნჯობების ქვეშ ლონიდა გამხმარი პურის ყუას, ზედ რაღაც მცირე სალაფავსა და დამყაყებულ, თბილ წყალს აყოლებინებდნენ.

ამ გაუსაძლისი ტრაპეზის შემდეგ, გულშემოყრილი ძირს ენარცხებოდა. გონს რომ მოეგებოდა და ცოტათი მოსულიერდებოდა, ძივდლივობით ადგებოდა, მხრებში გაიმართებოდა და მიაჩერდებოდა უსაშველოდ მაღლა აზიდულ ზღვას, რომელიც დღითი დღე იცვლიდა ფერსა და ნირს.

მის გარსგადაკრულ ფერსა სიღრმიდან ძალუმად აწვებოდნენ ზვირთები. როგორც ჩანდა, გარსის გასარღვევ ძალას იკრებდნენ.

ბოლო ხანებში ქუჯიმ შენიშნა, როგორც კი საისრელები შეგონებებს დაუწყებდნენ, ხოლო მცველები მის მასხარად აგდებასა და შეურაცხყოფას მოჰყვებოდნენ, ზღვის სიღრმეში მოძრაობა ძლიერდებოდა და თანდათან ყრუბიძგებში გადადიოდა. ჭიპისმაგვარი

სხეული მძლავრად შექანდებოდა, მუქარის მსგავს, განუწყვეტელ გრიალს მოჰყვებოდა და მანამდე არ დაცხერებოდა, სანამ ყველანი არ მოსცილდებოდნენ და მარტოს არ დატოვებდნენ.

ქუჯი ამას რომ ხედავდა, აღარ იცოდა, რა მოემოქმედა, მიალერსებოდა და დაეყვავებინა ზღვისთვის, თუ გამოჰყიდებოდა, შეეჩერებინა და დაემშვიდებინა საისრელები, რადგან მათთან ურთიერთობაც სჭირდებოდა. თანასოფლელთა განწყობილებით იგებდა, მთებში ისევ იმყოფებოდნენ თუ არა მისი მხარდამჭერები, მოხუცი მშობლები, მათ შორის იყო თუ არა წარსულიდან მოვლენილი ქალიშვილი. სწორედ იმ ქალიშვილზე, მოხუცებზე და უერთგულეს მეგობრებზე ფიქრობდა, როცა ზღვა გრგვინვას ჩაამთავრებდა. იგი თითქოს ამხნევებდა ვაჟს. რამდენჯერმე შენიშნა კიდეც, ზღვამ ნაპირი გადმოლახა და ისე მოიწევდა, თითქოს მისი გულში ჩაკვრა ნდომოდა, მაგრამ როგორც კი მისკენ ნაბიჯს გადადგამდა, დამორცხვებულივით თავის პირვანდელ ადგილს უბრუნდებოდა და გაიტრუნებოდა.



მცველები უთენია გამოჩნდნენ და ღრიანცელით გაეშურნენ ქუჯისკენ.

- ახლავე უბრძანე, წყლად იქცეს, თორემ, გესვრი!
- დაექადნა დანინაურებული.
- დაიჩოქე!
- ხმა ამოიღე!
- შეეხვეწე! — უყვიროდნენ სხვები და მის გარშემო წრეს ჰერავდნენ.

ქუჯი უძრავად იდგა. კეფაზე ცივი საგნის შეხება იგრძნო. სადღაც, გულის კოვზთან გამჭოლმა ტკივილმა დაუარა. მარჯვენა ხელი მკერდისკენ ნელ-ნელა წაილო, მაგრამ ვიღაცა უკრიდან სწვდა, დაქაჩა და დააჩოქა.

— შეეხვეწე, თორემ გესვრი! — უბრძანა უკან მდგომა და თოფის ლულა კეფაზე მთელი ძალით მიაჭირა.

ქუჯი გაყურსულ ზღვას რაღაცის მოლოდინით გასცეკროდა და დუმდა.

— ხედავ, როგორ კერპობს, ამას ტყვიის გარდა ჭკუაზე ვერაფერი მოიყვანს! — წამოიძახა იარაღ-მომარჯვებულმა მცველმა და წამისუმალ თოფის კონდახი ჩასცხო.

ქუჯი სილაში პირქვე ჩაემხო.

თითქოს ამ ნიშანს ელოდნენ, სხვებიც მისცვივდნენ და ფეხით დაუწეუს თელვა.

უეცრად, ჭიპის მაგვარი სხეული შეირხა და გაბმით აქშინდა.

ეს ხმა გაფრთხილებასავით გაისმა.

ზღვის ხმაურზე მცველები წუთით შეყოვნდნენ, მის ამაღლებულ ზედაპირს თვალი შეავლეს და შიშნეულად გადახედეს ერთმანეთს. ჭიპისმაგვარი სხეული მძლავრად ფეთქავდა, თვით ზღვა კი სიცოცხლის არავითარ ნიშანწყალს არ ამჟღავნებდა, უწინდებურად გარინდულიყო.

ქუჯი ოდნავ შეირხა და დაიკვნესა. მცველებს ისევ მოუარა ცემა-ტყეპის ჟინმა. ის იყო, მის გასათელად ფეხი შემართეს, რომ ზღვამ მედგრად დაიქუხა, ყალყზე შედგა და მათკენ მუქარით გადმოქანდა, მერე მძლავრად უკუმიიქცა, გამაყრუებელი ხმით დაიგრუხუნა, ცა და მიწა ერთიანად შეაზაზიარა და ადგილიდან დაიძრა.

თავზარდაცემულმა მცველებმა ფეხი ძლივს დაიმორჩილეს, კედლისკენ მოკურცხლეს, სულ-მოუთქმელად გადაევლნენ და ფერდობებზე ამავალი ბილიკებისკენ გაქანდნენ, მაგრამ შორდანვე დაინახეს, რომ თვით საისრელებსაც დაეგდოთ თავიანთი სახლები და მთებისკენ გარბოდნენ.

მათ ფეხთა ქვეშ მიწას ზრიალი გაუდიოდა. ყველა თავისებურად იკაფავდა გზას, ყოველი მათგანი ცდილობდა დაწინაურებულიყო, რათა ზღვის რისხვა აერიდებინა. მოხუცები ერთმანეთს ებლაუჭებოდნენ, ბავშვები მიჰკიოდნენ დედებს და ჩამორჩენის შიშით კალთებზე ეჭიდებოდნენ, ქალები თავზარდაცემულნი ითხოვდნენ შველას, ხაოდნენ, უხმობდნენ ცოცხლებსა და მკვდრებს. მათი ხსნა ის იქნებოდა, ერთი წუთით მაინც შემდგარიყვნენ და სული მოეთქვათ, გული საგულეში ჩაებრუნებინათ, მაგრამ ზღვის თავზარდამცემი ქუხილი თითქოს ფეხდაფეხ მისდევდათ და ამოსუნთქვის საშველს არ აძლევდათ...



ქუჯიმ თვალი რომ გაახილა, თავს ზემოთ მოტორტ-მანე, უზარმაზარი მასა დაინახა. იგი ჭირისუფალივით დასჩერებოდა და გულისშემაღონებელ, უცნაურ ხმებს გამოსცემდა. ქუჯიმ ლოდივით დამძიმებული სხეული ადგილიდან ძლივს დაძრა, რწევა-რწევით, გაჭირვებით წამოდგა და ხელის გაწვდენაზე მოახლოებულ ზღვას მიაჩერდა. მან თითქოს მისაღმების ნიშნად გამაყრუებლად იქუხა და ძლერად შეტორტმანდა.

ქუჯი დიდხანს იდგა ამ ხმაურში და თვალს ვერ აცილებდა ზღვას, რომელიც თავბრუდამხვევად ირწეოდა და ყოველ ახალ ბიძგზე თანდათან უახლოვდებოდა. ზღვის სრბოლამ უსაზღვრო სიხარული მოჰვევარავაუს. ხელები გაშალა და უერთგულესი მეგობარივით მიესალმა.

ზღვა ძალუმად შექანდა, მისწვდა და მხარზე შეეხო. ეს შეხება ქუჯიმ ახლობლის მოფერებას მიამგვანა და იგრძნო, რომ სულისა და სხეულის საღმობანი თანდათან უამდებოდა.

ზღვა ყოველ მოქცევაზე ძალას იკრებდა, მაგრამ ქუჯიმ შეატყო, რომ იგი ერთგვაროვან მოძრაობას სჯერდებოდა, რაც გარსის გასარღვევად საკმარისი არ იყო.

ვაჟი ნაპირზე იდგა და აგულიანებდა ზღვას, რომელიც თითქოს ცდიდა, — იტორტმანებდა, ყალყზე შედგებოდა, გრიალით ნაპირისკენ გადმოქანდებოდა, მისწვდებოდა, შეეხებოდა და ამ მგრძნობიარობის გამომჟღავნების გამო დარცხვენილივით მიიქცეოდა.

ზღვის ერთფეროვანი ტორტმანით გაგულისებულ ქუჯის თანდათან ინტერესი უნელდებოდა და თუ მანამდე მის ზედაპირს თვალს ვერ სწყვეტდა, ამჯერად მთელი ყურადღება ნელ-ნელა გარემომ მიიპყრო.

ირგვლივ ყველაფერი შეცვლილი ეჩვენა. მის ფეხებვეშ სილაც კი სუნთქავდა. არემარე აურაცხელ ხმებს აესაო.

უნებურად კედლისკენ გაემართა. ოციოდე ნაბიჯი არ ექნებოდა გავლილი, რომ ზურგსუკან შრიალი მოესმა. შედგა და ზღვისკენ მიბრუნდა. თვალს არ დაუჯერა. ზღვას ნაპირი გადმოელახა და ხელის განვდენაზე შეჩერებულიყო. ქუჯიმ მისკენ ნაბიჯი წადგა. ზღვამ დაიხია. ქუჯი შეტრიალდა და კედლისკენ გაიქცა. ზღვა მსუბუქი შრიალით დაედევნა. ქუჯი შედგა. ზღვაც ადგილზე გაირინდა. ქუჯი მის შესახვედრად გაიქცა. ზღვამ გასაოცარი სიმსუბუქით დაიხია უკან. ქუჯი გამოეკიდა, ზღვისთვის ხელის შეხება სცადა. ის ანცი ბალლივით უსხლტებოდა. მაშინ ქუჯიმ პირი იბრუნა, კედლისკენ გაიქცა, ხის კიბე არბინა, კედელზე ავიდა და უკან მიიხედა. ზღვის აყალყულ მასას სანაპიროზე აღმართული ოთხკუთხა შენობები დაეფარა, კედელს მოსდგომოდა და ჩანდა, ქუჯის ყოველ მოძრაობას თვალს ადევნებდა. ქუჯიმ ფერდობებს ახედა. სახლებსა და ეზოებში სულიერის ჭაჭანება არ იყო. სოფელში ახლობელთაგან არავინ ეგულებოდა, მაგრამ გულმა მაინც იქით გაუნია. ფერ-

დობებისკენ ამავალ ბილიკს რომ აუყვა, წამდაუწუმ უკან იცქირებოდა. ზღვა კედელს არ სცილდებოდა, ერთ ადგილზე ბორგავდა. ქუჯიმ მის გამოსაცდელად ფერდობებზე უფრო აიმალლა.

ზღვა ადგილიდან მაინც არ იძვროდა.

ვაჟი მერე ისევ უკან, კედლისკენ დაეშვა, გადალახა არხი, კედელიც, კიბე ჩაირპინა და წყალს შევეხებიო, რომ გაიფიქრა, ზღვა დაიძრა.

ქუჯი ფეხდაფეხ გამოეკიდა.

ზღვა გამაყრულებელი ხმაურით გაქანდა, თავის კალაპოტს დაუბრუნდა და უწყინრად გაიტრუნა. ქუჯი უმალვევე შემოტრიალდა, ისევ კედლისკენ დააპირა გაქცევა, მაგრამ ნანახით გაოგნებული ადგილზე გახევდა.

ზღვას ოთხკუთხა, უზარმაზარი შენობები უკვალოდ გაექრო!

„ეპეპეიი!“ — ომახიანად მიესალმა ქუჯი ზღვას, მადლიერების ნიშნად მიეახლა და ხორკლიან გარსზე ეამბორა.

პასუხად ზღვა შექანდა და მსუბუქად, თითქმის ნაზად შეეხო.

მისი მოქმედებით ფრთაშესხმული ქუჯი კედლისკენ გაიცა, გადალახა, გადაევლო არხს, ფერდობებისკენ ამავალ ბილიკს აუყვა, შეჩერდა და შემოტრიალდა.

ზღვა ისევ კედლის მიჯნასთან იდგა და წინ წაწევას არ აპირებდა.

...ქუჯი ფერდობებსა და სანაპიროს შორის სულმოუთქმელად დარბოდა. ცდილობდა ზღვა კედელს იქით გაეტყუებინა, მაგრამ იგი თითქოს ვაჟის ზრახვას ხვდებოდა, მიჯნას მიაღწევდა თუ არა, შეჩერდებოდა და გაირინდებოდა.

ქუჯი კედლიდან რომ დაეშვებოდა, ზღვაც დაიძვრებოდა. ყოველთვის ეგონა, აი, ახლა მივწვდები მას და თუ შევეხები, კედლის გადალახვაზეც დავიყოლიებო,

თუმცა მიახლოებისთანავე ზღვა უკუიქცეოდა. ქუჯი მისდევდა, ეცემოდა, მაგრამ იმის მაგიერ, რომ დაეს-ვენა, წამოხტებოდა და ისევ კედლისკენ გარბოდა...

დღეების სათვალავი აერია.

ვერც იმას სვდებოდა, დღე იყო თუ ღამე.

ზღვის ნაპირი ბინდში ჩაინთქა.

ქუჯის ეგონა, რომ დედამინის ზურგზე მხოლოდ ორნი იყვნენ: ის და ზღვა... მერე იმასაც მიხვდა, დე-დასავით რატომ ეალერსებოდა, რისთვის ეფერებოდა წყლის ეს ვეებერთელა მასა — ზღვას იგი სურდა. უნ-დოდა შვილივით გულში ჩაეკრა, თავის წიაღში სამუ-დამოდ ჩაეხვია და საკუთარ უბეში დაეტოვებინა.

ქუჯი მზად იყო... მზად იყო და ელოდა... არც დიადი მიზნისთვის აბორგებულმა წყალმა დააყოვნა.

ზღვის ქეჩოზე თავდაპირველად თეთრი, პანაწი-ნა ზვირთები აიქოჩინენ. შემდეგ თანდათან ვეება ტალღებად გადაიქცნენ, აგორდნენ, მაგრამ ჯერ ისევ უძლურად აწყდებოდნენ გარსს.

საიდანლაც სუსტება სიომ დაპერა, სიოს ქარი შეენ-აცვლა, ქარს — ქარაშოტი, ქარაშოტს — გრიგალი, რომელიც პირველ რიგში სანაპიროს მიაწყდა, ფერ-დობებზე მიყუჟულ სახლებს დაერია, ბუმბულივით აიტაცა და ირგვლივ მიმოფანტა.

ზღვა აიყალყა, ვეება სვეტად ალიმართა, მერე წუთით გაილურსა, შემზარავი ხმით დაიქუხა და მუცელგამოფა-ტრული ურჩხულივით კედლისკენ გადაიზნიქა.

ზღვის წუთიერმა დუმილმა, შემდეგ მისმა ქუხილმა, კედლისკენ ზვავივით დაშვებული უზარმაზარი მასის ხილვამ შვება მოჰვარა ქუჯის. ცისკენ გასაფრენად მზად მყოფის მაღლა ამართული ხელებით შეეგება ამ ყოვლისწამლეკ დელგმას, რომ მის ზვირთებქვეშ სა-მარადისოდ ჩანთქმულიყო....

ზღვა გრგვინავდა. წყლის ვეება სვეტები ზათქითა და გრუხუნით ეხეთქებოდნენ ერთმანეთს და ფერდო-ბებისკენ მიექანებოდნენ...

ტყის პირას ბარგი-ბარხანით დატვირთულ ადამიანთა დიდი ჯგუფი გამოჩენდა. მგზავრები ერთბაშად შედგნენ და გაპარტახებული ნასახლარებით მოფენილ ფერდობებსა და ზღვის მიუსაფარ სანაპიროს დამწუხრებული მზერა მოავლეს.

შორს, ჰორიზონტზე, ცისკენ ყელალერებული ნაგებობა იკვეთებოდა, უცხოდ ქათქათებდა და ამ გაუდაბურებულ სივრცეში ერთადერთ იმედად ჩანდა.

ხალხმა ერთმანეთს რაღაც გადაუჩურჩულა.

კედელი, ის შემზარავი, მათი მონობისა და სულიერი დაცემულობის აშკარა მოწმე, აღარსად იყო!

დაქანცულ სახეებზე გაუბედავმა ღიმილმა იელვა.

— შეხედეთ, ისევ უწინდებურად დგას ჩვენი ტაძარი! — შესძახა წინ მიმავალმა, ახოვანმა, ღიანაბლისფერთმიანმა ჭაბუკმა.

მგზავრებს სიხარულის ჩოჩქოლმა გადაუარა.

ცოტაც და, დაიძრნენ...

თეთრი ტაძარიც მათ შესაგებებლად მოილტვოდა.

გამომცემლობა „მერიდიანი“
ა.ყაზბეგის გამზ. №45
ტელ: 2 39-15-22
E-mail
info@meridianpub.com